

K 208426
3



მამისა ბერძენიშვილი

**ფოლკლორი სანის
საქართველოს
ისტორიის
ნერილობითი
წყაროები**



„მეცნიერება“

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	3
დოკუმენტური წყაროები	6
XVI—XVIII სს. საბუთები როგორც საისტორიო წყარო	23
„სიგლის თავი“ XVI—XVIII სს. საბუთებში	23
კახეთის მეფეთა ტიტულატურა	40
იმერეთის მეფეთა ტიტულატურა	42
ნასყიდობის წიგნები	43
თამასუქი	47
საბუთის შენახვის წესი	49
დასკვნები	50
არააქტები ანუ არაიურიდიული დოკუმენტები	53
ანგარიშგებები	53
არზა	62
ეპისტოლური წყაროები	66
ეპისტოლური მასალა XVIII ს. თბილისის ვაჭართა წრიდან, როგორც	
საისტორიო წყარო	74
ხელნაწერთა მინაწერები წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისით	80
Письменные источники по истории Грузии феодальной эпохи (источни- коведческие разыскания) (резюме)	88





საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია


ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

მამისა ბერკნიშვილი

ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროები

(წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები)

საეპ-2000
შემოწმებულია



„მეცნიერება“
თბილისი
1989



1) ჩახიკვი
 2) საქართველო

ენციკლოპედია
 ისტორიის
 ნუსხი
 ნუსხი

შრომაში განხილულია ნარატიული და დოკუმენტური წერილობითი წყაროების გვარში შემავალი ზოგი სახეობა და ქვესახეობა. მოცემულია მათი წყაროთმცოდნეობითი შესწავლა, რაც გულისხმობს წყაროს სანდოობის დადგენას, მისი პირობითი ფორმულარების წარმოჩენას, შინაგანი ფორმის კვლევას და წყაროს შინაარსის ანალიზს.

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

გ. აკოფაშვილი

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები —

ა. ბაქრაძე, ლ. დავლიანიძე

X 208.426
 3

ბ 0502000000 195—89 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1989
 M 607 (06)—89
 ISBN 5—520—00445—5

სსრკ. მეცნიერებათა
 აკადემიის
 ბიბლიოთეკა

შ ე ს ა ვ ა ლ ი

წყაროთმცოდნეობა ისტორიული მეცნიერების კომპლექსური დარგია. იგი გამოავლენს, შეისწავლის და გამოსცემს ისტორიულ წყაროებს და ამასთან შეიმუშავებს მათი შესწავლის შესაბამის თეორიასა და მეთოდებს. ისტორიული წყარო კი არის ყველაფერი ის, რაც უშუალოდ ასახავს ისტორიის პროცესს და რაც წარსულის შესწავლის საშუალებას იძლევა. რაც კი შეუქმნია კაცობრიობას და რამაც ჩვენამდე მოაღწია მატერიალური კულტურის, საგნების, წერილობითი ძეგლების, ადათ-წესების, იდეოლოგიისა და ენობრივი ნაშთების სახით — წყაროთმცოდნეობის შესწავლის ობიექტს, ანუ საისტორიო წყაროს წარმოადგენს.

სანამ მეცნიერება წყაროს ამგვარ გაგებამდე, განმარტებამდე მივიდოდა, დიდმა დრომ გაიარა¹.

ისტორიკოსის მიერ წყაროს მოხმობა და მისი კრიტიკა ჰეროდოტეს დროიდან არსებობდა; მაგრამ ცნება „წყაროს“ ხმარება ისტორიკოსის კვლევის ძირითადი ობიექტის მიმართ შედარებით გვიან შემოვიდა. დასავლეთ ევროპაში ცნება „წყარო“ (გერმანული Quelle, ფრანგული source, რუსული источник) XVII—XVIII საუკუნეებში იხმარებოდა შიგადაშიგ XIX ს. დასაწყისიდან იგი იქნეს საზოგადო მნიშვნელობას თავდაპირველად მხოლოდ გერმანიაში, შემდეგ კი საერთოდ ევროპულ წყაროთმცოდნეობაში.

რუსეთის საისტორიო წერილობითი წყაროების მიმართ ეს ტერმინი პირველად იხმარა გერმანელმა ისტორიკოსმა ა. შლეცერმა 1768 წელს წიგნში „Probe russischer Annalen“. რუსულ ენაზე კი ტერმინი „источник“ პირველად ნახსენებია იმავე შლეცერის შრომის

¹ ტერმინი „წყაროს“ განმარტების ისტორია უკანასკნელი ხანების ისტორიოგრაფიაში იხ. გ. ალასანიას შრომაში: Классификация грузинских письменных исторических источников, Тбилиси, 1986, сс. 7—22.

„Нестор“ რუსულ თარგმანში². რუს ისტორიკოსებს შორის კი პირველმა ეს ტერმინი მოიხმო ნ. მ. კარამზინმა³.

XIX ს-ში ტერმინი „источник“ რუს ისტორიკოსებში ფართოდ გრცელდება⁴. მაგრამ თვით ტერმინის განმარტებას მხოლოდ XIX ს. 90-იან წლებში ვხვდებით⁵.

ამავე დროს იგი სრულიად არ აისახა იმავე XIX ს. რუსულ ლექსიკოგრაფიაში. დალის ცნობილ ლექსიკონში „Толковый словарь русского языка“ სიტყვა „источник“ საერთოდ არ შესულა, ხოლო საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მეორე განყოფილების მიერ შედგენილ საეკლესიო სლავურ და რუსულ ლექსიკონში ეს სიტყვა განმარტებულია შემდეგნაირად: „Всё то, из чего что либо происходит, начало, причина чего либо“⁶.

საქართველოში „წყარო“, როგორც ტერმინი, XIX ს. მეორე ნახევარში შემოვიდა. პირველად იგი ქართული საისტორიო წყაროების მიმართ იხმარა მარი ბროსემ.

თავისთავად ისტორიული წყარო, ამჟამად მიღებული განმარტებით, შვიდი ტიპისაა: წერილობითი, ნივთიერი, ეთნოგრაფიული, ზეპირი (ფოლკლორული), ლინგვისტური, კინოფოტოდოკუმენტური, ფონო-დოკუმენტური⁷. ისტორიული წყაროს თითოეული ეს ტიპი თავის მხრივ იყოფა გვარებად, თანრიგებად, სახეობებად, ქვესახეობებად და ნაირსახეობებად.

წერილობითი ძეგლები ისტორიის წყაროებს შორის უმნიშვნელოვანეს ტიპს წარმოადგენს.

² Шлецер А. Л., Нестор. Русские рукописи на древнеславянском языке, сходные, переведенные и объясненные А. Л. Шлецером. ч. I, Спб., 1809, с. 394.

³ Карамзин Н. М. История государства российского, т. I. Спб., 1816, с. XXXVII.

⁴ Пушкарев Л. Н. Классификация русских письменных источников по отечественной истории, М., 1975, с. 62.

⁵ ამ ტერმინის პირველ განმარტებას ვხვდებით ს. პლატონოვისა და ნ. ზაგოსკინის შრომებში: „В широком смысле понятие исторического источника заключает в своем содержании всякий остаток старины...“ (С. Ф. Платонов, Лекции по русской истории. СПб., 1894, с. 33). „Всё то, что способно послужить нам средством к познанию минувшей жизни народа... приобретает значение источника“ (Загоскин Н. П. История права русского народа, т. I, Казань, 1899, с. 129)

⁶ Словарь церковно-славянского и русского языка, составленный вторым отделением Императорской Академии Наук. т. II, СПб., 1847, с. 145.

⁷ Пушкарев Л. Н. Классификация русских письменных источников по отечественной истории, М., 1975, сс. 267—185.

საერთოდ წყაროთა კლასიფიკაციისას მხედველობაში მიიღება წყაროს ყველაზე უფრო არსებითი ნიშნები: მისი წარმოშობა, შინაარსი და ფორმა, რომელთა მიხედვით თანამედროვე მეცნიერება წერილობით ისტორიულ წყაროთა ტიპს ორ ძირითად გვარადა ყოფს: თხრობით ანუ ნარატიულ და დოკუმენტური წყაროების გვარად⁸. ორივე ეს გვარი თავის მხრივ რამდენიმე სხვადასხვა სახეობად იყოფა.

წერილობითი წყაროების ორ გვარად — ნარატიულ და დოკუმენტურ გვარად — დაყოფა ძველიდანვე მოდის და ის ძირითადად გაზიარებულია როგორც ჩვენში, ისე უცხოურ ისტორიოგრაფიაში.

ქართული წერილობითი წყაროების კლასიფიკაციას მიეძღვნა გ. ალასანიას შრომა „Классификация грузинских письменных исторических источников“, გამოსული 1986 წელს. ამ შრომაზე მუშაობისას ავტორისათვის, როგორც თითონ წერს, ნიმუში და ორიენტირი იყო ლ. ნ. პუშკარევის მონოგრაფია „Классификация русских письменных источников по отечественной истории“. კლასიფიკაციის პრობლემების ისტორიოგრაფიისა და ქართული შუასაუკუნოვანი წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე გ. ალასანიამ ქართული წერილობითი წყაროები მთელი ფეოდალური ხანისა ორ პერიოდზე გაანაწილა: 1. V ს. — XIII ს-ის I ნახევარი; 2. XIII ს-ის II ნახევარი — XIX ს-ის დასაწყისი.

ორივე ამ პერიოდისათვის მან წერილობითი წყაროები ორ კლასად დაყო: საერო და საეკლესიო კლასებად. თითოეული ეს კლასი ორსავე პერიოდში ორ-ორ გვარსა ქმნის — ნარატიულს და დოკუმენტურს. გვარები თანრიგებად იყოფიან, თანრიგები კიდევ სახეობებად განშტოვდებიან. ამ კლასიფიკაციისას მართებულად უკუგდებულია, ერთი მხრივ, ისტორიულ-თემატური პრინციპი და, მეორე მხრივ, წყაროს შინაარსისა და ფორმის თავისებურებების გამოყენება. კლასიფიკაციის საფუძველად აღებულია წყაროს დანიშნულებისა და შინაგანი სტრუქტურის ერთობლიობა⁹. წიგნზე დართული სქემები მკითხველს თვალნათლივ უჩვენებენ კლასიფიკაციის ყოველ ცალკეულ მუხლს¹⁰.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია დოკუმენტური და თხრობითი წყაროების რამდენიმე სახეობის ზოგი ქვესახეობა — ესაა აქტები, ანგარიშგებები, წერილები, მინაწერები. წყაროთა ყველა ეს ქვესახეობა, ზემომოყვანილი კლასიფიკაციით, ერთდროულად ირიცხება საერო და საეკლესიო წყაროთა ორი კლასის სხვადასხვა თანრიგში.

⁸ Пронштейн А. П. Методика исторического исследования, Ростов-на-Дону, 1971, сс. 23—32.

⁹ Аласаниа Г. Г. Классификация грузинских письменных исторических источников, Тбилиси, 1986, с. 203.

¹⁰ იქვე, გვ. 198—199.

დოკუმენტური წყაროები

წერილობითი წყაროები იყოფა ორ შემადგენელ ნაწილად — თხრობით და დოკუმენტურ წყაროებად.

დოკუმენტურ წყაროებს შეადგენენ ისეთი წერილობითი ძეგლები, რომლებიც უშუალოდ მოქმედებენ ცხოვრების მატერიალურ მხარეზე — ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და უფლებრივ ურთიერთობებზე. წყაროთა ამ დიდმა ჯგუფმა თავისი სახელწოდება მიიღო ლათინური სიტყვისაგან documentum, რაც ნიშნავს ჭკუისსასწავლებელ მაგალითს, დამტკიცების საშუალებას.

ის წყაროები კი, რომლებიც ადამიანის მხოლოდ გრძნობებზე, შეხედულებებზე, მსოფლმხედველობაზე, ცოდნასა და გემოვნებაზე მოქმედებენ უშუალოდ და რომელთა მოქმედება ცხოვრების მატერიალურ მხარეზე ირიბია, ერთიანდებიან თხრობით, ანუ ნარატიულ წყაროთა გვარში (ლათინური სიტყვიდან narratio — მოთხრობა, თხრობა).

დოკუმენტური მასალა წერილობით წყაროებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია.

ისტორიული საბუთი ანუ დოკუმენტი არის ნარატიული ძეგლისაგან განსხვავებული არათხრობითი საისტორიო წყარო, შედგენილი მასში გადმოცემული ფაქტის თანამედროვის მიერ საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული ტრაფარეტული გამოთქმებითა და სქემით¹.

რუსული დიპლომატიკის ერთ-ერთი ცნობილი სპეციალისტი ს. მ. კაშტანოვი ასახელებს დოკუმენტის შემდეგ საერთო ნიშან-თვისებებს: 1. საბუთის შემდგენელის თანამედროვეობა წყაროში ნახსენები ფაქტებისა და მოვლენების მიმართ, 2. დოკუმენტის შედგენა გარკვეულ უფლებრივი ფორმით, 3. დოკუმენტის დამამტკიცებელი თვისება².

¹ ნ. შოშიაშვილი, წინასიტყვაობა წიგნში: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, თბ., 1984, გვ. 6.

² Каштанов С. М. Русская дипломатика, М., 1988, с. 12. დოკუმენტის ზემომოყვანილი ძირითადი ნიშანი — მისი შედგენა აუცილებლად თანამედროვის მიერ — არ გაიზიარა გ. ალასანიამ. მისი აზრით, „ამ შემთხვევაში დოკუმენტების საზღვრებს გარეთ დარჩებოდნენ ნორმატიული ძეგლები, რომლებიც მოქმედებენ ზანგრძლივი დროის მანძილზე და მრავალი თაობისათვის არიან სავალდებულო“ (Аласаниа, Классификация... с. 194). თავისი ეს შეხედულება მან გაიმეორა

დოკუმენტის შემდგენელი საბუთში ასახული ფაქტის თანამედროვეა, ამიტომ ის ამ ფაქტს გადმოსცემს უშუალოდ, მის კვალდაკვალ, ზედმიწევნითი უტყუარობით, მაშინ, როცა სხვა რივის წერილობით წყაროებში ფაქტები მოთხრობილია ავტორის სუბიექტური გააზრებით. მაგრამ, რადგან დოკუმენტში რეალობა ტრადიციული სქემითა და ფორმულებით არის გამოხატული, მისი შინაარსიც გარკვეულ ჩარჩოებშია მოთავსებული.

შინაარსისა და დანიშნულების მიხედვით დოკუმენტები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: იურიდიული ხასიათის საბუთები (ასეთ საბუთებს აქტებს უწოდებენ) და არაიურიდიული ხასიათის საბუთები. იურიდიულია ისეთი საბუთი, რომელიც ორი მხარის ურთიერთობას, კონტრაგენტთა რაიმე გარიგებას ან პირობას შეიცავს. სხვა დანარჩენ დოკუმენტებს კი არაიურიდიულ დოკუმენტებს ან არააქტებს უწოდებენ. არააქტია, მაგალითად, არზა, საჩივარი, კერძო ნუსხა, სიები, ანგარიშგებები, პირადი წერილები და ა. შ.

როგორც ვხედავთ, დოკუმენტის ცნება აქტის ცნებაზე უფრო ფართოა.

წყაროთა კლასიფიკაციისას საბუთების ეს ორი ჯგუფი — აქტები და არააქტები — დოკუმენტური წყაროების გვარის სხვადასხვა სახეობაში ნაწილდება. მაგალითად, ლ. ნ. პუშკარევი დოკუმენტური წყაროების გვარში გამოყოფს შემდეგ ოთხ სახეობას: კარტოგრაფიულს, სტატისტიკურს, აქტებს და საკანცელარიო დოკუმენტებს. ამათგან კარტოგრაფიული წყაროების სახეობაში მას შეჰყავს ყველა სახის რუკები და გეგმები. აქტების სახეობაში — სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და იურიდიული დოკუმენტების ქვესახეობა; სტატისტიკური წყაროების სახეობაში იგი ათავსებს ყოველგვარ აღწერებს, ხოლო საკანცელარიო დოკუმენტების სახეობაში — გაერთიანებულია წყალობის წიგნები, რეესტრები, ბრძანებები, საქმიანი მიმოწერა.

პუშკარევის სქემაში არააქტები სტატისტიკური და საკანცელარიო დოკუმენტების სახეობათა ქვესახეობებს წარმოადგენენ³.

1988 წელსაც: „დოკუმენტის მთავარ ნიშნად დასახელებულია მისი შედგენა თანამედროვის მიერ, რაც ცნების მიღმა ტოვებს საკანონმდებლო ძეგლებს, ბრძანებებს, განკარგულებებს, მანიფესტებს, რომლებიც ხშირად ხანგრძლივი დროის მანძილზე მოქმედებენ“ (გ. ალასანიძე, რ. კიკნაძე, წყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემები, თბ., 1988, გვ. 107). მაგრამ ნორმატიული წყაროების თანრიგში შემავალი ყველა ეს ძეგლი შექმნილია სწორედ მათში დადასტურებული ფაქტების თანამედროვის მიერ. მომდევნო თაობები მათ იყენებენ მხოლოდ, არ კი ქმნიან.

³ Пушкарев Л. Н. Классификация русских письменных источников..., с. 262.

ქართული წყაროებიც დაახლოებით ასევეა კლასიფიცირებული გ. ალასანიას შრომაში. იგი დოკუმენტური წყაროების გვარს ოთხ თანრიგად ყოფს: 1. პირადი, 2. ნორმატიული, 3. სტატისტიკური, 4. აქტები (XIII—XIX სს-ში ემატება კიდევ ერთი სახეობა — საქმისწარმოებითი საბუთები). ე. წ. არააქტები ამ კლასიფიკაციით სტატისტიკური და საქმისწარმოებითი საბუთების თანრიგებშია ნაგულისხმევი⁴.

დოკუმენტების შესწავლა და მათი კრიტიკული განხილვა ნატყუარი საბუთების გაჩენამ გამოიწვია. საბუთის კრიტიკული ანალიზის პირველი ფაქტი დადასტურებულია VI ს. მწერალ გრიგოლ ტურის ეპისკოპოსის შრომაში. იქ მოთხრობილია, რომ 590 წელს რეფერენდარიუსმა ოტონმა (რეფერენდარიუსი — მოხელე, რომელიც მეფეს მოახსენებს ქვეშევრდომთა საჩივრებს) ეჭვი შეიტანა მეფე ჰილდებერტ II-ის ერთ საბუთზე ოტონის სახელით გაკეთებული ხელრთვის ჭეშმარიტებაში. 590 წელი ევროპულ ისტორიოგრაფიაში დოკუმენტების კრიტიკული შესწავლის დასაწყისად ითვლება.

XII ს. ევროპაში ნამდვილი და ნატყუარი საბუთების გასარჩევად უკვე რამდენიმე საშუალება ჰქონდათ. XIII—XIV სს. საბუთების გარჩევა-შემოწმების პრაქტიკამ ევროპის მრავალ ქვეყანაში მოიკიდა ფეხი. XV ს. ბოლოსათვის რუსეთის სინამდვილეში დადასტურებულია ყალბი საბუთების არსებობა, თუმცა მითითებული არ არის, რა საშუალებით ხდებოდა იმ დროს ამგვარი საბუთების ჭეშმარიტისაგან გარჩევა⁵. ჩვენში ნატყუარი საბუთის არსებობა მოხსენებულია ალექსანდრე კანთა მეფის (1476—1511) მცხეთის კათალიკოსისადმი გაცემულ ერთ საბუთში: „ჭავჭავაძესა ფრიდონს ზეკნელის ძისა პროკოფისთჳს ნატყუარი სიგელი დაეწერინა ვანათისა, ვარცისა და დუმასუბნისა. და რაგვარცა ტყუილი იყო, აგრე გავაცუდეთ“⁶. ივ. ჯავახიშვილს ეს საბუთი ჩვენში ნატყუარი საბუთების გარჩევის პირველ მაგალითად მიანია⁷. ყალბი საბუთის გაჩენის ფაქტი იმავე XV ს-ში დადასტურებული აქვს ნ. ბერძენიშვილს ზევდგინიძის საბუთებში⁸.

XVII ს-დან ფეხს იკიდებს დოკუმენტების ფართო კრიტიკული განხილვა. 1681 წ. ფრანგმა მეცნიერმა ბენედიქტელმა ბერმა ჟან მა-

⁴ А л а с а н и я Г. Г. Классификация грузинских письменных исторических источников, сс. 198—199.

⁵ К а ш т а н о в С. М. Русская дипломатика, с. 29.

⁶ საბუთი დაბეჭდილია თ. ჟორდანიას „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“, II, თბ., 1897, გვ. 244.

⁷ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1962, გვ. 16, 156.

⁸ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 182.

ბიონმა გამოაქვეყნა ვრცელი გამოკვლევა ლათინურ ენაზე დოკუმენტების შესახებ და ამით დიპლომატიკას საფუძველი ჩაუყარა. დიპლომატიკამ, როგორც დარგმა, თავისი სახელწოდება მიიღო სწორედ ეს მაბიონის შრომის სათაურიდან: „De re diplomatica libri sex“ („ექვსი წიგნი დიპლომატიკის საგნის შესახებ“). სათაურში მოტანილი ზედსართავი სახელი *diplomatica* — დიპლომატიკური, შემდეგში გაგებულ იქნა როგორც არსებითი სახელი და დამოუკიდებელი მნიშვნელობა შეიძინა⁹. ტერმინით *diploma* ძველ რომში აღინიშნებოდა სახელმწიფოსაგან კერძო პირისადმი გაცემული რწმუნების აქტი¹⁰. ლათინური *diploma* მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან — *διπλωμα* (წერილი, საბუთი, სიგელი), რაც მიღებულია ბერძნული ზმნიდან *διπλῶ* (ვაორკეცებ, ვაორმაგებ)¹¹. ძველ საბერძნეთში დოკუმენტი ამოკვეთილი იყო ხოლმე თიხის ან ბრინჯაოს ორ ფირფიტაზე, რომლებიც მავთულით იყო ერთმანეთზე გადაბმული¹².

დოკუმენტური მასალის მრავალფეროვნებამ აუცილებელი გახადა ცალკე დარგის — დიპლომატიკის — ჩამოყალიბება, ხოლო ამ მასალის მრავალრიცხოვანობამ მეცნიერების წინაშე მისი კლასიფიკაციის საკითხი დააყენა.

დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფიაში მიღებულია დოკუმენტური მასალის ფორმალურ-იურიდიული კლასიფიკაცია, რომელშიაც იგულისხმება დოკუმენტური წყაროების ორ ნაწილად — აქტებად და არააქტებად — გაყოფა. აქტები კი თავად იყოფიან საჯარო და კერძო აქტებად, რისთვისაც მხედველობაში მიღებულია მთელი მასალის საერთო ნიშნები: წარმოშობა, შინაარსი და ფორმა.

სხვადასხვა ეპოქისა და ხალხების ყველა აქტი გარეგნული ნიშნებით ერთნაირია: ერთნაირია მათი წარმოშობა — ესაა კონტრაგენტების რაიმე გარიგების შედეგი; შინაარსი — იგი ყოველთვის და ყველგან კონტრაგენტთა გარიგების პირობებს ჩამოთვლის; და ბოლოს, ერთნაირია ფორმაც — ტრადიციული სქემითა და ტრაფარეტად ქცეული ფორმულებით გადმოცემული.

ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა კლასიფიკაციისა არის აქტების დაყოფა სახელმწიფო და კერძო აქტებად. დას. ევროპის ისტორიოგრაფიაში სახელმწიფო აქტები ორ ჯგუფად იყოფა: იმპერატორებისა და მეფეების აქტები; რომის პაპთა სიგელები. სხვა დანარჩენ

⁹ Каштанов С. М. Русская дипломатика, М., 1988, с. 3.

¹⁰ Латинско-русский словарь, составили И. Х. Дворецкий и Д. Н. Корнилов, М., 1949, с. 288.

¹¹ Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. I, М., 1958, с. 412.

¹² Черепнин Л. В. Русская палеография, М., 1956, с. 22.

პირთაგან გაცემული საბუთები კი ქმნიან კერძო აქტების ჯგუფს. ამ უკანასკნელში შეყავთ გარდა კერძო პირთა საბუთებისა, აგრეთვე არასუვერენული მფლობელების — ვასალებისაც.

რუსულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მიღებულია აზრი, რომ ე. წ. იურიდიული კლასიფიკაცია არ ასახავს დოკუმენტის კლასობრივ არსს და მის პოლიტიკურ მიმართულებას. ამ თვალსაზრისით ლ. ვ. ჩერეპნინმა რუსული აქტებიდან გამოყო 9 ჯგუფი:

1. აქტები, რომლებიც ახასიათებენ ფეოდალთა ბრძოლას მიწისათვის.
2. აქტები, რომლებიც ახასიათებენ ფეოდალთა ბრძოლას უშუალო მწარმოებლის მოპოვებისათვის.
3. აქტები, რომლებიც ამტკიცებენ იმუნიტეტს (გარეშე ეკონომიურ იძულებას).
4. ქალაქების ვაჭარ-ხელოსანთა აქტები.
5. აქტები ფეოდალური იერარქიისა.
6. მმართველობის ორგანიზაციის ამსახველი აქტები.
7. სასამართლოების შემზღვეველი აქტები.
8. სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მაჩვენებელი აქტები.
9. საეკლესიო სამართლის აქტები¹³.

ჩერეპნინის კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს აქტების შინაარსი ე. ი. თემატიკური პრინციპი. მაგრამ ერთი ქვესახეობის აქტი ზოგჯერ რამდენიმე თემას შეიცავს და, პირიქით, რამდენიმე ქვესახეობა ერთ თემას ეხება. ამიტომ ასეთი კლასიფიკაცია არ შეიძლება ჩაითვალოს სრულად.

ასევე აქტის შინაარსი უდევს საფუძვლად ა. პ. პრონშტეინის კლასიფიკაციას¹⁴.

ლ. ნ. პუშკარევის სქემით, დოკუმენტური წყაროების გვარის აქტების სახეობა თავის მხრივ იყოფა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და იურიდიულ ქვესახეობებად¹⁵.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში საბუთთა კლასიფიკაციის ძირითად საფუძვლად მიჩნეულია ისტორიული განვითარების ფაქტორების მთე-

¹³ Черепнин Л. В. Русские феодальные архивы XIV—XV вв., ч. II, М., 1951. сс. 59—62.

¹⁴ Пронштейн А. П. Методика исторического исследования, Ростов-на-Дону, 1971, сс. 51—56.

¹⁵ Пущкарев Л. Н. Классификация русских письменных источников по отечественной истории. М., 1975, с. 267.

ლი კომპლექსი; ფაქტორები, რომლებიც აპირობებენ დოკუმენტის წარმოშობას და მის შინაარსში არიან ასახული.

ს. მ. კაშტანოვი აღნიშნავს, რომ აქტი, როგორც საერთოდ ყოველი ისტორიული წყარო, წარმოადგენს გარკვეული სოციალური ურთიერთობების შედეგს, აქტის წარმოშობაში აისახება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურის თავისებურება. გამომდინარე აქედან, იგი იძლევა დოკუმენტების კლასიფიკაციას გარკვეული ეპოქების მიხედვით (ამ შემთხვევაში ის ეხება მხოლოდ ფეოდალიზმის ეპოქის მასალას) ტიპებად და გვარებად. ფეოდალიზმის ხან-ს აქტებს ის ათავსებს სამ პერიოდში: I. ფეოდალიზმის ჩასახვისა და განვითარების პერიოდი; II. ადრეული ფეოდალიზმის პერიოდი და III. განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდი.

სამივე ამ პერიოდის საბუთებს ს. მ. კაშტანოვი ორ ტიპად ყოფს — I. აქტები — დადებული სახელმწიფოებსა, სახელმწიფოსა და ეკლესიას, სახელმწიფოსა და ფეოდალებს, საერო და სასულიერო ფეოდალებსა და საერო ფეოდალებს შორის. II ტიპად გამოყოფილია აქტები — დადებული წარმოების საშუალებათა მეპატრონეებსა და უშუალო მწარმოებელთა შორის. ორივე ამ ტიპს პერიოდის მიხედვით თავისებური სახელწოდება აქვს. პერიოდების მიხედვით იცვლება აგრეთვე აქტების ტიპებში შემავალი გვარებიც.

I პერიოდის (ფეოდალიზმის ჩასახვის) აქტების I ტიპი: ხელშეკრულებები, წარმოშობილი სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობათა სფეროში — ეს ხელშეკრულებები ორ გვარად იყოფა: ა) დადებული სახელმწიფოთა შორის და ბ) დადებული სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის.

II ტიპი — გარიგებები სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობაში, წარმავალი მონათმფლობელური საზოგადოების წიაღში. ეს გარიგებები იდება ა) წარმოების საშუალებათა მეპატრონესა და ცალკეულ მონათა ან განთავისუფლებულ მონათა შორის, ბ) თავისუფალ კერძო პირთა შორის.

II პერიოდის (ადრეული ფეოდალიზმის) აქტებიც ორ ტიპად იყოფა:

I ტიპი: სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობების სფეროში წარმოშობილი ხელშეკრულებები, რომლებიც სამი გვარისაგან შედგება: ა) დადებული სახელმწიფოთა შორის, ბ) დადებული სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, გ) ფეოდალსა (საერო და სასულიერო) და კერძო პირს შორის.

II ტიპი: სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში წარმოშობილი გარიგებები — წარმოების საშუალებების მეპატრონეთა და კერძო პირთა შორის.

III პერიოდის (განვითარებული ფეოდალიზმის) აქტებიც ორ ტიპად იყოფა: I — სოციალურ, პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში წარმოშობილი ხელშეკრულებები. ეს ტიპი თავის მხრივ სამ გვარს შეიცავს: ა) წარმოების საშუალებების მეპატრონეთა შორის დადებული გარიგებები, ბ) წარმოების საშუალებათა მეპატრონესა და უშუალო მწარმოებელთა შორის და გ) უშუალო მწარმოებელთა შორის.

II ტიპის სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობათა სფეროში წარმოშობილი ხელშეკრულებები. აქტების ეს ტიპიც სამი გვარისაგან შედგება: ა) სახელმწიფო და საეკლესიო მესვეურებსა და ფეოდალებს შორის დადებული გარიგებები, ბ) ფეოდალთა შორის დადებული აქტები და გ) საერო და საეკლესიო მესვეურთა შორის დადებული გარიგებები¹⁶.

ამ კლასიფიკაციას ს. მ. კაშტანოვი გენერალიზებულ კლასიფიკაციას უწოდებს. აქ წარმოდგენილი ტიპებისა და გვარების დაყოფა ქვესახეობებად და ნაირსახეობებად გვაძლევს უკვე დეტალიზებულ კლასიფიკაციას.

უკანასკნელ ხანებში კაშტანოვმა მოგვცა აქტების სხვაგვარი კლასიფიკაცია. ამჯერად მან ფეოდალიზმის ხანის მთელი აქტობრივი მასალა 6 ჯგუფად დაყო:

I. საჯარო-უფლებრივი აქტები, რომელიც იყოფა ორ ნაწილად: საერო და სასულიერო ხელისუფალთა აქტებად.

II. საჯარო-კერძო აქტები.

III. კერძო აქტები.

IV. საქმისწარმოებითი დოკუმენტები.

V. კერძო-საჯარო დოკუმენტები.

VI. კერძო წერილები¹⁷.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ქართულ სინამდვილეში?

ვახუშტი ბაგრატიონმა უკვე იცოდა სხვადასხვა რიგის საბუთების არსებობა და საბუთის შემადგენელი ნაწილების ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი თანამიმდევრობა; ამასთან, იმაშიც ერკვეოდა, თუ, სახელდობრ, რა ცვლილებები განიცადა მისი დროის საბუთის დასაწყისმა ნაწილმა წინა საუკუნეების საბუთებთან შედარებით¹⁸; მიუხედავად ამისა, ჩვენში სამეცნიერო დარგი — დიპლომატიკა — XX ს. 20-იან წლებამდე არც არსებობდა. 1920 წ. ივ. ჯავახიშვილმა თბილის-

¹⁶ Каштанов С. М. Очерки русской дипломатики, М., 1970, с. 17—22.

¹⁷ Каштанов С. М. Русская дипломатика, сс. 150—151.

¹⁸ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 37.

სის უნივერსიტეტში დიპლომატიკის კურსი შემოიღო და 1920—1922 წლებში თვითონ კითხულობდა მას. ამ ლექციების მიხედვით 1926 წელს გამოსცა პირველი და დღემდე ერთადერთი გამოკვლევა ქართული დიპლომატიკის შესახებ — „ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“.

ამ ნაშრომის წინასიტყვაობაში ივ. ჯავახიშვილი წერდა: „დიპლომატიკა ყოველგვარი საბუთების აგებულება-დაწერილობას უნდა იკვლევდეს, მაგრამ რაკი პოლიტიკურ-კულტურული ისტორიისათვის ცნობები უფრო უხვად მეფეთა და მწყემსმთავრების საბუთებში მოიპოვება ხოლმე, ამიტომ ჩვეულებრივ სიგელთა-მცოდნეობა სწორედ ამ ორგვარი საბუთების შესწავლას აქცევდა და აქცევს ყურადღებას. წინამდებარე ქართული დიპლომატიკაც ამის გამო, ზოგადი ნაწილის შემდგომ, პირველად სრულიად საქართველოს მეფეთა სიგელებს იხილავს“¹⁹. ამ წამოწყებას უნდა მოჰყოლოდა კათალიკოზთა, კერძო პირთა და სახელმწიფო, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ყოველნაირი საბუთების შესწავლა. თავისი ამოცანის შესასრულებლად — ქართული სიგელთა-მცოდნეობის შესაქმნელად ივ. ჯავახიშვილს უნდა ჩაეტარებინა შემდეგი სამუშაოები: 1. გამოეძებნა შესაფერისი სამეცნიერო ტერმინოლოგია, 2. შეესწავლა საბუთების შედგენა-დაცვის ტექნიკა, 3. გამოერკვია აგებულება-დაწერილობის წესები — ზოგადად და ისტორიული განვითარების დამახასიათებელ თვისებათა განსახილვერითა²⁰. ამ ამოცანების თანახმად, ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფიაში შესწავლილია სრულიად საქართველოს მეფეთა სიგელების შედგენილობისა და დაწერილობის წესები²¹.

ამოცანათა უკვე ამ მოკლე აღნუსხვიდანაც აშკარა ხდება, რომ ივ. ჯავახიშვილი ქართული საბუთების სამგვარ კლასიფიკაციას იძლევა. ერთ შემთხვევაში კლასიფიკაციას ქვეყნის პოლიტიკურ-სოციალური განვითარების საფეხური უდევს საფუძვლად — სრულიად საქართველოს მეფეთა სიგელები — ე. ი. XI—XV სს. საბუთები, რასაც მოჰყვებოდა ცალკეულ სამეფოებად დაშლილი საქართველოს (XV—XVIII სს) საბუთები. მეორე შემთხვევაში საბუთები ჯგუფდება მათი გამცემის ვინაობის მიხედვით — მეფეთა, კათალიკოზთა და კერძო პირთა საბუთები. და ბოლოს, გამოყოფილია საბუთები მათი შინაარსის მიხედვით — სახელმწიფო, სამოქალაქო და სისხლის სამართლის შემცველი საბუთები.

¹⁹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1926, გვ. IV.

²⁰ იქვე, გვ. V.

²¹ იქვე.

დღეს ჩვენში საბუთების კლასიფიკაცია ხდება ტრადიციული პრინციპებით: 1. დანიშნულების, 2. გამცემის ვინაობის, 3. საბუთის გარეგნული ნიშნების მიხედვით (მხედველობაში გვაქვს „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი“).

დანიშნულების მიხედვით საბუთები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: იურიდიული ხასიათის საბუთები — ანუ აქტები და არაიურიდიული საბუთები.

იურიდიული საბუთებია ისეთი დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ მხარეთა შორის რაიმე ხელშეკრულების, გარიგების დაწესებას. ეს გარიგება შეიძლება შეეხოს საკუთრების უფლებას, ვალდებულებას, გადასახადს, სასჯელს, დაყმევებას, ყმობისაგან გათავისუფლებას და ა. შ. ქართულ სინამდვილეში მათ ეწოდებათ: ნასყიდობის, გაცვლის, წყალობის, შეწირულების, სითარხნის, შეუვალობის, გაყრისა და შეყრის, ერთნებობის, ფიცის, პირობის, გაუყრელობის, თავდაწერილობის, „ველის“ ამართვის, ყმობის, მოწმობის საბუთები, სასამართლო განჩინებანი, არზები, საჩივრები, ბრძანებები, საალაპე ჩანაწერები, სულთა მატანებები და სხვ.

არაიურიდიული ხასიათის საბუთებია: კერძო ნუსხები, ანგარიშები, ეპისტოლური მასალა.

გამცემთა ვინაობის მიხედვით საბუთები იყოფა მეფეთა, სახელმწიფო მოხელეთა, ფეოდალთა, სასამართლოს საბუთებად, დაბალი წოდების წარმომადგენელთა და საეკლესიო საბუთებად.

გარეგნული ნიშნების მიხედვით დოკუმენტები ნაწილდება სამ ჯგუფად: 1. რბილი მასალის (ეტრატი, ქაღალდი) — ცალკე ფურცელზე (ან გრაგნილზე) დაწერილი; 2. მაგარ მასალაზე (ქვა, ხე, შელესილი კედელი, ლითონი) და 3. ხელნაწერი წიგნების არეებსა და თავისუფალ გვერდებზე დაწერილი საბუთები²².

დოკუმენტების შესწავლა იწყება საბუთის გარეგანი და შინაგანი ფორმის ანალიზით.

თუ საბუთის გარეგანი ფორმის ანალიზი გულისხმობს საბუთის საწერი მასალის (ჭვრანიშნები) შესწავლას, ტექსტის პალეოგრაფიულ და ენობრივ განხილვას, ბეჭდებისა და ხელრთვების ამოკითხვას, დათარიღებას — პირდაპირი და ირიბი ნიშნების მიხედვით, შინაგანი ფორმის ანალიზი შეიცავს საბუთის ტექსტის სტრუქტურისა და სტილისტური თავისებურებების კვლევას. საბუთის ტექსტის სტრუქტურა ეს არის ფორმულართა ჯამი. ყოველი საბუთი აგებულია გარკვეული

²² ნ. შოშიაშვილი, წინასიტყვაობა — წიგნში: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984, გვ. 6—7.

სქემით — საბუთის თითოეული ნაწილი — ფორმულარი ტექსტში
ლაგდება ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი თანამიმდევრობით.

ფორმულარები ერთი ტიპის ყველა საბუთს ერთნაირი აქვს. განსხვავებულია მხოლოდ საბუთის კონკრეტული შინაარსი. საბუთში გაქვავებული სახით შემორჩენილი ფორმულარები გარკვეულ სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებათა გათვალისწინებით არის თავდაპირველად მიღებული. სულ მცირე გადახვევაც კი ტრაფარეტიდან მიგვანიშნებს ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებზე. ახალი ელემენტის გაჩენა ფორმულარში მაჩვენებელია საზოგადოებრივ ცხოვრებასა და კლასობრივ ურთიერთობაში მომხდარი ცვლილებებისა. მეორე მხრივ, არის შემთხვევები, როდესაც საბუთის შემდგენელი ხმარობს ადრე მიღებულ ტრადიციულ ფორმულარს, თუმცა ზოგი მისი ელემენტი საბუთის შედგენის დროს რეალურ ვითარებას აღარ შეეფერება.

საბუთი, რაკი ის პირველყოფლისა იურიდიული ძალის მქონეა, დგებოდა გარკვეული ცოდნით, გარკვეული წესით; და ეს წესები უცვლელი რჩებოდა ფეოდალური ხანის მთელ მანძილზე. დროთა ვითარებაში ხდებოდა საბუთების შემადგენელი ნაწილების გაფართოება ან შეკვეცა, გამოთქმათა შეცვლა თანადროული სტილით, მაგრამ საბუთის აღნაგობის ძირითადი სქემა და მისი სტრუქტურა ერთნაირი რჩებოდა.

დასავლეთ, ევროპის დიპლომატიკაში უკვე შუა საუკუნეებში დაიწყეს საბუთის ცალკეულ ნაწილებად — ფორმულარებად დაყოფა და მათთვის სპეციალური სახელწოდებების მინიჭება. ფორმულართა სახელწოდებებია: *invocatio* — ლათინური სიტყვაა — მოწოდებას ნიშნავს და ძირითადად ღვთის ხსენებას, ღვთის მოწოდებას გულისხმობს. „ინვოკაცია“ თავისთავად ორი ნაწილისაგან შედგებოდა — ერთი სიმბოლური და მეორე სიტყვიერი. სიმბოლური ინვოკაციო იყო საბუთის თავში ჯგრის ან ქართულ დოკუმენტში ქართული ასოს ქ დასმა. ქ — პირველი ასოა სიტყვისა — ქრისტე. ლათინურად (და დას. ევროპის დიპლომატიკაში) მას ქრიზმოსი, ხოლო ქართულად ქანწილი ეწოდება.

შემდეგი ნაწილი ლათინურად *intitulatio*-დ იწოდება; იგი შეიცავს საბუთის გამცემის ხსენებას. რადგან ეს უკანასკნელი თავის ვინაობას ამავე დროს ღვთის წყალობას უმადლის, ამიტომ ინტიტულაციოს ხშირად „დევოციო“ (შვედრება) ემატება. საბუთის ამ ფორმულის სახელწოდებად ივ. ჯავახიშვილმა ქართული საბუთებიდან ამოღებული სახელი — „ს ა ხ ე ლ ე ბ ა — წ ო დ ე ბ უ ლ ე ბ ა“ შემოიღო.

მესამე ნაწილი *inscriptio*-ს (ზედდაწერილი, მისამართი) სახელითაა ცნობილი; მასში ჩამოთვლილია საბუთის მიმღების ანუ ადრესატის სახელები. ინსკრიპციოს მოსდევდა *salutatio* (მისალმება, მიძღვნა),

რომლითაც საბუთის გამცემი საბუთის მიმღებს თავის დადებულ დოკუმენტს მიუძღვნის. სალუტაციო საბუთისათვის აუცილებელი არ იყო.

საბუთის შემდეგი ნაწილი *Arenga* ან *proverbium, prologos*-ის სახელითაა ცნობილი. ამ ნაწილში საუბარი იყო იმაზე, თუ რა მიზეზით გაიცა საბუთი. ლათინური „შესავლისა“ ან „წინასიტყვაობის“ აღმნიშვნელად ქართული სიგელთმცოდნეობა ჯერ ჩინებას ხმარობს²³.

შესავალს, წინასიტყვაობას მოჰყვება *promulgatio, notificatio, publicatio* — ანუ განცხადება, რაც დამოუკიდებელი ელემენტი არ არის და ფაქტიურად წარმოადგენს მისი მომღვენო ნაწილის — *narratio* — შესავალს.

საბუთის შინაარსისათვის ძირითადია ნაწილი, რომელსაც *narratio*-ს (თხრობა, მოთხრობა) უწოდებენ. აქ მოთხრობილია ის მიზეზები, რომელთაც საბუთის დაწერა მოჰყვა შედეგად. თუ საბუთი ადრესატის თხოვნისამებრ იყო დაწერილი, მაშინ ნარაციოს თხოვნის შინაარსიც ერთვოდა, რასაც ლათინურად *petitio* ერქვა. ივ. ჯავახიშვილმა ქართულ დოკუმენტებში დაცული ტერმინოლოგიის გათვალისწინებით ნარაციოს თხრობა, ხოლო პეტიციოს ჰაჯამოხსენება უწოდა.

ნარაციოსა და პეტიციოს მისდევდა *dispositio* (მოწესრიგება, განკარგულება). საბუთის ამ ნაწილში მოთხრობილი იყო საბუთის გამცემის ნება და გადაწყვეტილება. დისპოზიციოს შესატყვისად ივ. ჯავახიშვილმა საბუთების ენის მიხედვით განგებულობა შემოიღო.

შემდეგი ნაწილი საბუთისა *sanctio*-ს (აკრძალვა) სახელითაა ცნობილი, რითაც საბუთის გამცემი კრძალავს საბუთის დადგენილებების დარღვევას. აქვე მოცემული იყო წყევლა-კრულვა იმათი, ვინც საბუთის განგებულებებს დაარღვევდა და კურთხევა იმათი, ვინც მათ აღასრულებდა. ქართულ საბუთებში დოკუმენტის ამ ნაწილს ბრძანებულებათა-კურთხევას ჰქვია.

საბუთის ბოლოს მოცემული იყო დაწერის დრო (*datum*) და დამწერის ვინაობა. უკანასკნელ ნაწილში ჩამოთვლილი იყვნენ საბუთის მოწმე-დამამტკიცებელნი (*corroboratio* და *subscriptio*). ზოგჯერ *datum* (განსაკუთრებით დას. ევროპის საბუთებში) კორობორაციოსა და სუბსკრიპციოს შემდეგ იხმებოდა. ასეთ შემთხვევაში *datum*-ს *apprecatio* (კურთხევა) მოჰყვებოდა.

²³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. გვ. 140.



XIX ს. 60-იან წლებში გერმანელი მეცნიერის თეოდორ ზიკელის მიერ შემოღებულ იქნა საბუთების (უპირატესად მეფეთა და რომის პაპთა სახელით გაცემული დოკუმენტები) სქემის სამ ნაწილად დაყოფა: პროტოკოლი (ბერძნ. — თავში მიწებებული), ტექსტი და ესხატოკოლი (ბერძნ. — ბოლოს მიწებებული)²⁴.

ფორმულარის პირველი ოთხი ნაწილი: ინვოკაციო, ინტიტულაციო, ინსკრიპციო და სალუტაციო წარმოადგენდნენ საბუთის პირველ განყოფილებას, რომელსაც თ. ზიკელი „პროტოკოლს“ უწოდებს, ხოლო ივ. ჯავახიშვილი ქართულ დოკუმენტურ მასალაში დამოწმებული ტერმინების მოხმობით სიგლის თავს არქმევს²⁵.

არენგა, პრომულგაციო, ნარაციო, პეტიციო, დისპოზიციო, სანქციო, თ. ზიკელის მიხედვით, შეადგენენ საბუთის მეორე განყოფილებას — „ტექსტს“ ხოლო დატუმ, კორობორაციო და სუბსკრიპციო აპრეკაციოსთან ერთად — „ესხატოკოლს“ — საბუთის ბოლო ნაწილს.

ივ. ჯავახიშვილი „შეისწავლა „სრულიად საქართველოს მეფეთა სიგელ-გუჯრების აგებულება და დანაწილება“ და ამ საკითხს მიუძღვნა თავისი გამოკვლევების მეოთხე თავი²⁶. XI—XV სს. საქართველოს მეფეთა საბუთები მან ევროპული დიპლომატიკის დარად სამ მთავარ ნაწილად დაყო: სიგლის თავად, შუატანად და სიგლის ბოლოდ. მანვე საკუთარი ქართული საბუთების ნიშანთვისებათა გათვალისწინებით მთლიანად საბუთი 6—7 განყოფილებად, თითოეული განყოფილება კი რამდენიმე ნაკვეთად დაანაწილა:

I. სიგლის თავი — 4 ნაკვეთიანი:

1. ქანწილი,
2. ვედრება-დიდებათმეტყველება,
3. სახელდება,
4. წოდებულება.

II. თხრობა ან მბობა. მბობა ზოგჯერ ჰაჯა-მოხსენებასაც შეიცავდა.

III. განგებულობა — 5 ნაკვეთიანი:

1. ჯერჩინება,
2. რიანობა,


K 208-426
3

²⁴ Th. S i c k e l, Lehre von den Urkunden der ersten Karolinger, Wien, 1867; მეორე გერმ. მეცნიერი ი. ფიკერი „პროტოკოლის“ მაგიერ „დასაწყის პროტოკლს“ ხმარობს, ხოლო „ესხატოკოლის“ ნაცვლად „საბოლოო პროტოკოლს“ — იხ. К а ш т а н о в С. М. Очерки русской дипломатики. М., 1970, с. 27.

²⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 140.

²⁶ იქვე, გვ. 82—119.

2. მამისა ბერძნული



3. პემანი,
4. შეუვალობა,
5. დაუცილებლობა²⁷-გაცუდებულება.

IV. ბრძანებულება.

V. ბრალთგადამხდელიობა და კუროხევა.

VI. ხელრთულობა-სათვალავი.

VII. კრულობითი და მარტივი მოწმობანი²⁸.

ამასთან, ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, V და VII ნაწილები ზოგ სიგელს, შესაძლოა, სრულებით არა ჰქონოდა. როგორც ვხედავთ, საბუთის ამ 7 განყოფილებაში სიგლის 14 ნაკვეთია გაერთიანებული. ევროპული დიპლომატიკის მიხედვით საბუთი 12 ნაწილად იყოფა²⁹. ეს რიცხობრივი განსხვავება შედეგია იმისა, რომ ქართული საბუთების დანაწევრებაში ივ. ჯავახიშვილის მიერ შემოტანილია ისეთი ნაკვეთები, რომლებიც დას. ევროპის სამეფო სიგელებს საერთოდ არა აქვთ.

რუსულ დიპლომატიკაში გაზიარებულია თ. ზიკელის მიერ შემოღებული დოკუმენტის პირობითი ფორმულარის სამ ნაწილად დაყოფა. მაგრამ თვით ამ სამი ნაწილის შემომოყვანილ კომპონენტებს რუსული დიპლომატიკა თითქმის არ იყენებს³⁰. ამავე დროს „რუსულ ენაზე არ არის გამომუშავებული პირობითი ფორმულარის კომპონენტების აღსანიშნავად რაიმე ცნება — გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ლათინური invocatio-ს აღსანიშნავად ა. ს. ლაპო-დანილევსკისთან ხმარებული „догословие“³¹. ს. მ. კაშტანოვი რუსულ საბჭოთა დიპლომატიკას ამოცანად უყენებს ლათინური ნომენკლატურის ხმარებასთან ერთად მისი შესატყვისი რუსული ტერმინების გამონახვას.

როგორც ვხედავთ, რუსულ საბჭოთა დიპლომატიკას გასაკეთებელი აქვს ის, რაც ივ. ჯავახიშვილმა ქართული საბუთების მიმართ ჯერ კიდევ 60 წლის წინათ გააკეთა.

ამ მხრივ ქართული დიპლომატიკა ანუ სიგელთმცოდნეობა გარკვეულად რუსულზე მაღლა დგას. ჩვენში ივ. ჯავახიშვილის წყალობით არა მარტო გამონახულია შესაფერისი ტერმინოლოგია, არამედ შეს-

²⁷ „დაუცილებლობის“ შესახებ მზია სურგულაძემ გამოაქვეყნა სპეციალური წერილი — „XIV—XV სს. მეფეთა წყალობის სიგელების დიპლომატიკური თავისებურება“, იხ. ქართული წყაროთმცოდნეობა, V, თბ., 1978, გვ. 63—69.

²⁸ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 118—119.

²⁹ Каштанов С. М. Очерки русской дипломатики, М., 1970, с. 27.

³⁰ იქვე, გვ. 28.

³¹ იქვე.

წავლილია საბუთის შემადგენელი ფორმულების თითოეული ელემენტი. მაგრამ ეს ძირითადად სამეფო საბუთებს ეხება. სხვა რიგის საბუთები კი, ზოგი გამონაკლისის გარდა, ამგვარ დეტალურ შესწავლას ჯერჯერობით ელოდებიან.

საბუთის ფორმა, ე. ი. ფორმულარისა და მისი შემადგენელი ელემენტების თანამიმდევრობა, წერილობით ისტორიულ წყაროებს შორის ყველაზე უფრო მდგრადია. საბუთის სქემა ტრადიციულია, იგი უცვლელად გადადის საუკუნიდან საუკუნეში. ყოველი ახალი ელემენტის გაჩენა ფორმულარში მიგვანიშნებს ქვეყნის შინაურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარ გარკვეულ ცვლილებებზე. მაგრამ ახალი ელემენტები შედარებით ნელა აღწევნენ საბუთის ტრადიციულ განყოფილებებში, ამიტომ დოკუმენტის ფორმა ჩამორჩება მის შინაარსს, ხოლო გარჩევა ახლისა ძველისაგან დიპლომატიკის ამოცანაა.

თავის დროზე ივ. ჯავახიშვილმა შეამჩნია სამეფო საბუთებში XVI ს-დან ახალი ელემენტის გაჩენა. მას აღნიშნული აქვს, რომ საქართველოს დაშლას ცალკეულ სამეფოებად ქართულ სიგელთა დაწერილობისათვის არსებითი ცვლილება არ მოუტანია — ხდება მხოლოდ ადრე არსებული წესების გართულება ან გამარტივება³². ცვლილება შეეხო მხოლოდ ბრძანებულების ნაკვეთს. ეს ნაკვეთი (ლუარსაბ I-ის ერთი 1552 წლის საბუთიდან დამოწმებული) იწყება ადრეული საბუთებისათვის სრულიად უცნობი სიტყვებით: „აწუ უზედაესთა მოგახსენებთ და უქვედაესთა გიბრძანებთ ვინგინდ კარით ჩვენით წარვლენილნი მოსაქმენი იყუნეთ, ქალაქის მოურაო, მამასახლისო, მელიქო და ნაცვალო და სხუანო და სხუანო მოსაქმენო, თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ“³³. ამ წინადადებაში ჩანს მეფის ხელისუფლების დაკნინება და, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „მეფე იმდენად იყო იძულებული უზედაეს მოხელეებისათვის არ ეწყენინა, რომ მათთვის ბრძანების მიცემას ვეღარ ახერხებდა, თუ რომ მოხსენების სახით არ გამოუცხადებდა მათ თავის სურვილებს“³⁴.

და ეს მაშინ, როცა გაერთიანებული საქართველოს მეფე ბრძანებულების ნაკვეთს საბუთში შემდეგი კატეგორიული წინადადებით იწყებდა:

„აწუ, ვინცა ჰნახოთ ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი: შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ ერისთავთა, ერისთავთა, აზნაურთა, მემამულეთა და მოსაკარგავეთა, ციხისთავთა, კევისუფალთა,

³² ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთაშეცვლა..., გვ. 132.

³³ ისტორიული საბუთები, ს. კაკაბაძის გამოც., II, ტფ., 1913, გვ. 41.

³⁴ იქვე, გვ. 133.

მანდატურთა, შურტათა, ჩინებულთა და ყოველთა საქმის მოქმედთა, დაუმტკიცეთ“ (1073 წ. სიგელი გიორგი II-სა)³⁵.

„აწ, ვინცა ჰნახოთ ბრძანებაჲ და სიგელი ესე ჩუენი, ყოველთავე დაუმტკიცეთ“ (1170 წ. სიგელი გიორგი III-ისა)³⁶.

„აწ, ვინცა ჰნახოთ ბრძანებაჲ და სიგელი ესე ჩემი, შემდგომითი შემდგომად მომავალთა შეფეთა, ერისთავთერისთავთა, ერისთავთა, აზნაურთა ოთხმისდურთა, ნაცვალთა, ... ციხისთავთა, კელისუფალთა, გზირთა და ყოველთა საქმის მოქმედთა ჩვენთა, დიდთა და მცირეთა დაუმტკიცეთ!“ (1187 წ. სიგელი თამარ მეფისა)³⁷.

ასეთივე ფორმისაა ბრძანებულების ნაკვეთი თამარ მეფის 1195 წ. სიგელში³⁸, გიორგი IV-ის 1207 წ. სიგელსა³⁹ და 1212 წ. სიგელში⁴⁰; დავით რუსუდანის ძის 1261 წ. სიგელში⁴¹; დავით და ვახტანგ მეფეების 1287 წ. სიგელში⁴²; დავით VIII-ის 1295 წ. სიგელში⁴³; ალექსანდრე I-ის 1425 წ., 1429 წ., 1430 წ. და 1438 წ. სიგელებში⁴⁴; გიორგი VIII-ის 1451 წ. და 1468 წ. სიგელებში⁴⁵.

როგორც ვხედავთ, XI—XV საუკუნეებში უცვლელად შენარჩუნებული ფორმა ბრძანებულების ნაკვეთისა XVI ს-სთვის არსებითად ახალ სახეს იღებს. გვიანი ხანის საბუთებში ისტორიული ვითარების შესაბამისად მომხდარი სხვა სახეცვლილებებიც შეიმჩნევა.

ამგვარი საკითხების გარკვევა ივ. ჯავახიშვილმა მკვლევართა მომდევნო თაობას დაუსახა მიზნად. იგი ქართული დიპლომატიკის დარგში შემოიფარგლა გაერთიანებული საქართველოს მეფეთა სიგელების განხილვით (XI—XV სს.), ქართული დიპლომატიკის დანარჩენი საკითხების კვლევა კი მან ანდერძად დაუტოვა ისტორიკოსთა შემდგომ თაობებს.

ივ. ჯავახიშვილის შემდეგ ქართული დიპლომატიკის მთლიანობაში გაშუქებაზე აღარავის უმუშავნია. კვლევა წარმართა დიპლომატიკის კონკრეტული საკითხების შესწავლისაკენ. 1942—52 წლებში ნ. ბერძენიშვილი მუშაობდა დიპლომატიკის საკითხებზე: „ველი“, „დაწერილი“,

³⁵ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984, გვ. 47.

³⁶ იქვე, გვ. 70.

³⁷ იქვე, გვ. 79.

³⁸ იქვე, გვ. 101.

³⁹ იქვე, გვ. 106.

⁴⁰ იქვე, გვ. 110.

⁴¹ იქვე, გვ. 168.

⁴² იქვე, გვ. 181.

⁴³ იქვე, გვ. 184.

⁴⁴ ქართული სამართლის ძეგლები, 11, გამოსცა ი. დოლიძემ. თბ., 1965, გვ. 118, 121, 122, 125—126. შემდეგში ქსძ.

⁴⁵ იქვე, გვ. 131, 136.

„სიგელი“, „წიგნი“. ეს საკითხები შემდეგ მან გააერთიანა და სათაურით — „მიწისმფლობელობის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში“ — გამოაქვეყნა 1966 წელს⁴⁶.

დიპლომატიკის კონკრეტულ საკითხებს მიეძღვნა ზოგი მკვლევარის ცალკეული ნაშრომები. დიპლომატიკის საკითხებზე მუშაობდნენ კ. გრიგოლია, ა. ბაქრაძე, მ. ბერძნიშვილი, მზ. სურგულაძე, ჯ. ოდიშელი, თ. ენუქიძე, ე. ხოშტარია-ბროსე და სხვ.⁴⁷

ქართულ ისტორიოგრაფიას არ გააჩნია დოკუმენტური წყაროების კლასიფიკაციისადმი მიძღვნილი სპეციალური ნაშრომი. სამაგიეროდ, ჩვენში XIX ს-ის შუაწლებიდან ფართოდ გაიშალა მუშაობა სხვადასხვა სახის დოკუმენტთა გამოსაქვეყნებლად. დოკუმენტთა პუბლიკაციებში კარგად ჩანს, როგორ ესახებოდათ მათ შემდგენლებს საბუთების კლასიფიკაცია. XIX ს-ში ერთნი ამ საბუთებს ქრონოლოგიური თანამიმდევრობით ბეჭდავენ (თ. ჟორდანიას), მეორენი — საარქივო ფონდების მიხედვით (ე. თაყაიშვილი), სხვანი კიდევ გარკვეული თემატიკით აჯგუფებენ გამოსაცემ მასალას (დ. ფურცელაძე, თ. ჟორდანიას). XX ს-ის პუბლიკაციებში სჭარბობს საბუთთა თემატურ-ქრონოლოგიური და თემატურ-ბუდობრივი პრინციპი.

საერთოდ საბუთთა ბეჭდვა-გამოქვეყნება ჩვენში გასული საუკუნის შუა წლებიდან დაიწყო. დოკუმენტთა პირველი პუბლიკატორი საქართველოში მარი ბროსეა. მას მოჰყვა ცალკეული დოკუმენტების გამოქვეყნება ჟურნალ-გაზეთებში, შემდეგ მათი ერთი ნაწილი დაიბეჭდა კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში, ამას მოჰყვა საბუთების მოკლე შინაარსისა და ექსცერპტების რუსულად გამოცემა (დ. ფურცელაძე — *Дворянские грамоты, Грузинские церковные гуджары, Грузинские крестьянские грамоты*). და ბოლოს დაიწყო ქრონოლოგიურად და ბუდობრივ-თემატურად დაჯგუფებული საბუთების პუბლიკაცია (თ. ჟორდანიას — ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, *წწ. I, II*; შიო-მღვიმის მონასტრის ისტორიული საბუთები; ქართლ-კახეთის ეკლესია-მონასტრების საბუთები). ამის პარალელურად ხდებოდა აგრეთვე საბუთების გამოცემა სიძველეთა საცავების ფონდების მიხედვით (ე. თაყაიშვილი — საქართველოს სიძველენი, *წწ. I, II, III*).

⁴⁶ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 175—248.

⁴⁷ ამ ავტორთა შრომების მიმოხილვა იხ. გ. ალასანიას დასახელებულ ნაშრომსა (გვ. 188—193) და ე. ხოშტარია-ბროსეს წერილში: ქართული დიპლომატიკა. მიღწევები და პერსპექტივები („მრავალთავი“, XIV, თბ., 1987, გვ. 57—67).

XX ს. 10-იანი წლებიდან ცალკეული საბუთების გამოცემის გვერდით (ს. კაკაბაძე) ჩნდება დოკუმენტთა თემატური ნიშნით გამოცემებიც — მაგალითად, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები (ს. კაკაბაძე), თუმცა ამავე დროს რჩება საბუთთა გამოცემა ქრონოლოგიური თანამიმდევრობით („საისტორიო საბუთები“, ხუთი წიგნი).

30—40-იანი წლებიდან შემოდის საბუთთა გამოცემის თემატურ-გეოგრაფიულ-ქრონოლოგიური მეთოდი (ნ. ბერძენიშვილის რედაქტორობით გამოქვეყნებული კრებულები — „დოკუმენტები სოციალური ისტორიიდან“, „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“); გეოგრაფიულ-შინაარსობლივი მეთოდი (პ. ინგოროყვა — სვანეთის საისტორიო ძეგლები⁴⁸; ნ. ბერძენიშვილი, მ. ბერძენიშვილი — „დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის“). უკანასკნელ ხანებში გამოვიდა 8 ტომი „ქართული სამართლის ძეგლებისა“ (ი. დოლიძე). ამ გამოცემაში მასალა გამართულია ქრონოლოგიურ-შინაარსობლივი მეთოდით⁹.

თემატურად დალაგება საბუთებისა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რადგან არც ერთი საბუთი თავისი შინაარსით არ შეიძლება მიეკუთვნოს მხოლოდ რომელიმე ერთ თემას. ამიტომ უფრო ეფექტურია საბუთების ქრონოლოგიურად გამოცემა და მკითხველისათვის მინდობა მისთვის საინტერესო მასალის მოძიებისა.

ახალი ეტაპი ქართული დოკუმენტური მასალის გამოცემის საქმეში დაიწყო 1970 წლიდან, როცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის და ხელნაწერთა ინსტიტუტებთან ერთად შეუდგა მუშაობას „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ შედგენაზე. კორპუსში შევა IX—XVIII სს. ყველანაირი საბუთი — დედანი თუ პირი — რასაც კი ჩვენამდე მოუღწევია. 1984 წელს გამოვიდა პირველი წიგნი, რომელიც შეიცავს IX—XIII სს. საბუთებს. ამჟამად წარმოებაშია მეორე ნაკვეთი (XIV—XV სს.), მომდევნო ნაკვეთებზე კი მუშაობა გრძელდება.

⁴⁸ დოკუმენტები სვანეთიდან 1987 წ. გამოაქვეყნა ხელახლა ქრონოლოგიურ-გეოგრაფიული მეთოდით „სვანეთის წერილობითი ძეგლების“ I წიგნში ვ. სილოგავამ.

⁴⁹ ქართული დოკუმენტური წყაროების გამოქვეყნების საკითხის ისტორიის ვრცლად შეეხნენ გ. ალასანიას (დასახ. ნაშრომი, გვ. 188—196) და ე. ხოშტარიანბროსე წერილში: ქართული დიპლომატიკა. მიღწევები და პერსპექტივები („მრავალთავი“, XIV, 1987. გვ. 63—64).

XVI—XVIII სს. საბუთები როგორც საისტორიო წყარო

„სიზღის თავი“ XVI—XVIII სს. სამეფო საბუთებში

XVI—XVIII საუკუნეების საბუთებმა ჩვენამდე მრავლად მოაღწიეს. თუ წინა საუკუნეებიდან შემონახული დოკუმენტები რამდენიმე ათეულს ძლივს აღწევენ, გვიანი საუკუნეების საბუთების რიცხვი უკვე რამდენიმე ათასს აღწევს. ეს რიცხვობრივი სიმრავლე, რასაკვირველია, შედარებითაა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ, მაგალითად, საფრანგეთში, მარტო ლუი XIV-ის ხელმოწერილი 40 ათასი სხვადასხვა საბუთია შემონახული, ჩვენი საბუთების სიმრავლე აღარ გავიკვირდება.

XVI—XVIII სს. საბუთები, რიცხვობრივი სიმრავლის გარდა შინაარსობლივი მრავალფეროვნებითაც ხასიათდებიან. პოლიტიკურმა სიტუაციამ (საქართველოს დაშლა — ცალკე სამთავროების წარმოშობა, უცხოელე დამპყრობელების ბატონობა) თავისი დადი დაასვა ქართულ საბუთებსაც.

რამდენადაც საბუთი, დოკუმენტი არის გარკვეული დიპლომატიკური ნორმებით, ტრადიციით ჩამოყალიბებული ფორმულარებით შედგენილი საისტორიო წყარო, იგი გარეგნული, ფორმალური ნიშნებით მდგრადია და ნაკლებად იცვლება საუკუნიდან საუკუნემდე. მაგრამ რამდენადაც საბუთი ამავე დროს არის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი, ადამიანთა ყოველდღიური ურთიერთობის გამომხატველი, ის არ შეიძლება ცხოვრებიდან შორს იდგეს და არ ასახავდეს ყველა იმ ცვლილებას, რაც კი ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ სფეროში ხდება.

დადგენილია, რომ XV ს-დან, საქართველოს ცალკეულ სამეფოებად დაშლის დროიდან, თანდათან დაიწყო დიპლომატიკურ ცნებათა აღრევა: ადრე ჩამოყალიბებული ტერმინები იხმარება უკვე გარკვეული წესის გარეშე და ერთი ცნებით გამოიხატება რამდენიმე სხვადასხვა მოვლენა, ან ერთი გარკვეული მოვლენა რამდენიმე სხვადასხვა ცნების ქვეშ ერთიანდება.

XI—XV საუკუნეებში მეფისაგან გაცემულ დოკუმენტს სიგელი ეწოდება, საეკლესიო ან კერძო პირთაგან გაცემულ საბუთს კი — „და-

წერილი“. ამავე დროს საერთოდ საბუთის აღმნიშვნელ სახელწოდებად ჩანს ტერმინი „წიგნი“.

XVI ს-დან შეინიშნება ამ ძირითადი ცნებების აღრევა. სიგელით ახლა უკვე აღინიშნება არა მარტო მეფისაგან გაცემული საბუთები, არამედ სხვა, კერძო პირთაგან გაცემულიც. ძირითადად სიგელი აღნიშნავს შეწირულების საბუთს, მიუხედავად იმისა, შემწირველი მეფეთუ კერძო პირი. მაგ., სიგელი ეწოდება ლეონ მეფისაგან ნინოწმიდისადმი 1553 წელს მიცემულ შეწირულების საბუთს¹ და ამილახორისაგან სვეტიცხოვლისადმი 1556 წელს მიცემულ შეწირულების საბუთსაც².

ხშირად „სიგელი“ შეწირულების გამაფორმებელი დოკუმენტის სახელწოდების ერთერთი კომპონენტი; „წიგნი და სიგელი“ ეწოდება როგორც მეფის (მაგ., თამარ დედოფლის 1611 წლის შეწირულების საბუთს ბოლნისის სიონისადმი³), ისე კერძო პირისაგან (მაგ., ელენე ბარათაშვილის 1623 წლის შეწირულების საბუთს თბილისის სიონისადმი⁴) გაცემულ შეწირულების დოკუმენტს.

„სიგელი“, როგორც სახელწოდების ერთერთი კომპონენტი, შესულია ნასყიდობის გამაფორმებელი დოკუმენტის სახელწოდებაში. ასეთ დოკუმენტებს XVII ს-დან „ნასყიდობის წიგნი და სიგელი“ ეწოდებათ (მაგრამ იგი, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს ნასყიდობას საბუთის აღმნიშვნელ ერთადერთ სახელწოდებას). „ნასყიდობის წიგნი და სიგელი“ ერთნაირად ეწოდებათ თავადისაგან თავადისადმი, თავადისაგან ეკლესიისადმი, ყმისაგან ბატონისადმი გაცემულ ნასყიდობის საბუთებს⁵.

თუ „სიგელმა“ XVI ს-დან მნიშვნელობა შეიცვალა, ამავე ხანებიდან სრულიად აღარ გვხვდება აღრე გავრცელებული ტერმინი „დაწერილი“.

¹ ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წიგნი III, ტფ., 1913, გვ. 66, (შემდეგში: ისტ. საბ.).

² იქვე, წიგნი II, ტფ., 1913, გვ. 43.

³ იქვე, წიგნი IV, ტფ., 1913, გვ. 7.

⁴ იქვე, წიგნი III, გვ. 56, 65.

⁵ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, II, თბ., 1959, № 83 (შემდეგში მოკლედ: სოც.); მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. III, მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1955, გვ. 114 (შემდეგში მოკლედ: საქ. ეკ.); საქართველოს სიძველენი, I, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1910, გვ. 51, 73, 102, 280 (შემდეგში მოკლედ: საქ. სიძვ.); დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, წ. I, შეადგინეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძენიშვილმა, თბ., 1962, № 183 (შემდეგში მოკლედ: დოკ. თბ. ისტ.); სარგის კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წ. V, ტფ., 1910, გვ. 78.

საერთოდ, XVI—XVIII საუკუნეების საბუთების ზოგად, გამაერთიანებელ სახელწოდებად, ყოველგვარი საბუთის აღმნიშვნელ ტერმინად ჩანს „წიგნი“. ამასთან ერთად „წიგნი“ ხშირად მსაზღვრელთან ერთად იხმარება. მსაზღვრელი კი გამოხატავს საბუთის რაობას, მის კონკრეტულ სახეობას. მაგ., „თავის შეწირულობის წიგნი“, „თავშეწირულობის წიგნი“, „შემოწირულობის წიგნი“, „ყმობისა და თავის შეწირულობის წიგნი“ — ესაა ყმად თავის შეწირვის გამაფორმებელი დოკუმენტების ზოგადი სახელწოდებები. „თავდახსნილობის წიგნი“, „აზატობის წიგნი“, „სითარხნის წიგნი“, „თავისუფლების წიგნი“ (იმერეთი) ჰქვიათ ყმის გადასახადებებისაგან განმათავისუფლებელ დოკუმენტებს. „ნასყიდობის წიგნი“⁶ ეწოდება ყიდვის გამაფორმებელ დოკუმენტს. დოკუმენტთა გარკვეული წყებები იწოდება მსაზღვრელდამატებულ წიგნად: „ერთობის წიგნი“, „სათავებო წიგნი“, „გარდაწყვეტილების წიგნი“, „უღებობის წიგნი“, „უსადეო წიგნი“ (იმერეთი), „მზითვის წიგნი“, „ანდერძის წიგნი“, „შართლამის (პირობის) წიგნი“, „იხტიარობის (რწმუნების) წიგნი“, „ვექილამის წიგნი“, „წყალობის წიგნი“, „გაცვლილობის წიგნი“ და ა. შ.

ზოგჯერ „წიგნი“ იხმარება როგორც საბუთის სახელწოდების ერთ-ერთი კომპონენტი. მაგ., „ნასყიდობის წიგნი და სიგელი“⁷, „შეწირულების წიგნი და სიგელი“⁸.

სიტყვა, რომელიც აღნიშნავს წიგნის კონკრეტულ სახეობას, ხშირად იხმარება დამოუკიდებლად, „წიგნის“ გარეშეც, და წარმოადგენს საბუთთა გარკვეული წყების სახელწოდებას. „შართლამის წიგნის“, „მუხალგის წიგნის“, „ფიცის წიგნის“, „პირობის წიგნის“ და სხვა პარალელურად იხმარება აგრეთვე „შართლამა“, „მუხალგა“, „საფიცარი“, „ფიცი“, „პირი“ და სხვა. ე. ი. საბუთის რაობის დამაკონკრეტებელი ნაწილი სახელწოდებისა დამოუკიდებელ მნიშვნელობას იღებს და საბუთთა გარკვეული კონკრეტული ჯგუფის სახელი ხდება.

საბუთთა სახელწოდებებში ჩანს კიდევ ერთი სხვაობა — კონკრეტული სახელით გამოხატული საბუთთა ჯგუფის კიდევ უფრო დაკონკრეტება; მაგალითად, ტერმინში „წყალობის წიგნი“ — ორი ნაწილია: „წიგნი“ — ზოგადი ცნება, და „წყალობის“ — წიგნის კონკრეტული მნიშვნელობის გამოხატულება. ეს ტერმინი („წყალობის წიგნი“) უკვე თავისთავად იღებს ზოგადი ცნების მნიშვნელობას და ხდება მისი და-

⁶ საქართველოს სიძველენი, I, ტფ., 1910, გვ. 25, 42, 290.

⁷ დოკუმენტები საქ. სოც. ისტორიიდან. II, № 38; საქართველოს სიძველენი, I, გვ. 51; დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, I, № 183; ისტორიული საბუთები, V, გვ. 78.

⁸ ისტორიული საბუთები, IV, გვ. 54; დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, I, № 182.

კონკრეტება — ე. ი. საბუთის სახელწოდებაში ისახება ის, თუ სახელ-
 დობრ რისი წყალობა არის გაფორმებული მოცემულ დოკუმენტში.
 „სახელოს წყალობის წიგნი“ (სიძვ. I, 139), „ადგილისა და სოფლის
 წყალობის წიგნი“ (სიძვ., I, 1), „საცილობლის წყალობის წიგნი“
 (სიძვ. I, 43), „გლეხებისა და წყალობის წიგნი“ (ისტ. საბ. V, 18);
 გვხვდება სახელწოდება „წყალობისა და სითარხნის წიგნი“, რომელ-
 შიაც ერთდროულად ასახულია საბუთის გამცემის ორი მოქმედება —
 გლეხის გათარხნება გადასახადებისაგან და მისი შეწირვა (ისტ. საბ. V,
 76).

შეწირულების წიგნის მნიშვნელობით იხმარება ზოგჯერ „გუჯარა“⁹.

საბუთის აღმნიშვნელ ერთერთ ზოგად ცნებად ჩანს „პირი“. 1700
 წლით დათარიღებულ საბუთს ეწოდება „ნასყიდობის წიგნი, ფიცი და
 პირი“ (სიძვ. I, 61); დადასტურებულია კიდევ სახელწოდება „ნასყი-
 დობის წიგნი და პირი“ (სიძვ. I, № 41, № 126) „წყალობის ფიცი, პი-
 რი და საფიცარი წიგნი“¹⁰; „წყალობის სამკვიდრო ფიცი, პირი და
 წიგნი“ (1680 წელს მეფე უბოძებს წერეთელს ყმაძამულს)¹¹; „წიგნი,
 პირი და საფიცარი (სიძვ. I, № 21). ამ დასახელებებში „პირი“ გვევლი-
 ნება წიგნის სინონიმად. ამავე დროს „პირი“ იხმარება დამოუკიდებე-
 ლი მნიშვნელობითაც — ე. ი. ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით: პირი
 გამოხატავს პირობის დადების შემცველ დოკუმენტს.

პირობის წიგნის აღსანიშნავად იხმარება შემდეგი სახელწოდებები:
 „შართლამის წიგნი“ (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტო-
 რიიდან¹², II, № 343, 378). „აღთქმითი და ფიცის წიგნი“ (სიძვ., I, 11,
 № 93). მუხალგის წიგნი ზოგჯერ უდრის მოწმობის წიგნს (სოც., II,
 გვ. 265), ზოგჯერ ფიცის წიგნს (სოც. II, № 186) და ზოგჯერაც პირო-
 ბის წიგნს (სოც., II, № 355). „წიგნი, ფიცი და პირი“ (საქართველოს
 სიძველენი, I, № 8, 15)¹³, „აუარებელი ფიცის წიგნი და პირი“ (სიძვ. I,
 გვ. 9; II, 13), „ფიცის, პირი და საფიცრის წიგნი“ (სიძვ. I, № 16),
 „წიგნი და პირობა“ (სოც., II, № 433), „წიგნი და პირი“ (სოც., II,
 № 29), „უტყუარი, უხერხო წიგნი“ (ისტორიული დოკუმენტები იმე-
 რეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა. წ. I, გამოსცა
 შ. ბურჯანაძემ. თბ., 1969, № 29).

უცხოური (აღმოსავლური) სახელწოდებები ცვლიან ადრე მიღებულ
 ქართულ სახელწოდებებს, მაგრამ საბოლოოდ არ დევნიან მათ. ქარ-

⁹ ქართული სამართლის ძეგლები. III, ტექსტები გამოსცა ი. დოლიძემ (თბ.,
 1970, გვ. 668).

¹⁰ საქართველოს სიძველენი, I, № 16.

¹¹ იქვე, № 15.

¹² შემდეგში შემოკლებით „სოც.“.

¹³ შემდეგში შემოკლებით „სიძვ.“.

თული სახელწოდებები მაინც იხმარება აღმოსავლურის პარალელურად. ბათილამა, ვექილამა, მუხალგა, თამასუქი, მუჯალამა, შართლამა, ბეიშურათი, ყაბზი იხმარება პარალელურად ქართული ფორმებისა: გარდაწყვეტილების წიგნი, რწმუნების წიგნი, პირობის წიგნი, ვალის ხელწერილი, ფიცის წიგნი, გირობის წიგნი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აღმოსავლური სახელწოდებები ყოველთვის არ იხმარება ერთი გარკვეული მნიშვნელობით, ზოგჯერ ისინი ორი ან რამდენიმე მნიშვნელობის მატარებლად ჩანან. მაგ., ბათილამა აღნიშნავს ხან დაკარგული საბუთის (თამასუქის) ნაცვლად ხელახლა დადებულ საბუთს („მასალები საქ. ეკონომიური ისტორიისათვის“, II, № 33)¹⁴, ხან ვალის გარდაწყვეტილების საბუთს. მუხალგა ერთდროულად აღნიშნავს ფიცის წიგნსაც (სოც. II, № 186) და პირობის წიგნსაც (სოც. II, № 355). მუჯალამა — მოწმეთა ჩვენებას (ეკ. I, 25) და საერთოდ მოწმობას, დამოწმებას (ეკ. II, № 378).

ადგილობრივი და უცხოური სახელების პარალელურად ხმარება სრულიადაც არ ნიშნავს, რომ სხვადასხვანაირად წოდებული საბუთები განსხვავებულადვე იყოს დაწერილი; ფორმა, აღნაგობა, საბუთის შედგენის წესი ერთნაირია, მიუხედავად იმისა, თუ როგორ იწოდება ის.

საერთოდ, საბუთის სახელწოდება მოცემულია ხოლმე ე. წ. „სიგლის თავში“ (ჩვენ ამა და ამან ეს მტკიცე და მოუშლელი ნასყიდობის წიგნი ვიბოძეთ...). XVII—XVIII სს. კი შეინიშნება ერთი მოვლენა: „სიგლის თავში“ საბუთის ერთი სახელწოდებაა მოცემული, ბოლოში კი, სადაც საბუთის გამცემი მოითხოვს მისი განგებულობა სხვებმაც დაამტკიცონ, ზოგჯერ იგივე საბუთი სხვა სახელწოდებით აღინიშნება.

მაგ., სიმონ II-ის 1628 წლის საბუთს თავში „წყალობის წიგნი“ ეწოდება, ბოლოში კი ეს საბუთი „ფარვანა“-დ არის სახელწოდებული. „ასე გაურიგეთ, როგორც ჩვენს ნაწყალობეც ფარვანაში ეწეროს“ (ქართული სამართლის ძეგლები¹⁵, II, 213); ასევე ფარვანა ცვლის იმამყულიხანის მიერ 1721 წელს გაცემულ „სიგელსა და საფიცარს“ (იქვე, 236); ვახტანგ VI-ის 1722 წლის „წყალობის წიგნსა და სიგელს“ („რა რიგადაც ჩვენს ნაბოძებ ფარვანაში ეწეროს“) (ქსძ, II, 389).

XVIII ს. I მეოთხედის ზოგ საბუთში, ფარვანას ნაცვლად „ბუი-რულით“-ა ნახსენები (ქსძ, II, 233).

XVII—XVIII სს. საბუთებში გარკვეული ადგილი უჭირავთ დემოგრაფიულ, სტატისტიკურ აღწერებს. ამ ხანიდან შემორჩენილი გვაქვს „ხალხის აღწერის დავთრები“, მორიგეთა სიები (სოც. II, გვ. 81—83), ყმების სიები, ხიზნის ნუსხა (სოც. II, № 328). არსებულია „ქალაქის

¹⁴ შემდეგში შემოკლებით „ეკ.“.
¹⁵ შემდეგში შემოკლებით „ქსძ“.

დავთარი“ (ისტ. საბ. V, გვ. 109); ეკონომიკური ხასიათის საბუთებიდან — „გამოსაღებთა ნუსხები“, „ხარჯის ნუსხები“, „ღალის სია“ (ეკ. III, 116). დავთართან აღინიშნება ხარჯის, შემოსავლის, გამოსაღებთა ნუსხები. დავთრის პარალელურად იხმარება კიდევ ტერმინი „გამოსავალი“ — „საკაიშლო გამოსავალი მოსაკრებულობა“ (ქსძ, III, № 92), „საკათალიკოსო გამოსავალი მოსაკრებლობა“ (ქსძ, III, № 91).

საბუთთა სახეობებიდან ცალკე ჯგუფს ქმნიან „სასამართლო დადგენილებანი“, „მსაჯულთ გარდაწყვეტილებანი“, „განჩინებანი“.

არზა-საჩივრები და მათ თავზე გაკეთებული მეფის „ოქმები“ საბუთთა ერთ გარკვეულ სახეობას წარმოადგენენ.

XVII ს-დან ჩნდება საბუთების ახალი ფორმა — ბრძანება. ბრძანება როგორც მეფისაგან, ასევე ზოგი დიდმოხელისაგან გაცემული საბუთია. მაგ., ერასტი მდივანბეგის ბრძანება იასაულისადმი 1676—1688 წლებისა (სოც. II, № 17): „ბრძანება“, როგორც შემადგენელი ნაწილი საბუთის სახელწოდებისა, გაერთიანებული საქართველოს დოკუმენტებშიაც გვხვდება, მაგრამ ბოლოში, არა სათაურად (მაგ., ბაგრატი IV-ის 1058 წ. სიგელის ბოლოში ვკითხულობთ: „ბრძანება და სიგელი ესე ჩვენი თქვენც აგრე დაუმტკიცეთ“). XVII ს-დან კი „ბრძანება“ საბუთის კონკრეტული სახეობის აღმნიშვნელი სახელწოდება ხდება და იხმარება ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

საბუთის ყველა ამ სახეობას თავისი შედგენილობის წესი აქვს; საბუთის შედგენის წესი ერთნაირია XVI—XVIII საუკუნეებში, ამასთან იგი განმეორებაა ადრე ჩამოყალიბებული წესისა. უკვე XI ს-ში დადასტურებული საბუთის შედგენილობის ფორმა XVIII ს-მდე ძირითადად უცვლელია. იცვლება ზოგი შემადგენელი ელემენტი, ელემენტთა თანმიმდევრობა კი მეტწილად ერთნაირია. მეფისაგან ბოძებული წყალობისა და შეწირულების წიგნები ამ მხრივ სანიმუშო მდგარალობის მაჩვენებელია. ამ რიგის საბუთთა შედგენის წესი XVI—XVIII სს. დიდად არ განსხვავდება XI—XII სს. დადასტურებული წესიდან. შეინიშნება მხოლოდ საბუთის ზოგ ნაწილში ელემენტთა გადაადგილება.

საბუთის პირველ ნაწილს „სიგლის თავი“ ეწოდება და იგი XI—XV სს. (მეფის წყალობის წიგნების მაგალითზე) შედგებოდა ქანწილის, ღვთის ხსენების (invocatio), მეფის სახელისა და მეფის ტიტულისაგან¹⁶. XVI ს-დან შეინიშნება მეფის წოდებულობის ანუ მეფის ტიტულის (intitulatio) გადასმა წინ, მეფის სახელი კი ტიტულს მოსდევს უკან.

¹⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1926, გვ. 87—95; მ. ბერძენიშვილი, ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან. „სიგლის თავი“ XI—XV სს-ში. ქართული წყაროთმცოდნეობა, V, თბ., 1978, გვ. 50—59.

ასე, თუ გაერთიანებული ხანის საბუთებში „სიგლის თავის“ ელემენტები ასეთი თანმიმდევრობით წარმოგვიდგება: „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა, ჩვენ დავით ბაგრატიონმან, ძემან სულკურთხეულისა მეფეთმეფისა რუსუდანისამან, ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა, კახთა და სომეხთა მეფემან, შარვანშა და შანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა მპყრობელმან“¹⁷, XVI ს-დან ეს ელემენტები შემდეგნაირად ლაგდებათ: „ქ. ნებითა ღმრთისათა ჩუენ (შემდეგ მოდის ტიტული) იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატიონიან, აფხაზთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შანშა და შარვანშა და ყოვლისა ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისა თვით კელმწიფედ მპყრობელ-მქონებელმან, ღმრთივ გვირგვინოსანმან, ძლიერმან და უძლეველმან მეფეთმეფემან პატრონმან ალექსანდრე“¹⁸ (შემდეგ მოდის თანამეცხედრისა და შვილების დასახელება).

განსხვავება შეიძინევა ელემენტთა გადაადგილებაში და თვით ელემენტის შედგენილობაში. ადრეული საბუთების *intitulatio*-ს ემატება „იესიან დავითიან სოლომონიან-ბაგრატიონიან“ და ეპითეტები „ღვთივ გვირგვინოსანი, ღვთივ დამყარებული, ღმრთისა მიერ წარმართებული“.

წყალობის საბუთები XI—XV სს. შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1. სიგლის თავი,
2. ჰაჯა-მოსხენება (*narratio*), და საბუთის მიმღების ხსენება,
3. განგებულება (*dispositio*),
4. ბრძანებულება,
5. წყევა-კრულვა და კურთხევა,
6. საბუთის დაწერის თარიღი,
7. მოწმე-დამამტკიცებელი.

XVI ს-დან წყალობის სიგელებში ელემენტთა ასეთ თანმიმდევრობას ვხვდებით:

1. სიგლის თავი: ორი ნაწილისაგან შესდგება: *invocatio*, რომელიც შეიცავს ღვთისა და აგრეთვე ღვთისმშობლისა და ყველა ან ზოგი წმინდანის ხსენებას. *intitulatio* — მეფის სახელის ხსენება, რასაც თან სდევს — და სწორედ ეს არის განსხვავებული ადრეული საბუთებისაგან — მეფის თანამეცხედრისა და შვილების ჩამოთვლა.

2. საბუთის რაობის დასახელება, რასაც თან ერთვის თვით საბუთის დახასიათება, რომ ის არის უდავო, უთუმცაო, დროდაუდებელი, მიზეზ-შემოუღებელი და ა. შ.

¹⁷ ქსდ, III, 73.

¹⁸ ქსდ, II, გვ. 195.

3. საბუთის მიმღების დასახელება (აქ მოცემულია საბუთის მიმღები მთელი საგვარეულო — მამა-ბიძანი, ძმები, ბიძაშვილები).
4. საბუთის გაცემის მიზეზი („მოგვიდევით კარსა და გვეაჯენით“)
5. დასახელება იმისა, თუ სახელდობრ რას ეაჯენ.
6. განგებულება („ვისმინეთ აჯა... და შევიწყალეთ და გიბოქეთ“).
7. დასახელება, სახელდობრ რა უბოქეს.
8. წყალობის პირობა („ჩვენ ერთგულებაში გიბედნიეროს ღმერთმა“).

9. მოუშლელობა (ხშირად აქ ხელახლა მეორდება ნაბოქების დასახელება).

10. ბრძანება მოხელეთადმი („თქვენც ასევე დაუმტყცეთ...“).
11. თარიღი. დამწერი.
12. ხელრთვა.
13. შემდგომ მეფეთა დამტყცებანი¹⁹.

ამ საერთო სქემაში შეიმჩნევა ძველთან შედარებით ზოგიერთი ელემენტის გადაადგილება. თუ ადრე ჯერ ჰაჯა-მოხსენება იყო მოცემული და შემდეგ საბუთის მიმღების ვინაობა, ახლა ჯერ ვინაობა და შემდეგ აჯა-მოხსენება.

თვით ელემენტები კი ძირითადად ერთნაირი, ტრაფარეტული, ტრადიციით ჩამოყალიბებული ფორმით არის მოცემული, განსხვავება საბუთებს შორის ჰაჯა-მოხსენების რაობასა და განგებულების კონკრეტულ მნიშვნელობაშია მხოლოდ.

განგებულება არის ის ნაწილი, რომელშიაც მოცემულია საბუთის ძირითადი შინაარსი და სწორედ ეს ნაწილია ისტორიის სხვადასხვა საკითხების შესასწავლად ძირითადი წყარო.

საბუთის თავი საერთოდ მოიცავს ძვირფას მასალას საქართველის ისტორიის დინასტიურ-გენეალოგიური საკითხების გადასაწყვეტად. ხოლო intitulatio გვამცნობს მეფის უფლებათა ისტორიას, მისი რეალური ძალაუფლების საზღვრებს. მაგრამ მეფის ტიტულატურის გადმოცემაში შეიმჩნევა ორი მომენტი: ერთი, როცა ტიტულატურა რეალურ ვითარებას გამოხატავს, და მეორე, როცა ტიტულატურა ტრადიციული ფორმულით არის გადმოცემული, იგი მხოლოდ ტრაფარეტადაა ქცეული და მისი დამწერი მას ხმარობს ან ტრადიციულად, მიმბა-

¹⁹ საბუთის გაცემის მოტივი ხშირად ტრაფარეტულად არის ფორმულირებული და ამ მოტივის რეალურ საფუძველს არ შეიცავს. მეფე ხშირად წყალობას გაიღებს მხოლოდ სათანადო ქრთამის, ფეშქაშის მიღების შემდეგ. ეს მომენტი ზოგჯერ იბარება საბუთის ტექსტშიც: „ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი. ქრთამიც კარგი მოგვართვით, ...და მოგეცით ლიჩი სამოურაოდ“ (ისტორიული საბუთები იმერეთის სამეფოსი და გურია-ოდიშის სამთავროსი. შეადგინა შ. ბურჯანაძემ. თბ., 1959, № 14. ობ. № 4).

ძველობით, ან ტრაფარეტული ფორმულით იგი აცხადებს პრეტენზიას უკვე დაკარგულ ვითარებაზე.

XVI—XVIII საუკუნეები მდიდარია პოლიტიკურ სიტუაციათა ხშირი ცვლევადობით, რაც თავის გამოხატულებას პოულობს მეფის ტიტულატურის ფორმულარში²⁰. ტრაფარეტიდან ოდნავი გადახვევა მიჩვენებელია რაიმე ცვლილებისა ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაში.

XV ს-ში დაშლილი საქართველოს ცალკეული სამეფოების მეფეები დასაწყისში თავის წოდებულობას ისევ იმ ფორმულით გამოხატავდნენ, როგორც გაერთიანებული საქართველოს მეფეები. მაგრამ თანდათან ფეხს იკიდებს ისეთი ფორმულარი, რომელიც დამახასიათებელი იქნებოდა სწორედ მხოლოდ ქართლის, კახეთის ან იმერეთის სამეფოებისათვის.

XVI ს-ში ლუარსაბ I (1534—1558) ატარებს ასეთ ტიტულს: „იესიან-დავითიან სოლომონიან ბაგრატიონიანმან, ყოვლისა საქართველოსა ტახტისა და გვირგვინისა ფლობით მპყრობელმან, თქვენ მიერ (—ღვთის მიერ) გვირგვინოსანმან ლუარსაბ“²¹ — თუმცა ლუარსაბი „ყოვლისა საქართველოსა ტახტისა“ მფლობელი არა ყოფილა.

მომდევნო მეფეები თავიანთ ტიტულატურაში რეალურ ვითარებას ასახავენ. სიმონ I (1558—1601) ყველა ჩვენთვის ცნობილ საბუთში იხსენიება როგორც „ღვთივ გვირგვინოსანი მეფეთმეფე პატრონი სვიმონ“²². ასეთივე ტიტულით არის შემკული ლუარსაბ II (1606—1615): „ღვთივ გვირგვინოსანმან მეფეთ მეფემან პატრონმა ლუარსაბ“²³.

ლუარსაბ II-ის შემდეგ კი ქართლის მეფეების ტიტულატურაში ჩნდება ახალი ელემენტი — „წყალობითა შაჰ-აბასითა“ — ბაგრატ VII-ის (1615—1619) საბუთსა²⁴ და „ბრძანებითა შაჰ-აბაზ ყეენისათა“ — სიმონ II-ის (1619—1632) 1626 წ. საბუთში²⁵. თუმცა სხვა საბუთებში

²⁰ ამ ხანის საბუთებში დაცული მეფის ტიტულატურა ელ. ხოშტარიას განხილული აქვს როგორც საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის იდეის ასახვა („საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის იდეის ასახვა ქვეყნის დაშლილობის ხანის ქართულ დოკუმენტურ წყაროებში“. „მრავალთავი“ VI, თბ., 1978, გვ. 190—203).

²¹ 1552 წ. საბუთი მცხეთისადმი. ისტ. საბ., III, 63.

²² 1573 წ. საბ. — სიძვ., II, 99.

1582 წ. საბ. — სიძვ., II, 33.

1583 წ. საბ. — სიძვ., I, 37.

1588 წ. საბ. — სიძვ., III, 35.

1591 წ. საბ. — სიძვ., I, 337.

1596 წ. საბ. — სიძვ., II, 184.

²³ 1615 წ. საბ. — სიძვ., II, № 187.

²⁴ დოკ. თბ. ისტ., № 3.

²⁵ ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი დაურთო ვ. ფუფუხიძემ. თბ., 1955, № 21. იგივე საბუთი დაბეჭდილია აგრეთვე სიძვ., II, № 102.

სვიმონ II-ის ტიტულატურა ქართლის მეფეების ადრე მიღებულ ტრაფარეტითაა ვადმოცემული — „ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა, ჩვენ, მეფემან პატრონმან სვიმონ“²⁶, ან „ღვთივ გვირგვინოსანმან მეფეთ მეფემან პატრონმან სვიმონ“²⁷.

სვიმონ II-ის ორენოვან საბუთებში ქართული ტექსტი ჩვეულებრივი, ქართულ დიპლომატიკაში მიღებული წესით არის შედგენილი, საბუთის ბოლოს კი ყველგან მოცემულია ქართულივე ხელრთვა მეფისა. სპარსული ტექსტი კი არ წარმოადგენს ქართულის თარგმანს, იგი დამოუკიდებელი საბუთია, სპარსულში მიღებული წესებით შესრულებული. მაგრამ სპარსულ ტექსტს უზის სვიმონ მეფის სპარსულწარწერიანი ბეჭედი: „მონა შაჰბასისა სვიმონ“.

თუ გავიხსენებთ, რა ეპოქა იყო ბაგრატ VII-ისა და სიმონ II-ის მეფობის ხანა და აგრეთვე იმას, თუ რას წარმოადგენდნენ ისინი ირანსაქართველოს ურთიერთობაში, მოულოდნელი არ იქნება მათ მიერ გაცემულ საბუთთა თავში გამოთქმის „ბრძანებითა შაჰბას ყაენისათა“ გაჩენა. უფრო საკვირველია, რომ ამ მეფეთა საბუთებში მხოლოდ ზოგჯერ გვხვდება ეს გამოთქმა.

როსტომის გამეფებით ახალი ხანა დაიწყო საქართველოს ისტორიაში. დაიწყო მაჰმადიან მეფეთა მფლობელობის 90-წლიანი მშვიდობიანი პერიოდი. თვით მეფე ირანის შაჰის ვალი იყო. ამ პერიოდის სიახლე იმაშიც გამოიხატებოდა, რომ მეფეს ზოგ შინაურ საქმეებში ერთგვარი დამოუკიდებლობა ჰქონდა. ეს გარემოება კარგად გამოჩნდა როსტომისაგან გაცემული საბუთის „სიგლის თავში“. ყველა მათგანში როსტომი სახელდებულია ერთნაირი ტიტულით: „ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ჩვენ, პატრონმან როსტომ... ესე წყალობის სიგელი“²⁸, ან „ნებითა და შეწევნითა ღვთისათა, ჩვენ, კელმწიფემან მეფემან, პატრონმა როსტომ“²⁹... 1652 წლის საბუთის სახელწოდებაში შემოდის ახალი ელემენტი — „ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ჩვენ ღვთივ გვირგვინოსანმან ქართლისა და კახეთისა ორისავე მპყრობელმან, მეფეთმეფემან კელმწიფემან პატრონმან როსტომ...“³⁰ აქ ახალია „ქართლისა და კახეთისა ორისავე მპყრობელმან“. ეს ელემენტი სხვა დო-

²⁶ 1624 წლის საბ. — სიძვ., II, № 365; 1623 წლის საბ. — სიძვ., II, № 172; 1626 წლის საბ. — იქვე, № 22.

²⁷ ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, I, №№ 24, 25, 26, 27, 28, 29, 31, 32.

²⁸ 1633 წ. საბუთში — სიძვ., II, № 188; 1634 წ. — სიძვ., II, № 189, 190; 1645 წ. — სიძვ., II, № 195.

²⁹ 1633 წ. საბუთში — სიძვ., II, № 23; 1636 წ. — სიძვ., II, № 24; 1636—1651 წწ. საბუთებში.

³⁰ ქართულ-სპარსული საბუთები, I, № 101, № 102.

უმენტში 1653 წ. ერთგვარი ცვლილებით არის მოცემული: „ორისა-
 ე საბატონოსა, ქართლისა და კახეთისა მპყრობელმან“³¹. ამ სიახლეს
 იტულატურაში რეალური საფუძველი აქვს — როსტომს 1652 წელს,
 ართლაც, მისცეს კახეთი. მაგრამ მას შემდეგ, რაც მას კახეთი ისევ
 ამოერთვა (1656 წ.), ტიტულატურაში ეს ელემენტი ტრადიციად მა-
 ნც შეინარჩუნა. 1654—1658 წლების ზოგ საბუთში (არა ყველაში)
 ოსტომი კვლავინდებურად იწოდება „ორისავე საბატონოს მპყრობე-
 ულ“³².

1634 წლიდან მოკიდებული როსტომის ყველა საბუთის „სიგლის
 ავში“ მასთან ერთად მოიხსენიება: „თანამეცხედრე ჩვენმა დედო-
 ვალთ-დედოფალმან პატრონმა მარიამ“³³.

ცნობილია, რომ მარიამ დედოფალს პირველი ქორწინებიდან გუ-
 რიელისაგან ჰყავდა ვაჟი — ოტია, რომელიც როსტომთან იზრდებოდა,
 საგრამ იგი როსტომს თავის მემკვიდრედ არ გაუხდია. თავის მემკვიდ-
 რედ მან აირჩია ლუარსაბ I-ის შვილიშვილი ლუარსაბი, რომელიც მან
 1642 წელს იშვილა. ლუარსაბი, როგორც როსტომის პირმშო ძე, „სიგ-
 ლის თავში“ პირველად 1645 წლის 20 ივნისის საბუთში იხსენიება:
 „ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ჩვენ მეფეთ-მეფემან პატრონმან
 როსტომ და ძეთა ჩვენთა პატრონმა ლუარსაბ“...³⁴.

ოტია ბატონიშვილი 1645 წლის 25 იანვარს გარდაიცვალა³⁵, თუმცა
 როსტომი ოტიას, ფარსადან გორგჯანიძის სიტყვით, „თავისთვის შვი-
 ლად ზრდიდა“³⁶, მაგრამ მას იგი თავის მემკვიდრედ ქართლის სამე-
 ფო ტახტზე არ გამოუცხადებია, რადგან მომდევნო მეფის დაყენება,
 თუ მისთვის მემკვიდრის დანიშვნა, ეტყობა, ამ დროს ირანის შაჰის
 ფუნქციებში შედიოდა. ეს გარემოება კარგად აისახა როსტომის დო-
 კუმენტების „სიგლის თავში“. არსად იქ ოტია ნახსენები არ არის. სა-
 მაგიეროდ, ლუარსაბ, როგორც შაჰისაგან მემკვიდრედ გამოგზავნილი
 ბატონიშვილი, ყველა საბუთში იხსენიება როსტომისა და მარიამის
 შემდეგ. „ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა, ჩვენ ღვთივ გვირგვინო-

³¹ იქვე, № 104.

³² 1658 წლის საბუთში — სიძვ., II, № 104.

³³ სიძვ., II, № 189 და სხვა.

³⁴ ქართულ-სპარსული საბუთები, I, № 85; დოკ. თბ. ისტორიისათვის, № 7; ეს
 საბუთი ჩვენამდე პირის სახითაა მოღწეული (საქ. ც. ს. ა., ფ. 1450, დავთ. 22). შე-
 იძლება სწორედ ამის შედეგია, რომ აქ მოხსენებული არ არის დედოფალი მარიამ.

³⁵ თ. ჟორდანიას, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა...,
 II, ტფ., 1897, გვ. 457. საფლავის ქვა მას, როგორც ჩანს, 1646 წელს დაადეს. იქვე,
 გვ. 460.

³⁶ ფარსადან გორგჯანიძე, ზ. ქიქინაძის გამოც. „საქართველოს ცხოვ-
 რება“, თბ., 1913, გვ. 309.

სანმან მეფეთმეფემან კელმწიფემან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან პატრონმან ლუარსაბ³⁷. ასეთია როსტომის სახელდების შემცველი ფორმულარი 1645—1652 წლებში.

1652 წლის შემოდგომაზე ლუარსაბი ნადირობისას მოიკლა. როსტომი კვლავ უმემკვიდრეო შეიქმნა. 1652 წლის ბოლოს და 1653 წელს დადებული საბუთების „სიგლის თავში“ ძველებურად მხოლოდ როსტომი და მარიამი იხსენიებიან: „ნებითა და შეწვევითა ღვთისათა ჩვენ... მეფეთ მეფემან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ“...³⁸.

1653 წელს როსტომის მემკვიდრედ ვახტანგ თეიმურაზ მუხრან-ბატონის შვილი შეარჩიეს. ეს გარემოება უკვე აისახა 1654 წლის მარტის სიგელში. ამ საბუთის „სიგლის თავი“ ასეთია: „ნებითა და შეწვევითა ღვთისათა ჩვენ, ღვთივ გვირგვინოსანმან ორისავე ტახტისა და სახელმწიფოსა მპყრობელ-მქონებელმან, მეფეთ მეფემან, ხელმწიფემან, პატრონმან როსტომ, თანამეცხედრემან ჩვენმან, დედოფალთდედოფალმან პატრონმან მარიამ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან პატრონმან ვახტანგ“³⁹.

1654 წელს ვახტანგი ირანს გაემგზავრა, რათა შაჰს ის ტახტის მემკვიდრედ, მომავალ ხელმწიფედ, დაემტკიცებინა. ვახტანგმა ირანს წელიწადზე მეტ ხანს დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში როსტომისაგან გაცემულ საბუთებში ან სრულიად აღარ იხსენიება პირმშო და სასურველი ძეი ვახტანგ⁴⁰, ან კიდევ ნახსენებია მეფის ძე, სახელის დაუსახელებლივ: „ჩვენ... პატრონმან როსტომ, თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ და ძემან ჩვენმან ესე ამიერთ უკუნისამდე...“⁴¹, როგორც ჩანს, როსტომი შაჰის გადაწყვეტილებას ელოდება.

1656—1658 წწ. საბუთებში კი ვახტანგი, „პირმშო და სასურველი ძე“ მეფისა, კვლავ იკავებს თავის ადგილს⁴². ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, როსტომმა ის „ხემწიფის ნაბოძებს მამულის სიგლებში შვილობით დააწერინა“⁴³.

1658 წლიდან ქართლის ტახტზე ვახტანგ V შაჰნავაზია. მეფობაში

³⁷ 1651 წლის ივლისის საბ. — სიძვ., II, № 372.

³⁸ 1652 წლის საბუთი — სიძვ., I, 281; 1653 წლის საბუთი — სიძვ., II, 52.

³⁹ ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, I, № 106.

⁴⁰ ქართ.-სპარს. ისტ. საბ., I, №№ 109, 111, 113.

⁴¹ იქვე, №№ 103, 107, 110.

⁴² სიძვ., II, №№ 54, 104.

⁴³ ფარსადან გორგიჯანიძე, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 330.

მას ცოლად როსტომის ნაცოლარი მარიამ დედოფალი შერთეს, მემკვიდრედ კი პირველ ცოლთან — როდამ ყაფლანის შვილთან ნაყოლი ვაჟები დაუმტკიცეს. ვახტანგ V-ის „სიგლის თავი“ ამ მომენტების შემცველია და საერთოდ მისი ტიტულატურა ამ დროისათვის დამკვიდრებულ ტრაფარეტს არა სცილდება: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა; ჩუენ ღვთივ გვირგვინოსანმან მეფეთ მეფემან კელმწიფემან პატრონმან შაჰნავაზ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან დადიანის ასულმან პატრონმან მარიამ, საყვარელთა ძეთა ჩუენთა პატრონმან არჩილ, პატრონმან გიორგიმ, პატრონმან ლევან, პატრონმან ლუარსაბ...“ (1662 წ. საბ., სიძვ., II, № 212). განსხვავება ვახტანგ V-ის „სიგლის თავში“ შეინიშნება 1662 წლიდან, როცა მან თავისი უფროსი ვაჟი არჩილი ჯერ იმერეთის მეფედ დასვა, ხოლო 1664 წლიდან კახეთის მეფედ. ამ დროიდან „სიგლის თავში“ მეფის ძეებად იხსენიებიან მხოლოდ გიორგი და ლევანი⁴⁴.

მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგ V შინაურ საქმეებში უფრო მეტ დამოუკიდებლობას იჩენდა, ვიდრე როსტომი⁴⁵, ვახტანგის ერთ საბუთში მაინც გამოჩნდა ფორმულარის ის ელემენტი, რომელიც როსტომის დროინდელ საბუთებში საერთოდ არ გვხვდება. ესაა „წყალობითა კელმწიფის შაჰაბაზისათა“. 1662 წლის მესტუმრე დონდარასადმი ბოძებულ მამულის წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა და წყალობითა კელმწიფის შაჰაბაზისათა, ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატიონიანმან, მეფეთ მეფემან პატრონმან შაჰნავაზ და თანამეცხედრემან ჩვენმან, დედოფალთ დედოფალმან დადიანის ასულმა პატრონმან მარიამ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან პატრონმან არჩილ, პატრონმან გიორგიმ, პატრონმან ლევან, პატრონმან ლუარსაბ ესე... წყალობის წიგნი გიბოძეთ“⁴⁶.

გიორგი XI-ის ტიტულატურა და მისი შემადგენელი ნაწილები ერთნაირია და რაიმე გადახვევას არ შეიცავს 1677—1688 წლებში („ქ. შეწევნითა და წყალობითა ღვთისათა ჩვენ, მოწყალის ღვთის მიერ აღმატებულმან და ღვთით დამყარებულმან, ღვთით ოქროსგვირგვინოსანმან, საქართველოს კელმწიფემან, მეფეთ მეფემან პატრონმა გიორგიმ, თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან თმარ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან პატრონმან ბაგრატ...“⁴⁷.

⁴⁴ 1664 წ. საბუთი — სიძვ., II, № 379; 1669 წლის საბუთი — დოკ., თბ., ისტ., № 21; 1676 წ. საბ. — სიძვ., II, № 109.

⁴⁵ ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 348.

⁴⁶ სიძ., II, № 212.

⁴⁷ სიძვ., II, № 75, 77, 84, 112, 120. განსხვავება მხოლოდ თანამეცხედრის სახელშია. 1685 წელს (დაახლოებით) გიორგიმ მეორედ იქორწინა და ამიერიდან ხორეშანი ფიგურირებს „სიგლის თავში“.



1688—1703 წლებში ქართლში კახეთის მეფის ძე ერეკლე I ნახარაღის ალიხანი მეფობს. ნაზარალიხანის მიერ ამ წლებში გაცემულ საბუთებში ტიტულატურა ჩვეულებრივი, სტანდარტული ფორმით არის წარმოდგენილი: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა, ჩვენ მლთივ აღმატებულმან და მლთივ დამყარებულმან და მლთივ ზეცით გვირგვინოსანმან იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატიონმან მეფეთ მეფემან და კელმწიფემან პატრონმან ნაზარალიხან“⁴⁸. ამ ტიტულატურაში არა ჩანს, სახელდობრ, რა ქვეყნის მეფეა ნაზარალიხანი.

1692 წლიდან ნაზარალიხანის „სიგლის თავში“ შემოდის ახალი ელემენტი: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა და წყალობითა შაჰსულაიმანისათა ჩვენ...“ (ქართ. სპარს. ისტ. საბ., № 150); 1693 წლის ერთ საბუთში ეს ელემენტი უფრო გავრცობილია: „მაღალისა და ბედნიერის ხელმწიფისა შაჰსულაიმანისითა...“ (იქვე, № 153); მაგრამ იმავე წლებში გაცემულ სხვა საბუთებში ეს ირანისადმი დაქვემდებარების მაჩვენებელი ელემენტი არა გვხვდება. შემდეგში ნაზარალიხანი იმატებს სხვა ეპითეტებსაც. 1699 წ. ერთ საბუთში იგი წოდებულია „საქართველოს ტახტისა და საბატონოს მპყრობელ-მქონებლად“ (ქართ.-სპარს. ისტ. საბ., № 164), ხოლო 1703 წელს — „ერანის ყულარადასად“ (იქვე, № 169).

1703 წლიდან ქართლის სამეფოში ახალი სიტუაცია დამყარდა. ერანს გაწვეული მეფის ნაცვლად ქვეყანას განაგებს მეფის ჯანიშინი — მოადგილე გიორგი XI-ის ძმა ლევანი, მაჰმადიანობაში შაჰყულიხანად სახელდებული. ლევან შაჰყულიხანის სახელით გაცემული საბუთების „სიგლის თავში“ მთელი იმდროინდელი ვითარება და მფლობელ-მქონებელთა ურთიერთდამოკიდებულების სურათია ასახული:

„ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა და წყალობითა დიდის კელმწიფისათა ჩვენ, სრულიად ერანის სპასალარისა, ქირმანის ბეგლარბეგისა და საქართველოს ვალის⁴⁹ მავერად მყოფმან, ერანის მდივანბეგმან და საქართველოს ჯანიშინმან პატრონმან შაჰყულიხან და ძემან ჩვენმან პატრონმან ქაიხოსრომ, პატრონმან ვახტანგ, იასემ, სვიმონ და თეიმურაზ ესე წყალობის წიგნი“...⁵⁰ 1704 წლის საბუთებში კი გამოთქმა „წყალობითა დიდის კელმწიფისათა“ — ამოღებულია⁵¹.

⁴⁸ 1688—1701 წწ. საბუთში. სიძვ., II, № 197; I, № 54; II, № 82, 86, 310, 134, II, № 140, 220, 387, 90; I, 369; II, 397; განსხვავება მათ შორის ოჯახის წევრთა დასახელებაშია. 1696 წლამდე ნაზარალიხანი ასახელებს დედას — დედოფალთდედოფალს ელენეს და ძმებს: იმამყულის, კონსტანტინეს, ისლამირზას, 1696 წლიდან კი თანამეცხედრე ანას და ძმებს.

⁴⁹ ამ ტიტულების მატარებლად იგულისხმება გიორგი XI.

⁵⁰ სიძვ., II, № 225.

⁵¹ სიძვ., I, № 60; II, № 167, 168.

გიორგი XI-ის შემდეგი ჯანიშინი, მისი ძმის ლევანის ვაჟი ვახტანგი თავის ჯანიშინობაში გაცემული საბუთების „სიგლის თავში“ უეჭველად ურთავს გამოთქმას — „წყალობითა დიდის კელმწიფისათა“. ეს გამოთქმა აქ რეალური ვითარების აღმნიშვნელია: ვახტანგ ჯანიშინის „სიგლის თავი“ მთლიანად ასეთი ფორმისაა: „ქ. ნებითა და შეწევნითა მთისათა და წყალობითა დიდის კელმწიფისათა ჩვენ, პირველიდგანვე ზეცით საქართველოს მეფედ განკუთვნილისა და აწ სასუფეველ ცათა შინა სულ ბრწყინვალედ მანათობელისა, კურთხეულმცარს, მეფეთ მეფის, პირველ ვახტანგნობილისა და შემდგომად შაჰნავაზ სახელდებულისა, ძისა მისისა ქართველთა მეფისა სრულიად ერანის სპასალარისა, ყანდარისა და ქირმანის ბეგლარბეგისა, გირიშქისა და აიალათის მჭირავისა, პირველ გიორგი მეფედ წოდებულისა და აწ სპარსთა ენითა მეორე შაჰნავაზობით სახელგამფენილისა, მაგიერად მყოფმან ძმისწულმან მისმან და ძემან ერანის მდივანბეგის ლევან ყოფილის პატრონის შაჰყულიხანისამან, საქართველოს ჯანიშინმან ბატონიშვილმან ვახტანგ ესე...“⁵².

ამ გავრცობილი ტიტულატურის გვერდით ვახტანგ ჯანიშინობაში ხმარობს მარტივ სახელდებასაც — „ქ. ჩვენ საქართველოს ჯანიშინმან, ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ“ (სიძვ., II, № 208, 206).

გიორგი XI ავღანებმა მოკლეს 1709 წელს. მის შემდეგ ქართლის მეფედ დააყენეს ვახტანგის ძმა ქაიხოსრო, რომელიც ასევე ავღანებთან ბრძოლაში დაიღუპა 1711 წელს. ამის შემდეგ ქართლის ტახტზე ერთხანს არავინ იყო დამტკიცებული. 1714 წელს იესე — ვახტანგის მეორე ძმა გამოეგზავნა მეფედ. მანამდე კი 1712 წლის დოკუმენტებში ვახტანგი იწოდება „ქ. ნებითა და შეწევნითა მთისათა, ჩვენ საქართველოს მქონებელმან იესიან დავითიან სოლომონიან ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ და თანამეცხედრემან ჩვენმან ჩერქეზის ბატონის ასულმან, დედოფალთ დედოფალმან, პატრონმან რუსუდან და პირმომან და სასურველმან ძემან ჩვენმან ბატონიშვილმან ბატონმან ბაქარ...“ (სიძვ., I, № 135). ამ საბუთით ვახტანგი საქართველოს მქონებელის ტიტულითაა შემკული. იმავე 1712 წლის მეორე საბუთში ეს ტიტული უფრო გავრცობილი და გაბედული ფორმითაა მოცემული: „საქართველოს მპყრობელ-მქონებელმან ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ“ (საქ. სიძვ., II, № 203). მხოლოდ იმავე წლის მესამე საბუთში ვახტანგი თავისთავს უწოდებს „ღვთით ზეცით გვირგვინოსანს, საქართველოს ტახტისა და სახელმწიფოს მპყრობელ-მქონებელს, ბატონიშვილს, პატრონს, ვახტანგს“ (საქ. სიძვ., II, № 403). „ზეცით გვირგვინოსანის“ ტიტული კი შეიფერა ვახტანგმა, მაგრამ

⁵² ისტ. საბუთები, V, გვ. 18; იქვე, V, გვ. 7; ქართ.-სპარს. ისტ. საბ., I, № 177.

მაინც მეფეთა მეფის ტიტულის ხმარება ვერ გაბედა და „საქართველოს მპყრობელ-მქონებელი ბატონიშვილის“ წოდების ამარა დარჩა.

1719 წელს ვახტანგი მეფედ იქნა გამოგზავნილი ირანიდან საქართველოში. ამ დროიდან ვახტანგის ტიტულატურა ჩვეულებრივი დადგენილი ტრაფარეტით არის მოცემული: „ქ. ნებითა და შეწყენითა მლთისათა, ჩვენ, მლთივ აღმატებულმან და მლთივ დამყარებულმან, მლთივ ცხებით გვირგვინოსანმან იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოანმან, მლთის მიერ სრულიად საქართველოს მტკიცედ მპყრობელ-მქონებელმან, მეფეთმეფემან და თვით კელმწიფემან, პატრონმან ვახტანგ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთდედოფალმან პატრონმან რუსუდან, პირმშომან და სანუკვარმან ძემან ჩვენმან პატრონმან ბაქარ და პატრონმა გიორგიმ ესე“...⁵³.

1744 წელს ქართლის ტახტზე ქრისტიანული წესით ნაკურთხი თეიმურაზი დაჯდა. ეს მომენტი შესაფერისად აისახა ქართლის მეფის ტიტულატურაში; თეიმურაზ II-ის ქართლის მეფის ტიტული ასეთი ფორმულარებით შედგება: „ქ. წყალობითა ღმთისათა, ჩვენ, ღვთივ აღმატებულმან და ღვთივ დამყარებულმან, ღვთივ ცხებით გვირგვინოსანმან, იესეან დავითიან სოლომონიან ბაგრატიანმან, ქართლისა და ყაზახ-ბორჩალოს ფლობით მპყრობელ-მქონებელმან, მეღემან კელმწიფემან პატრონმან თეიმურაზ...“⁵⁴. ეს „სიგლის თავი“ წინამორბედ მეფეთა „სიგლის თავისაგან“ იმით განსხვავდება, რომ აქ ხაზგასმულია ცხებით გვირგვინოსნობა. თუ ადრე მეფე მარტივად „ღვთივ გვირგვინოსნად“ იწოდებოდა, თეიმურაზ II „ცხებით გვირგვინოსნად“ არის სახელდებული. ამ გამოთქმით ნაჩვენებია ამ მეფის მცხეთაში მბრძანების ცხებით კურთხევა. ამავე ტიტულატურაში საინტერესო და განსხვავებულია მეფის საპატრონო ტერიტორიის კონკრეტული მოხაზვა — ქართლისა და ყაზახ-ბორჩალოს მპყრობელ-მქონებელი⁵⁵.

ერეკლე II-ის საბუთებში ერეკლე წოდებულია „საქართველოს მეფედ ცხებული, პატრონის თეიმურაზის ძედ“, ან „ცხებულის მეფის თეიმურაზის ძედ“⁵⁶.

„სიგლის თავში“ მეფის, მისი თანამეცხედრის და შვილების მოხსენიებას თავისი წესი ჰქონდა: შვილები ჩამოითვლებოდნენ უფროს-უმცროსობის რიგზე — პირველად იხსენიებოდა „პირმშო და სასურველი ძე“, რომელიც ტახტის მემკვიდრედ იყო ნაგულისხმევი. ზემოთ ჩვენ ვამბობდით, რომ ვახტანგ V-ის საბუთებში თავდაპირველად შვილებს შორის პირველი ადგილი არჩილს ეჭირა, მაგრამ როცა არჩილი

⁵³ სიძვ., I, № 215; სოც., II, № 30; სიძვ., II, № 269, 267.

⁵⁴ სიძვ., I, № 217; დოკ. თბ. ისტ., № 182, 214, 222, 231.

⁵⁵ 1758 წ. საბ. — სოც., II, № 79.

⁵⁶ 1780 წ. საბ. — სიძვ., II, № 461 და მრავალი.

იმერეთსა და შემდეგ კახეთში გაამეფეს, მისი ადგილი მისმა მომდევნო ძმამ — გიორგიმ დაიჭირა. საბუთოში პირველად მოხსენიება შვილისა მამის სიკვდილის შემდეგ მის გამეფებას გულისხმობს.

თეიმურაზ II-ის საბუთები ამ მხრივ საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევიან. რამდენადაც 1744 წელს — თეიმურაზის ქართლის მეფედ კურთხევისას, მისი ვაჟი ერეკლე კახეთის მეფედ დაამტკიცეს, იგი ქართლის სამეფო ტახტის მემკვიდრედ ვეღარ ჩაითვლებოდა. თეიმურაზის საბუთების „სიგლის თავის“ შესწავლით ცხადი ხდება, რომ თეიმურაზს თავის მემკვიდრედ ქართლის ტახტზე ერეკლე II-ის უფროსი ვაჟი ვახტანგი ჰყოლია ნაგულისხმევი. „...მეფემან ხელმწიფემან პატრონმან თეიმურაზ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთდედოფალმან პატრონმან ანახანუმ, პირმშომან და სასურველმან ძის ძემან ჩვენმან პატრონმან ბატონისშვილმან ვახტანგ...“⁵⁷ — ვკითხულობთ თეიმურაზის სახელით გაცემულ საბუთებში. ამასთან, ზოგჯერ ეს ბატონიშვილი სახელდებულია, როგორც „ორივეს საქართველოს უფლისწული“⁵⁸.

ამავე ხანის (როცა ერეკლე კახეთის მეფეა) ერეკლეს საბუთებში ვახტანგი სახელდებულია როგორც „პირმშო და საყვარელი ძე ჩვენი, ორთავე საქართველოს უფლისწული, არაგვის მპყრობელ-მქონებელი ტიტულით „კახთ მპყრობელ-მქონებელმან მეფემან ირაკლიმ“ (დოკ. სოც. ისტ., II, № 79).

თეიმურაზ II-ის სიკვდილის შემდეგ, როცა ერეკლე ქართლ-კახეთის მეფედ იქცა, მან შესაფერისი ტიტულიც დაიმკვიდრა. „ქ. წყალობითა ღთისათა ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოანმან, ორთავე სრულიად საქართველოს და ყაზახ-ბორჩალოს მპყრობელ-მქონებელმან პატრონმან მეფემან მეორემან ჰირაკლიმ...“ (სიძვ., I, № 4, 1768 წ.). შემდეგში ეს ტიტული უფრო დაიხვეწა — „მეფე საქართველოსა, ქართლისა, კახეთისა, ყაზახისა, ბორჩალოსა და შამშადილოს მპყრობელ-მქონებელი“ (სიძვ., II, № 461, 1780 წ.).

ერეკლე II თავის „სიგლის თავში“ ასახელებს ყველა თავის ვაჟიშვილს და მათ შვილებს. ვახტანგის სიკვდილის შემდეგ „პირმშო და სასურველი ძის“ ეპითეტი გადმოდის გიორგიზე, თუმცა ის პირმშო არ იყო, მაგრამ ამ ეპითეტით მისი ტახტის მემკვიდრეობა გამოიხატებოდა. „...პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან გიორგი, იულონ, ვახტანგ, მირიან, ალექსანდრე და ფარნავაზ და ძის ძეთა ჩვენთა დავით,

⁵⁷ სიძვ., I, № 217 (1749 წ., საბ.); დოკ. თბ. ისტ., № 214, 222, 231.

⁵⁸ სიძვ., I, № 189 (1756 წ.) ორივე საქართველოდ გულისხმობს ქართლსა და კახეთს.

⁵⁹ სოც., II, № 79 (1758 წ.).

იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ, მონაილ, გაბრიელ და ლეონ⁶⁰. შემდეგ ამათ ემატება „ილია, ლეონ და ლუარსაბ“⁶¹.

ამავე ტრადიციას აგრძელებენ გიორგი XII-ის საბუთები. იქ მეფე ასეთი ტიტულითაა მოხსენიებული: „ქ. წყალობითა ღთისათა ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატონამან, ძემარ ნეფის მეორის ირაკლისამან, მეფემან სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათამან, მეთასამეტემან გიორგიმ“... ხოლო შვილების დასახელებისას დავითი, მისი უფროსი ვაჟი, სახელდებულია როგორც „პირმშო და სასურველი ძე ჩვენი, საქართველოს უფლისწული და მემკვიდრე პატრონი დავით“⁶².

კახეთის მეფეთა ტიტულატურა

კახეთის სამეფო საბუთები XVI ს-ში ხასიათდებიან გრძელი ე. წ. „ღვთისმეტყველური შესავლით“. ეს განსაკუთრებით ითქმის ლევან კახთა მეფის (1520—1574 წწ.) და ალექსანდრე II-ის (1574—1605 წწ.) საბუთებზე.

ლევან კახთა მეფის საბუთებში გვხვდება მოკლე და გავრცობილი intitulatio. გავრცობილი ტიტულატურა გაერთიანებული საქართველოს მეფეთა ტიტულატურის ბრმად გადმოღებას წარმოადგენს, იგი ტრაფარეტად ქცეულ გამოთქმებს შეიცავს და რეალური ვითარების გამომხატველი სრულიადაც არ არის:

„იესე-დავითიან, სოლომონ ბაგრატონიანმან ნებიტა ღთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშე და შანშე და ყოვლისა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისა სამანთა კედართათვით ფლობით კელმწიფედ მპყრობელ-მქონებელმან, მეფეთ მეფემან პატრონმან ლეონ, თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთდედოფალმან პატრონმან თინათინ და ძეთა ჩვენთა პატრონმან გიორგი, იესე, ალექსანდრე, ელმირზა“⁶³.

არის საბუთები, სადაც იგივე ლეონ მეფე მოკლე და ამჯერად რეალური ვითარების ამსახველი ტიტულით არის შემკული: „ქ. ჩვენ ღვთით გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფის გიორგის ძემან მეფემან პატრონმა ლეონ და ძეთა ჩუენთა პატრონთა გიორგი, იესე, ალექსანდრე, ელმირზა და დავით...“⁶⁴

⁶⁰ 1789 წ. საბ. — ისტ. საბ., V, გვ. 108.

⁶¹ 1793 წ. საბ. — სიძვ., II, № 506.

⁶² 1800 წ. მაისის საბ. — სიძვ. II, № 507.

⁶³ 1537 წ. შეწირულების წიგნი ლევან მეფისა მცხეთისადმი. ისტ. საბ. II, გვ. 33.

⁶⁴ საისტ., III, გვ. 63. ამ საბუთის სახელდებაში დაშვებულია შეცდომა: ლეონ მეფე გიორგი მეფის ძედ არის მოხსენიებული. სინამდვილეში კი ის გიორგის ძის — ალექსანდრეს — ძე იყო.

კახეთის მეფეთა ტიტულატურა XVII ს. მანძილზე რჩება ადრე გამომუშავებული ტრაფარეტის ფარგლებში: „ქ. ნებითა და შეწევნითა მღთისათა ჩვენ მღთივ გვირგვინოსანმან მეფემან პატრონმან თეიმურაზ“⁶⁵.

XVIII ს-დან დავით II იმამყულიხანის საბუთში ვკითხულობთ: „ქ. ნებითა და შეწევნითა მღთისათა ჩვენ ზეცით გვირგვინოსანმან, იესეან დავითიან სოლომონიან პანკრატოანი ტომმან და რტომან, მეფეთმეფემან და თვით კელმწიფემან პატრონმან იმამყულიხან და დედამან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან ანამ, სასურველმან ძმამან ჩვენმან პატრონმან მამადყულიმ და პატრონმან თეიმურაზ“⁶⁶. იმამყულიხანის ზოგ საბუთში ჩამატებულია: „დიდისა და ცათა სწორის ერანის კელმწიფის შვილურად გაზრდილმან და მისგანვე გაკემწიფებულმან“⁶⁷.

ამ ელემენტით ხაზგასმულია ის მომენტი, თუ რა საშუალებით, რა მიზეზით მეფობს იმამყულიხანი — იგი შაჰის მიერაა გახელმწიფებული. მაგრამ უფრო მოგვიანო საბუთებში ამ მეფის ტიტულატურაში ჩნდება ისეთი ელემენტები, რომლებიც იმამყულიხანის სხვა პრეტენზიებსაც შეიცავენ: „ქართლის უფლისწულმან და თვით კახეთის მპყრობელმან მეფეთ-მეფემან ბატონმან დავით იმამყულიხან“⁶⁸ — ერეკლე ნაზარაღიხანის ქართლში მეფობა მის შვილს იმამყულიხანს „ქართლის უფლისწულობას“ ანიჭებს — აქედან უკვე გამოსჭვავის მისი პრეტენზია ქართლში გამეფების უფლებაზე.

ამავე დროს იმამყულიხანის ტიტულატურაში ჩნდება დაკონკრეტება იმისა, თუ სახელდობრ რისი მეფე იყო იგი: „...ქართველთა და კახთა მეფემან, განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგმან, შამშადილოსა და ყაზახის მპყრობელმან...“⁶⁹.

ზემომოყვანილი მიმოხილვით შემდეგი დასკვნების გამოტანა შეიძლება: XI—XIV სს. სამეფო სიგელების დასაწყის ნაწილში ვხვდებით მარტივად ღვთის ხსენებას (ქ. სახელითა ღმრთისათა). XV ს-დან კი, „ღვთისმეტყველური შესავალი“ შედარებით იზრდება (ალექსანდრე დიდის 1413, 1419 წწ. საბუთები).

ერთდროულად არსებობს სამეფო სიგელების მოკლე და ვრცელი შესავალი. სიგელებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ვრცელი „ღვთისმეტყველური შესავალი“ უკეთდებოდა ეკლესიისადმი მიცემულ სა-

⁶⁵ სიძე, I, № 208 (1626 წ.).
⁶⁶ ქართ.-სპარს. ისტ. საბ., I, № 171 (1703 წ.).
⁶⁷ იქვე, № 173 (1704 წ.), № 175 (1708 წ.).
⁶⁸ იქვე, № 179 (1720 წ.).
⁶⁹ იქვე, № 180 (1724 წ.).

ბუთებს, კერძო პირისადმი გაცემულ საბუთების შესავალი კი მოკლე ხყო.

ღვთისა და წმინდანთა ხსენებას თავისი რიგი აქვს: ღმერთი, სამება, ღვთისმშობელი, ჭუარი; შემდეგ წმინდანები მიქელ და გაბრიელ, იოანე ნათლისმცემელი, მოციქულები, 365 წმ. გიორგი, „ყოველი წმინდანი ღვთისათა, რომელი სათნო ეყვნის იესო ქრისტესა“ (ზოგიერთის დასახელებით). წმინდანთა ჩამოთვლა სამეფო საბუთებში (განსაკუთრებით კახეთის საბუთებში) მთავრდება სიტყვებით: „ამათ ყოველთა ცვაფარვათა მინდობილმან“.

„ღვთისმეტყველური შესავალი“ უკეთდებოდა კერძო პირთაგან გაცემულ საბუთებსაც — განსაკუთრებით ნასყიდობის წიგნებს (თბილისურს მაგ.).

ალექსანდრე I-დან მოკიდებული მეფის ოჯახის წევრთა ხსენება საბოლოოდ იკიდებს ფეხს. ასეა ეს XV—XVIII სს. საბუთებში. მაგრამ პარალელურად არის მხოლოდ მეფის სახელით გაცემული საბუთები. XV ს-ში (და ზოგჯერ შემდეგშიაც) ეკლესიისადმი მიცემული საბუთები მხოლოდ მეფის სახელითაა შედგენილი: კერძო პირთადმი კი — მეფე-დედოფლის და ბატონიშვილების სახელით.

მხოლოდ მეფის სახელითაა გაცემული საბუთთა გარკვეული სახეობანი — ბრძანება, ოქმი.

კერძო პირთა საბუთები კი XVI—XVIII სს-ში გაიცემა ოჯახის შამაკაცის წევრების სახელით.

იმერეთის მეფეთა ტიტულატურა

იმერეთის მეფეთა ტიტულატურა მეტწილად არ გამოხატავს რეალურ ვითარებას.

იმერეთის მეფე გიორგი (1570 წელს) ასეთი ტიტულითაა შემეკული: „ქ. სახელითა ღვთისათა, ჩვენ ორისავე ტახტისა და სახელმწიფოსა — ლიხთიმერისა და ლიხთამერისა თვითფლობით მტკიცედ მპყრობელმან, ღვთივ აღმატებულმან და ღვთივ დამყარებულმან, ჩვენ, ღვთივ გვირგვინოსანმან მეფეთმეფემან პატრონმან გიორგი და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან რუსუდან, ძემან ჩვენმან პირმშომან პატრონმან ზაგრატ წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძე... (წულუყიძეს...)“⁷⁰.

„ორისავე ტახტის და სახელმწიფოსა — ლიხთიმერისა და ლიხთამერის მპყრობელის“ ტიტულით მოიხსენიება იმერეთის თითქმის ყვე-

⁷⁰ ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, წ. I. გამოსცა შ. ბურჯანაძემ, თბ., 1959, № 4.

ლა მეფე XVI—XVII სს., თუმცა არც ერთ მათგანს ამის რეალური საფუძველი არა ჰქონია. მდივანმწიგნობართა შეცდომების შედეგად ზოგჯერ ლიხთიმერის ნაცვლად გვხვდება ლიხტამერი და ლიხტიმერი (ასეთად მოიხსენება მაგ. არჩილი — 1661)⁷¹.

XVIII ს. იმერთა მეფე ალექსანდრე თავის ტიტულატურას ურთავს კიდევ ახალ ელემენტს — „ძლიერმან და თვით არვისგან ძლეულმან“⁷².

სოლომონ I-ის საბუთებში ვხვდებით მოკლე ტიტულატურას — „ჩვენ, მეფემან სრულიად იმერეთისამან“⁷³ და გავრცობილს — „ქ. ნე-ბითა და შეწვენითა ღთისათა, ჩვენ ღვთივ ზეცით კურთხევით გვირგვინოსანმან, იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოანმან, მეფეთ მეფემან პატრონმან სოლომონ“⁷⁴. ზოგჯერ ესევე მეფე დამატებით მოიხსენება როგორც „სრულიად საიმერეთოს მპყრობელი, დიდად სახელოვანი მეფეთ-მეფე სოლომონ“⁷⁵.

ნასყიდობის წიგნები

ნასყიდობა ადამიანთა ურთიერთობაში ერთ-ერთი უძველესი გარიგებაა. თავდაპირველად გაცვლა და შემდეგ ყიდვა საკუთრების გაჩენისთანავე წარმოიშვა. მაგრამ ყიდვის წერილობითი გაფორმება გაცილებით გვიანი ხანის ნაყოფია.

ჩვენში ყიდვის წერილობითი დადასტურება პირველად VII ს. დასაწყისში აღინიშნა. სოფ. წყისეს (ადიგენის რაიონი) ამ ხანის ქვაჯვარზე ამოკვეთილია ასეთი დოკუმენტი: „ესე ჭუარი ქრისტესი, მე, კოსტანტი, ძემან სტეფანესამან და გუდასმან აღჰუმართე, სახელსა მცხეთისა ჯურისასა ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა შაპრამანსა ა სალოცველად ჩუენდა, ცოლისა და შვილთა. ნოენბერსა იზ. ამენ“⁷⁶.

იმავე VII ს. ეკუთვნის გიორგი II-ის შიო-მღვიმისადმი 1170 წელს ბოძებული სიგლის ერთი მინიშნება: „სოფელი სხალტბაი და მათი კერძი გოროვანი წმიდისა ევაგრესაგან მოსყიდული“⁷⁷. საბუთს ამ მინიშნებაზე დამყარებით ნ. ბერძენიშვილი ასკვნიდა, რომ „XII ს. 70-იან წლებში შიო-მღვიმის მონასტერში ჯერ კიდევ დაცული იყო ის დოკუმენტი, რომლითაც ევაგრეს (მონასტრის წინამძღვარი შიო მღვიმელის შემდეგ) მისგანვე „მოსყიდული“. ე. წ. ნასყიდი მიწა სხალტბა და გოროვანის ნაწილი შეუწირავს მონასტრისათვის“⁷⁸.

71 იქვე, № 23.

72 იქვე, № 76.

73 იქვე, № 114.

74 იქვე, № 118.

75 სოც., II, № 441. XVI—XVIII სს. იმერეთის საბუთებს ვრცლად შეეხო კ. გრიგოლია წერილში „იმერული სიგლების შედგენილობის საკითხისათვის XVI—XVIII საუკუნეებში“. საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X — B, თბ., 1940.

უძველესი ნასყიდობის წიგნება ჩვენამდე არ მოღწეულა. XI ს. ერთი საბუთი — ნიკორწმიდელი წინამძღვრის ანგარიში — შედგენილია წინამძღვრის საქმიანობის ამსახველი სხვადასხვა დოკუმენტების მიხედვით. ამ ანგარიშში ყიდვის 42 შემთხვევაა აღნუსხული, ყველა მათგანი ერთნაირად აგებული ფრაზითაა გადმოცემული. სყიდვის ყოველი აქტი ნიკორწმიდელს საბუთში შეაქვს მისი ძირითადი ელემენტებით, სახელდობრ, სად, ვისგან, რა იყიდა და რა მისცა ფასად. ბოლოს იმასაც აღნიშნავს, რომ აქტის გაფორმებას მოწმეები ესწრებოდნენ: „და მოწამე არიან კაცნი“-ო. ფაქტიურად, ნიკორწმიდელის ამ ანგარიშში მოტანილია XI ს. დადებული 42 ნასყიდობის წიგნის რეზუმე. მიწის სყიდვის აქტში ნაჩვენებები იქნებოდა გამყიდველის და მყიდველის ვინაობა, ნასყიდი მიწის ოდენობა და რაობა, მისი მდებარეობა, საზღვრები, მიწაში აღებული ფასი და ბოლოს მოწმეთა ჩამოთვლა⁷⁹.

საერთოდ ყველგან, სადაც კი ნასყიდობის წიგნი დგებოდა, ამ წიგნის ფორმულარი ერთნაირი ელემენტებისაგან შედგებოდა. ეს ელემენტებია: 1. მყიდველისა და გამყიდველის სახელები, 2. გასაყიდი ობიექტი, 3. თუ ეს უძრავი ქონებაა, მისი საზღვრების დასახელება, 4. ფასის აღნიშვნა, 5. მოწმეების და დამწერის ვინაობა⁸⁰.

ჩვენამდე სრული სახით მოღწეული პირველი ნასყიდობის წიგნი 1247—1260 წლებშია შედგენილი. ესაა ჩაფქვევასძეთაგან გრიგოლ ვერხუაისძისადმი გაცემული ნასყიდობის დაწერილი⁸¹.

ამ ნასყიდობაში ელემენტები შემდეგნაირად ლაგდება: 1. ღვთისა და წმინდანების ხსენება, 2. საბუთის გამცემის სახელდება, 3. რა სახის საბუთი დაიწერა, 4. საბუთის მიმღების — მყიდველის დასახელება, 5. გასაყიდვის ობიექტი და მისი საზღვრები, 6. როდის გაიყიდა მიწა (აქ — უნდილაისძის ეჯიბობაში), 7. ფასი სრულის მიღება, 8. მოწმეთა ჩამოთვლა, 9. ვინც ამ ნასყიდობას შეცვლის, იმისი წყევა, 10. დამამტკიცებელთა კურთხევა.

⁷⁶ ლაბიძარული წარწერები, I, შეადგინა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 98.

⁷⁷ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 68.

⁷⁸ ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველო აღრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, „იმომხილველი“, ტ. III, თბ., 1953, გვ. 305.

⁷⁹ უფრო ვრცლად იხ. მ. ბერძენიშვილი, მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები, თბ., 1979, გვ. 46—49.

⁸⁰ Черепнин Л. В. Русские феодальные архивы XIV—XV веков, М., 1951, с. 79.

⁸¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 134—135.

თუ ამ სქემას შევუდარებთ XVI—XVIII სს. ნასყიდობის წიგნთა სქემას, დავრწმუნდებით, რომ მათ შორის განსხვავება უმნიშვნელოა. XIII ს. სქემაში ნასყიდობის მოტივი არ არის აღნიშნული, იქ მოწმეთა ჩამოთვლა წინ უსწრებს წყევასა და კურთხევას, XVIII ს-ში კი პირიქით. განსხვავებაა დათარიღების წესშიაც: XVIII ს. ნასყიდობის წიგნის ბოლოს მე-15 ელემენტად აღნიშნულია თარიღი სრულად (ქორონიკონი, თვე, რიცხვი). XIII ს. საბუთში დათარიღება მე-9 ელემენტად არის შეტანილი და თანაც მოცემულია მინიშნებით (უნდილას ძის ეჯიბობაში).

XVI—XVIII სს. ნასყიდობის წიგნების ზოგადი სქემა ასეთია:

1. ღვთისმეტყველური შესავალი,
2. ამათ უუამდგომლობითა,
3. როგორი (მტკიცე, შაუშლელი, ხანთა და ჟამთა გამოუსვლელი) და რა სახის (ნასყიდობის წიგნი) საბუთი ვაიცა,
4. ვინ ვასცა (გამყიდველის დასახელება ოჯახიანად),
5. ვის მისცა (მყიდველის დასახელება ოჯახიანად),
6. ასე რომე (ნასყიდობის მოტივი: დამეჭირვა, მოვალენი მაწუხებდენ),
7. რა მიჰყიდა (მიწა, ვენაჯი, სახლი, ყმა...),
8. ნასყიდობის პირობები (მიწის საზღვრები),
9. ფასი სრულის მიღების აღნიშვნა,
10. გიბედნიეროს,
11. ვინც მოშალოს ... წყევა,
12. დამამტკიცებენი... კურთხევა,
13. მოწმენი,
14. დამწერი,
15. თარიღი.

ეს ზოგადი სქემა უცვლელია საუკუნიდან საუკუნემდე, უცვლელია ცალკეული ფრაზები და გამოთქმები.

ნასყიდობის წიგნების აღნაგობაში შეინიშნება შემდეგი: საერთო წესია ჯერ გამყიდველის დასახელება საბუთში და შემდეგ მყიდველისა, მაგრამ როდესაც მყიდველი სოციალურად უფრო მაღლა დგას გამყიდველზე, მაშინ საბუთში ჯერ მყიდველი მოიხსენება⁸² (ესე ნასყიდობის წიგნი მოგვეცით თქვენ — სახელი, ჩვენ — სახელი).

ნასყიდობის წიგნში მოწმეთა დასახელება იწყება ასეთი გამოთქმით: „არიან ამისი მოწამენი: თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი და კაცთაგან“. ეს ფრაზაც ტრაფარეტად არის ქცეული. კაც-

⁸² კერძო პირთა შეწირულების წიგნებშიაც ჯერ აღინიშნება შეწირულების მიმღები (კ-ზი, ეპისკოპოსი) და მერე შემწირველი.

თავან მოწმეების დასახელებასაც თავისი წესი აქვს. მოწმეები ჩამო-
ითვლებიან უფროს-უმცროსობით: ჯერ ბატონი, მერე მოხელე — მა-
მასახლისი, ნაცვალი, ხუცესი, ნათესავები და სხვა. თუ ნასყიდობა
ადგილისა ხდება (მიწის, ვენახის, სახლის), მოწმეებად უეჭველად მე-
ზობლებიც უნდა იყვნენ დასახელებულნი.

თბილისში ჩატარებულ ნასყიდობას, მაგალითად, ამოწმებს ჯერ
მელიქი, მერე მამასახლისი, ნაცვალი, ქალაქის ქეთხუდები და ბოლოს
მეზობლები.

მოწმეთა სახელები თვით საბუთის ტექსტშია შეტანილი, ყოველი
სახელის შემდეგ მწერალი სტოვებს ადგილს რათა აქ შემდეგში მოწმემ
ხელი მოაწეროს და ბეჭედიც დასვას⁸³.

როდესაც მოწმემ წერა-კითხვა არ იცის, მის მაგიერ საბუთს სხვა
ამოწმებს და აღნიშნავს „ამან წერა არ იცოდა, მე დამიწერია და მო-
წამეცა ვარ“. ასეთი მინაწერები უკვე საბუთის ძირითადი ტექსტიდან
გარეთ, საბუთის ქვედა აშიაზე კეთდებოდა.

ნასყიდობის წიგნი მაშინ იღებდა საბუთის მნიშვნელობას, როცა მას
მასში ჩამოთვლილი ყველა მოწმე თავისი ხელრთვითა და ბეჭდით და-
ამტკიცებდა. მოწმეებისაგან ხელმოწერილი საბუთი საბოლოოდ დასამ-
ტკიცებლად (ქალაქის მაგალითით) მიჰქონდათ მელიქ-მამასახლისთან,
კათალიკოზთან, ბატონიშვილთან და ა. შ., რომლებიც საბუთს საბო-
ლოდ ამტკიცებდნენ და ამ დამტკიცებას საბუთის განის აშიაზე
(მარცხენა) ათავსებდნენ.

განის აშიაზე დამტკიცებანი მაშინ მოთავსდებოდა, როცა გამყიდ-
ველი სიგლის დასაბეჭდ ყველა ხარჯს გაიღებდა. საბეჭდავი გარკვეული
თანხა ღირდა და გამყიდველი მას ფარავდა მიღებული „ფასი სრული-
დან“.

თბილისში, მაგ., წესად იყო გაყიდული სახლის ფასის მეოცედი —
5% გამყიდველს ხელმწიფის სასარგებლოდ უნდა გაეღო (დანაიმი). ამ
თანხის ცხრა მეათედი ხელმწიფისა იყო, ერთი მეათედი კი ქალაქის
მოურავის სასარგებლოდ მიდიოდა. გამყიდველისაგან ამ გადასახადის
ხაზინაში შეტანის შემდეგ ქალაქის მელიქი და მამასახლისი ნასყიდო-
ბის სიგელს საბოლოოდ ამტკიცებდნენ და მეორედ ბეჭდავდნენ თა-
ვიანთი ბეჭდით ახლა უკვე განის აშიაზე.

განის აშიაზე აწერდა მელიქ-მამასახლისი ნასყიდობის გაფორმე-
ბასთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ გარემოებებს. მაგ., — ქალაქ-

⁸³ ადრეულ საბუთებში, მაგ., სვანურ საბუთებში მოწმენი დასახელებული არიან
ტექსტში, მაგრამ მათ ხელმოსაწერად ადგილი არ არის დატოვებული, მოწმეები ხელს
ართავენ — ჯვარს ასვამენ — საბუთის ბოლოს.

ში — მოქალაქე მსყიდველი ვერ იშოვა და ამის მიზეზით ამას (მეფის ყმას) მიჰყიდა⁸⁴.

ამასთან, განსხვავებული იყო ის ბეჭედიც, რომელსაც მელიქი ასვამდა საბუთს, როგორც მოწმე, და ის ბეჭედი, რომლითაც საბოლოოდ ბეჭდავდა საბუთს. მაგ., მელიქ საპაქას პირველი შემთხვევისათვის ჰქონდა დიდი ბეჭედი ზედწერილით: „მიწა ხარ და მიწად იქცევი. მელიქ საპაქა“. ხოლო მეორე შემთხვევისათვის უფრო მომცრო ბეჭედს იყენებდა, რომელსაც ზედწერილიც უფრო მარტივი ჰქონდა: „მელიქი საპაქა“.

მეფის წყალობის წიგნებს, იქნებოდა ეს მამულისა თუ სახელოს ბოძება, ჯერ სახლთუხუცესი ბეჭდავდა და შემდეგ მეფე⁸⁵.

გარკვეული წესი და მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ ვის ჩაწერდნენ საბუთის მიმღებად და საბუთის გამცემად.

მაგალითად, „ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ ციციშვილმა სარდლის ძემან ქაიხოსრომ, ძმამან ჩემმან ფარსადან და თეიმურაზ შენ გოდაკაანი გრიქოლას, ძმასა შენსა დავითას, შვილსა შენსა თანეზას და მომავალთა სახლისა შენისათა“ (ყმის ნასყიდობის წიგნი 1741 წლისა)⁸⁶. ციციშვილები გაყრილი არ არიან, მათი ოჯახი გაუყრელია და ქონებაზე სამივე ერთნაირად არის უფლებამოსილი; ამავე მოვლენის მაჩვენებელია მყიდველად ორი ძმისა და ერთერთის შვილის დასახელება. გამოთქმა „მომავალთა სახლისა შენისათა“ მაჩვენებელია იმისა, რომ ამ ნასყიდობის უფლებით სარგებლობს საბუთში მოხსენებული მყიდველთა შემდგომი თაობაც.

ძმების, ძმისწულების, შვილების, ბიძაშვილების, გარდაცვლილი ძმის შვილების დასახელება აუცილებელია საბუთის მიმღებთა და გამცემთა შორის⁸⁷.

თამასუჟი

თამასუჟი ვალის ხელწერილის აღმნიშვნელი არაბულიდან მომდინარე ტერმინია. ჩვენში იგი XVII—XVIII საუკუნეებშია შემოსული. მანამდე ვალის აღებისა და ვალის გადახდის პირობების აღმწახველ საბუთს „ვალის წიგნი“, „ვალის გარდაწყვეტილობის წიგნი“ ეწოდებოდა. ეს ორი ტერმინი თამასუჟმა მაინც ვერ განდევნა ხმარებიდან.

⁸⁴ დოკ. თბ. ისტ., გვ. 338.

⁸⁵ დასტურლამალი, ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის გამოც., 646₁₄.

⁸⁶ დოკ. საქ. სოც. ისტორიიდან, I, № 425.

⁸⁷ მასალები საქ. ეკ. ისტორიისათვის, III, გვ. 353.

IX—XIII სს. საბუთებში ვალის აღების პირობების შემცველი დოკუმენტი „დაწერილის“ სახელწოდებას ატარებს. XIII ს. შუა წლების ერთ საბუთში ვკითხულობთ: „ქ. სახელითა ღმრთისაითა და თავსდებობითა სუეტისა ცხოველისაითა ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩუენ, ბურჯულთა: კავთულამა და თევდორამა და ჩუენთა შვილთა: ბასილამა და მშუილამა. დაგუეჭირვა ჰავის ჟამისაგან და ხარაჯობისაგან და ავილეთ თქუენ, მოძღუარისაგან დემეტრესაგან ტოხუაისძისაგან, სამოცი თეთრი დეკენბერსა ათსა და გაგიჩინეთ ოცი კოკაჲ ტკბილი წელიწადსა შიგა მზაი, რომე უსიტყველოდა გელთა მოგაკსენებდეთ, ვირემდისცალა ამა თეთრსა შენსა გელთა მოგაკსენებდეთ. ამისნი მოწამენი არიან: ჯარაისძე ებაი და წამალაისძე იაი“⁸⁸.

ვალის ამ ხელწერილში წარმოდგენილია საბუთის ცალკეული ელემენტების შემდეგი თანამიმდევრობა: 1. ღვთის ხსენება, 2. სახელდება, 3. საბუთის დადების მოტივი, 4. საბუთის მიმღები, 5. ვალის რაობა, 6. ვალის გარდაწყვეტის პირობები, 7. მოწმეები.

პირველი ორი ელემენტი ჩვეულებრივია იმ დროის ყველა სახის „დაწერილისათვის“. დანარჩენი ხუთი ელემენტი კი სპეციფიკურია სწორედ ვალის გარდასაწყვეტი საბუთისათვის და ეს ელემენტები თვითქმის უცვლელად გადმოდიან მომდევნო საუკუნეებში.

XVIII ს. ვალის გარდასაწყვეტილების წიგნში — თამასუქში — შენარჩუნებულია ელემენტთა ძველი თანამიმდევრობა:

1. „ავილე მე (სახელი: ტერშმოგანათ აღამ)⁸⁹,
2. „ვისგან (შენ, ყორღანაშვილი ოსეფასაგან),
3. რა (280 თუმანი, რომ იქს ამისი ნახევარი 140 თუმანი),
4. ქვემო თარიღიღამ — სარგებელი (ვალის აღების დღიდან, ეს თარიღი საბუთს ეწერება ბოლოში, ამიტომ მას ქვემო თარიღი ჰქვია) რაც ხანს ჩემს ხელთ დაჰყოს, თუმნის თავს ორი შაური სარგებელი მოგცე.

5. ვალის გადახდის პირობა: „როცა შენი ზემო მამლალი (ზემო-საბუთის თავში დაწერილი 280 თუმ.) მოინდომო, თავისი გავლილი სარგებლითა მოგართო“.

6. თარიღი,
7. დამწერა,
8. მოწმენი.

ფორმა თამასუქის შედგენისა ასეთია. შინაარსობლივად იცვლება ამ სქემის მე-4 პუნქტი, რომელშიაც ზოგჯერ სარგებლის ნაცვლად გირობაა ჩაწერილი და მოცემულია გირობის პირობა.

⁸⁸ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 94.

⁸⁹ მასალები საქ. ეკ. ისტ. II, № 145 (1792 წლის).

ყურადღებას იპყრობს მესამე პუნქტი, რომელშიაც დასახელებულია აღებული ვალის ოდენობა და, როგორც წესი (იშვიათი გამონაკლისით), მისი ნახევარი („ავიღე... 20 თუმანი... რომ იქს ამისი ნახევარი 10 თუმანი“). მაგრამ რას ნიშნავს ეს ფაქტი, რისთვის დასახელებენ ვალის ნახევარს, ეს არც ერთი თამასუქში განმარტებული არ არის. როგორც ჩანს, ვალის ნახევარზე პასუხისმგებელი იყო თავმდები. ვინც თავმდებად უდგებოდა მევალეს, ის ამით კისრულობდა ვალის გადაუხდელობისას ვალის ნახევარზე ეგო პასუხი.

1787 წ. დათოა ზედგენიძემ მანუჩარ თუმანიშვილისაგან ისესხა 6 თუმანი. სარგებელი დაუწესა თვეში თუმანზე ორი შაური (ე. ი. მთელ ვალზე თვეში 60 კაპიკი), გირაოდ კი მარგალიტის საყბეური დაუტოვა. „როცა თავნი და სარგებელი მოგცე, ჩემი საყბეური მე მამცე“ — ნათქვამია თამასუქში. ამ თამასუქს ამოწმებენ ზედგენიძის თავმდებები მილდისი რევაზა და ბეჟანა ავეჯიტას შვილი. „თუ ეს თეთრი ამან არ მოგცეს, — წერს ბეჟანა, — ჩვენ ორთავ ამხანაკმა პასუხის გამცეში ვიყოთ, თავისი სარგებლითა და გირაოც ჩვენ მოგცე“.

დათოა ზედგენიძეს ვერ გადაუწყვეტია ვალი. 7 წლის თავზე მანუჩარ თუმანიშვილს ზედგენიძისთვის უჩივლია. ამ ხნის განმავლობაში სარგებელმა 5 თუმანი და 2 აბაზი შეადგინა. მანუჩარმა სარგებელში საყბეური გამოუბარა, თავნის ნახევარი კი თავმდებს გამოართვა. „ამაში ბეჟანა რომ თავდებათ ეწერა, ამ თამასუქის ნახევარი რაც იყო, ბეჟანას შვრლს ავეჯიტას გამოვართვი იმის წილათ“ (მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, II, № 109).

თავმდები თამასუქში ძალზე იშვიათადაა ჩაწერილი. ვალის მთელი თანხა და მისი ნახევარი კი უკლებლივ ყველა თამასუქშია აღნიშნული. შეიძლება ამით გამოირიცხებოდა თანხის გადასწორების საშიშროება.

ვალის დაბრუნება და სარგებლის გადახდის ფაქტი თამასუქზევე ეწერებოდა მოწმეების თანდასწრებით. ხშირად, ცალკე დგებოდა ვალის გარდაწყვეტის აღმნიშვნელი საბუთი. მისი შედგენა მტკიცედ დადგენილი წესით ხდებოდა.

საბუთების შენახვის წესი

საბუთი, როგორც წესი, მრგვლად დახვეული ინახებოდა. იგი იხვეოდა ან სპეციალურ ხის ჯოხზე, ან უჯოხოდ.

დახვეული საბუთის, გრაგნილის ზედა გარეთა მხარეზე ექცეოდა ფურცლის verso-ს ქვედა კიდე. იმისათვის, რომ საბუთის გაუშლელად გაეგოთ, რა საბუთი იყო დახვეული, საბუთის ქვედა კიდეზე აწერდნენ საბუთის სათაურს, ან მოკლე რეზუმეს: „ვენახის ნასყიდობის წიგნია“,



„სასახლის გაცვლის წიგნია“ და ა. შ. ეს სათაური საბუთის ტექსტი სადმი პირშექცევით იყო დაწერილი⁹⁰.

საოჯახო საბუთებს, გრაგნილებად დახვეულს, ნაჭრის პარკში ინახავდნენ, ან ხელსახოცში გამოსკვნიდნენ. ზოგჯერ ეს საბუთები სპეციალურ კოლოფში ეწყობო⁹¹.

დასკვნები

დოკუმენტების ყველა სახეობათა აღნაგობისა და შემადგენელი ნაწილების, მათი ტერმინოლოგიის ზუსტი ცოდნა გვეხმარება ნატყუარი საბუთების გამოვლენაში.

ქართული დოკუმენტები XVI—XVIII სს. ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის ყოველმხრივ შესასწავლად. მათში დაცულია ისეთი ხასიათის ცნობები, რაც სხვა სახის წყაროებში სრულიად არა გვხვდება და რომელთა გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია ისტორიის მრავალი სხვადასხვა საკითხის შესწავლა-წარმოჩენა.

ამ ცნობათა წარმოსაჩენად უპირველეს ყოვლისა საჭიროა იმის ცოდნა, თუ დოკუმენტის რომელ ნაწილში რა სახის მასალა შეიძლება დავინახოთ.

ძირითადი ნაწილი საბუთისა — განგებულობა (როგორც მეფის, ისე კერძო პირის საბუთში) — მოიცავს ყველაზე მეტ მასალას. რამდენადაც ეს ნაწილი საბუთისა ყველაზე ნაკლებაა ტრაფარეტირებული და მასში ტრადიციული გამოთქმებით გადმოცემულია ყოველთვის სხვადასხვა მოტივი და ბოლოს მისი შესრულების სხვადასხვა პირობა — ამდენად იგი ყველაზე უხვი მასალის მომწოდებელია საბუთით ისტორიის შემსწავლელისათვის.

არ არსებობს ისტორიის არც ერთი მხარე, რომელიც კი სწორედ დოკუმენტის მონაცემებით არ შეისწავლებოდეს.

ქვეყნის სოციალური ფენები, დამოკიდებულება ამ ფენებს შორის, შესაძლებლობა ერთი ფენიდან მეორეში გადასვლისა, თითოეული ფენის უფლება-მოვალეობანი, ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა, გადასახადები, ამ გადასახადთა ცვალებადობა საუკუნიდან საუკუნემ-

⁹⁰ ნოვგოროდში აღმოჩენილი საბუთების მეორე მხარეზე ასეთივე მოკლე აღნიშვნები ყოფილა მიწერილი და მათში მოკლედ ყოფილა გადმოცემული საბუთის შინაარსი. Черепнин Л. В. Новгородские берестяные грамоты как исторический источник, М., 1969, с. 29.

⁹¹ „პარკით და ხელსახოცით წიგნები ანგარიშისა“ (ეკ. III, №№ 270, 319); „კოლოფი, რომ შიგ იდვა მამულებისა ნასყიდობისა, გადაწყვეტილებისა, და კვლამწიფეთ-ნაბოძებით წიგნებით სავსე“ (ეკ. III, № 131).

დე, გადამხდელის პოტენციალი, გადასახადის ამკრები მოხელეებში, გადასახადის შეწერისა და აკრეფის წესი და საერთოდ სამოხელეო წყობა ქვეყნისა, ადმინისტრაციული დაყოფა, სასამართლო დადგენილებათა შესრულების წესი, სახელმწიფო წყობა, სამართალი, სამართლის წარმოება, ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან, დინასტიური და გენეალოგიური საკითხები, ქვეყნის პოლიტიკური ისტორია და ქრონოლოგიური საკითხები, კულტურა, ვაჭრობა და სავაჭრო ურთიერთობანი სხვა ქვეყნებთან, შინაური ყოფა: ტანისამოსი, იარაღი, სამკაული, სამეურნეო იარაღი, ქსოვილები და სხვა მრავალი — ჩამოთვლაც კი ძნელია ყველა იმ საკითხისა, რომელთა შესწავლაც საბუთების საშუალებით ხდება.

საბუთთა თითოეული სახეობა მასალას იძლევა იმ საკითხების გასარკვევად, რომელთაც ძირითადად ეძღვნება იგი. მაგ., ნასყიდობის წიგნები გვამცნობენ აღებ-მიცემობისა და სამამულო ურთიერთობის საკითხებს, არზები და ოქმები — სამართლის წარმოებას, ხარჯის ნუსხები — ეკონომიურ ვითარებას, სითარხნის წიგნები — გლეხის ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობას და ა. შ. მაგრამ ამავე დროს თითოეული სახეობა საბუთებისა, გარდა პირდაპირი მისი დანიშნულებისა, მოიცავს აგრეთვე ცნობებს ჩვენი ქვეყნის წარსული ცხოვრების სხვადასხვა მხარეთა შესახებ.

მაგალითად, არის ჩვეულებრივი წყალობის წიგნები, რომლითაც მეფე რომელიმე თავის ქვეშევრდომს რაიმე წყალობას გადასცემს, მაგრამ ამ ფორმით ჩვეულებრივ, ტრაფარეტულად გაფორმებულ საბუთში მოცემულია საბუთის მიმღების დახასიათება და ის დამსახურება, რომლის აღსანიშნავად ეძლევა მას წყალობა. სწორედ ამ დამსახურების აღნიშვნისას (თუმცა აქაც საბუთი ტრადიციას არ ღალატობს და დახასიათებაც ძირითადად ტრადიციული ფორმულებით არის გადმოცემული) მოულოდნელად გამოჩნდება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ისტორიის ისეთი ფაქტი, რომელიც სხვა წყაროებით ცნობილი არ არის.

არააქტები ანუ არაიურიდიული დოკუმენტები

დოკუმენტური წყაროები, როგორც ითქვა, ორ ნაწილად იყოფა — აქტებად და არააქტებად. ე. წ. არააქტებად იწოდებიან არზები, ჩანაწერები, სიები, საგადასახადო და საშემოსავლო დავთრები, ანგარიშგებები, აღწერები, ხარჯის ნუსხები, ბრძანებები. ყველა ეს დოკუმენტი ნაწილდება დოკუმენტური წყაროების გვარის სტატისტიკურა და საქმისწარმოებითი საბუთების წყებაში.

ამჟამად ჩვენ გვინტერესებს ამ წყებებში შემავალი სახეობებიდან მხოლოდ ორი — ანგარიშგებები და არზები.

ანგარიშგებები

ანგარიშგებებად იწოდება საეკლესიო მესვეურთა (წინამძღვრის, ეპისკოპოსის, კათალიკოსის) ნაღვაწ-ნამოქმედარის სათანადო ფორმით შესრულებული აღწერა-ფიქსაცია. ასეთმა ანგარიშგებებმა ჩვენამდე საკმაო ოდენობით მოაღწია — დაწყებული XI ს. და გათავებული XIX ს. დამდეგით. ყველა ამ საბუთის წარმოშობა, შინაარსი და ფორმა ერთნაირია. საერთოა მათი დანიშნულება ანუ სოციალური ფუნქციაც. ყველაფერი ეს საშუალებას იძლევა დოკუმენტთა მასიდან ისინი ცალკე ჯგუფებად გამოიყოს.

ასეთი საბუთის გამცემი ანუ შემქმნელი საეკლესიო მესვეურია. რამდენადაც ყოველი საეკლესიო მესვეურის პირდაპირი მოვალეობა იყო მისდამი ჩაბარებული საეკლესიო ქონების მოვლა-პატრონობა, ამიტომაც ისინი აუცილებლად თვლიდნენ შეედგინათ თავიანთი მოღვაწეობის ანგარიში. როგორც წესი, ეს ანგარიში მიმართული იყო იმ ხატისადმი, იმ ღვთაებისადმი, ვის სახელზედაც აგებული იყო მათდამი რწმუნებული ეკლესია.

ასეთი ანგარიშგების წარმოშობას თავისი მიზეზი ჰქონდა. საერთოდ, საეკლესიო მესვეური ორმაგ პასუხისმგებლობას გრძნობდა — ზნეობრივსა და იურიდიულს. ზნეობრივად ის პასუხს აგებდა უზენაესი ღვთაებისა და მისი ეკლესიის მფარველი ხატის წინაშე. იურიდიულად კი ის პასუხისმგებელი იყო მისდამი დაქვემდებარებული კოლექტივის (მონასტერში — „კრებულის“, ეკლესიაში — „საყდრიშვილთა“) წი-

ნაშე. საეკლესიო მამულ-ქონების უვნებლად შენახვა მრავალ სირთულესთან იყო დაკავშირებული. კიდევ უფრო რთული იყო ამ ქონების გაზრდა-გაფართოება. ამიტომ საეკლესიო მესვეური ცდილობდა, დეტალურად აეწერა ყველა ის სირთულე-გასაჭირი, რაც მას თავის მოღვაწეობის მანძილზე აღებულ ეკლესიაში თავს გადახდენოდა. შთამომავლობას უნდა დაენახა და დაეფასებინა მისი ღვაწლი, რაც გამოიხატებოდა ეკლესიის წირვა-ლოცვებში მისი საუკუნო სახსენებლის დაწესებით.

ყოველივე ამის შედეგად ჩვენ მივიღეთ ქართულ დოკუმენტთა ერთი ქვესახეობა — საეკლესიო მესვეურთა ანგარიშგებები.

ამ ქვესახეობის ყველა დოკუმენტი, გარდა იმისა, რომ ისინი ერთნაირი წარმოშობისა და დანიშნულებისა არიან, აღნაგობითაც ერთმანეთს ემსგავსებიან.

პირველი ნაწილი ასეთი საბუთებისა „ღვთისმეტყველური შესავალია“. ეს შესავალი გვიანი საუკუნეების საბუთებში უფრო გრძელია, განსაკუთრებით გრძელია იგი კათალიკოსების ანგარიშებში.

„ღვთისმეტყველური შესავლის“ შემდეგ მოდის უშუალოდ ანგარიში. მოღვაწეობა-საქმიანობის აღწერა, როგორც წესი, იწყება ეკლესიის აღმშენებლობა-განახლებისა და თვით ტაძარში ჩატარებული მშენებლობების ისტორიის მოთხრობით.

საბუთის ავტორის მოღვაწეობისას ეკლესიისათვის შემოწირული ქონება ცალკე ნაკვეთში ჩამოითვლება, რასაც თავისი რიგი და წესი აქვს. ჯერ ჩამოითვლება მოძრავი ქონება, შემდეგ უძრავი. დასახელებულია შემოწირული ხატები, საეკლესიო სახმარი ნივთეულობა, შესამოსელი, წიგნები და სულ ბოლოს მიწები და გლეხები. ერთგვარი გადახვევა ამ წესიდან შეინიშნება ნიკორწმიდელის ანგარიშგებაში. საბუთის ავტორს შემოწირულებათა აღმუხსნავ ნაკვეთში არ შეაქვს შემოწირული მიწები. ამ მიწების ჩამოთვლა მას გადააქვს ნასყიდი მამულ-ქონების აღნუსხვისადმი განკუთვნილ ნაწილში. შემოწირული გლეხი კი მოძრავ ქონებად არის ჩათვლილი და ამიტომ შეწირულებათა ნაკვეთშია დატოვებული.

შეწირულებათა ჩამოთვლის შემდეგ ანგარიშგების ავტორი გადადის საკუთრივ მის მიერ შეძენილ მამულ-ქონების აღნუსხვაზე. ეს ნაკვეთი საბუთის ძირითადი ნაწილია, სადაც ქონების დასახელების იგივე წესია დადასტურებული, რაც შეწირულებების აღნუსხვაში: ჯერ ჩამოითვლება მოძრავი ქონება, შემდეგ უძრავი. მოძრავი ქონება აქაც ასეთი თანამიმდევრობით ჩამოითვლება: ხატები, საეკლესიო სახმარი ნივთები, შესამოსელი, წიგნები. უძრავი ქონების ჩამოთვლასაც თავისი წესი აქვს. ჯერ დასახელებულია შეძენილი ადგილ-მამული, მიწე-

ბი, შემდეგ ამ შექნილ ადგილებში ჩატარებული მშენებლობა და ბოლოს ჩამოთვლებიან შექნილი გლეხები!

საბუთის ბოლო ნაკვეთში მოცემულია საბუთის შემდგენლის თხოვნა მომდევნო საეკლესიო მესვეურთადმი, რათა მათ უვნებლად დაიცვან მისი ნაღვაწი, და წყევა იმათი, ვინც მომავალში ამ ნამოღვაწარს ხელს შეახებს.

ზოგი საეკლესიო მესვეური საუკუნო სახსენებელს ან სამწირველოს იჩენს ეკლესიაში და ეს მისი განაწესი საგანგებოდ არის ხოლმე აღნიშნული საბუთის დამამთავრებელ ნაწილში.

თუ ანგარიშგებას ასეთი ნაწილი — სამწირველოს გაჩენა — ახლავს, მაშინ საბუთში გამოიყოფა კიდევ ერთი ნაკვეთი, რომელშიაც გარკვეული პირები ამ განგებულებას დაამტკიცებენ.

დღეისათვის ცნობილია შემდეგი ანგარიშგებები:

1. მელქისედეკ კათალიკოსის „დაწერილი“ 1031—1033 წლებისა².
2. ნიკორწმიდელის „დაწერილი“ XI საუკუნისა³.

¹ ანგარიშგებებში დადასტურებული წესი ქონების ჩამოთვლისა საერთოა ყველანაირი სიებისათვის; შეწირულების წიგნი იქნება ის, თუ მზითვის წიგნი, ქონების ჩამოთვლა ერთნაირი თანამიმდევრობით ხდება: ჯვარ-ხატები, საეკლესიო ნივთები, საეკლესიო წიგნები, სამკაული, ტანისამოსი, საწოლის იარაღი, ჭურჭელი, ცხენის იარაღი, შემდეგ მოახლეები და მსხლებლები.

ქონების ჩამოთვლის ასეთივე წესია დადასტურებული დას. ევროპასა და რუსეთშიაც. ყველგან ჯერ მოძრავ ქონებას ჩამოთვლიან, შემდეგ უძრავს. მოძრავი ქონების აღნუსხვაც ერთნაირია ყველგან. იხ. მაგ., Н. П. Лихачев, Сборник актов собранных в архивах и библиотеках, вып. I, СПб., 1895.

² ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 20—31.

³ იქვე, გვ. 39—44. ამ საბუთს მისი პირველი გამომცემელი თ. ქორდანია ათარიღებდა XI ს-ით (ქრ., II, გვ. 43). ჩვენ ეს საბუთი 1072—1080 წწ. შუალედით დავათარიღეთ (მსკი, ნაკვ. 34, თბ., 1962, გვ. 27), რადგან მასში ჩამოთვლილია ბიზანტიის იმპერატორების კონსტანტინე X-ის (1059—1067) და მიხეილ VII დუკას (1071—1078) დროს მოჭრილი მონეტები კონსტანტინატი და დუკატი. ამავე საბუთში მოხსენებული ნიკორწმიდის შემწირველი ივანე ლიპარიტის ძე ჩვენ ჩავთვალეთ ამ დროის ცნობილი საგვარეულოს — ბაღვაშების — წარმომადგენელ ივანე ლიპარიტის ძედ, რომელიც მამის — ლიპარიტის — საქართველოდან გაძევების შემდეგ არგვეთში იყო დაფუძნებული.

უკანასკნელ ხანებში ნიკორწმინდელის „დაწერილის“ დათარიღებაში ახალი თვალსაზრისი გამოჩნდა. ჟურნალ „მაცნეში“ დაიბეჭდა ილია ანთელავას ორი წერილი: „ნიკორწმიდის „დაწერილის“ დათარიღებისათვის“ („მაცნე“, 1980, № 1) და „ნიკორწმიდის „დაწერილის“ დათარიღების ზოგიერთი საკითხი“ („მაცნე“, 1981, № 4). ი. ანთელავასთვის არ აღმოჩნდა საკმარისი ის არგუმენტები, რომლებითაც ეს საბუთი XI ს-ით თარიღდება. თავის მხრივ მან ეს დოკუმენტი XIII ს. მეორე ნახევრით და XIV ს. დასაწყისით დაათარიღა. ამ დათარიღებისათვის მისთვის ძირითადი იყო ტექსტში ნახსენები „ბაღდადური აფი“. თუმცა კონტექსტით „აფი“ რაღაც ქსოვილის აღმნიშვნელი ტერმინია („...ცოლმან ზაზი შემოსწირა ბაღდადური აფი :ა: და შევეკერენ კვართი :ა: და სასთაული :ბ:“), მაინც მან იგი გაიაზრა როგორც ბაღ-

3. ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვრის პავლეს „დაწერილი“ 1181—1184 წლებსა⁴.

4. გაბრიელ ლაბეჭინელის „დაწერილი“ XIII ს. ბოლო — XIV ს. დასაწყისისა⁵.

5. მალაქია ქართლის კათალიკოსის საბუთი XVI ს. 30—40-იანი წლებისა⁶.

6. დოროთეოს კათალიკოსის საბუთი XVI ს. ბოლოსი⁷.

დადური ალაფი. და რაკი ბაღდადური ალაფი ჩვენში შეიძლება შემოტანილიყო მხოლოდ მონღოლთაგან ბაღდადის ალების შემდეგ (1258 წ.), შესაბამისად დოკუმენტიც XIII ს. მეორე ნახევარს და XIV ს. დასაწყისს მიაკუთვნა. სიტყვაში „აფი“ დაქარაგმებული ალაფის დანახვა და ამით საბუთის გადათარიღება, ნაძალადევია. მით უფრო რომ დოკუმენტში არ იხსენიება XIII—XIV სს. საქართველოსთვის ყველაზე გავრცელებული ფულადი ერთეული „თეთრი“. ამავე დროს მასში მრავლადაა ნახსენები XI ს-ის მონეტები — დრაჰკანი, კოსტანტინატი, დუკატი, დრამა, აჟურა.

ამჯერად შევჩერდებით ილ. ანთელავას მხოლოდ ერთ გამონათქვამზე, რამდენადაც რგი ეხმარება წინამდებარე წიგნში განხილულ საკითხებს. ილ. ანთელავა აღნიშნავს, რომ ნიკორწმინდის „დაწერილი“ აგებულია არა იერარქიული, არამედ ქრონოლოგიური პრინციპით“ („მაცნე“, 1981, № 4, გვ. 152). ნიკორწმინდის „დაწერილი“ კი, როგორც საერთოდ საეკლესიო მესვეურის ყოველი ანგარიშგება, აგებულია მიღებული წესით, რაც გულისხმობს დოკუმენტის შემადგენელი ნაწილების გარკვეულ თანამიმდევრობასა და ყოველი ნაკვეთის შემუშავებული რიგით გამართვას (ამ წესის შესახებ იხ. აქვე, გვ. 52—54 იერარქიული პრინციპი კი სწორედაც გამოიყენება ანგარიშგების ამ ნაკვეთში, სადაც შეწირულებებია ჩამოთვლილი. შემწირველები ყოველთვის უფროს-უმცროსობის რიგის დაცვით ჩამოითვლება და არა ქრონოლოგიურად.

⁴ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებითურთ. ტფ., 1901, გვ. 269. პავლე ათონის წინამძღვრად იყო 1170—1184 წლებში, მაგრამ რადგანაც საბუთში პავლე იხსენიება ბიზანტიის იმპერატორის ალექსი კომნენისა (1181—1218) და მისი მეუღლის მარიამის თანამედროვედ, საბუთი დაიწერებოდა 1181— წლის — ალექსი I-ის გამეფების — შემდეგ.

⁵ საბუთი მიწერილია ლაბეჭინის ოთხთავზე. ეს ოთხთავი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდში 1563 ნომრად. ტექსტი საბუთისა გამოქვეყნდა ორჯერ: ე. თ. აყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. პარიზი, 1937, გვ. 18—22; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტ. V, თბ., 1955, გვ. 77—79.

⁶ თ. უორდანიას (ქრონიკები, II, გვ. 377) ამ საბუთს მიაკუთვნებს მალაქიას კათალიკოსად დადგინების პირველ წელიწადს — 1532 წელს, მაგრამ საბუთი შედგებოდა სწორედ 1532 წლის შემდგომ, მალაქიას კათალიკოსობის ბოლო ხანებში. მალაქია კათალიკოსად ჩანს 1532—1549 წლებში. საბუთს ჩვენ ვათარიღებთ XVI ს. 30—40-იანი წლებით.

ეს საბუთი ხელახლა გამოაქვეყნა ი. დოლიძემ: ქსძ, III, თბ., 1970, გვ. 253—256.

⁷ საქართველოს სიძველენი, III, გვ. 129. ეს საბუთი წარმოადგენს დოროთეოსის იტრიის მონასტერში საქმიანობის აღწუსხვას. აღწერილია მონასტრის ხელახლა აშენებისა და იქ წარმოებული საქმიანობის ისტორია. საბუთში ნათქვამია: „მოვიდა შეფეთ მეფე სვიმონ ტყვეობიდან, მრავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა მისისა-

7. აფხაზეთის კათალიკოსის მალაქია გურიელის საბუთი 1627—1639 წლებისა⁸.

8. კათალიკოს ნიკოლოზ ამილახორის საბუთი 1687 წ. საბუთი⁹.

9. გარეჯის წინამძღვრის ონოფრე მაჭუტაძის 1712 წლის საბუთი¹⁰.

10. აფხაზეთის კათალიკოსის გრიგოლ ლორთქიფანიძის 1733 წლის საბუთი¹¹.

11. ათანასე თბილელის საბუთი 1752 წლისა¹².

12. კაცხის არქიმანდრიტი პეტრეს ანგარიშგება¹³.

13. დომენტი კათალიკოსის ანგარიშგება¹⁴.

14. ნინოწმინდელი ეპისკოპოსის საბა ტუსიშვილის ანგარიშგება 1780—1784 წლებისა¹⁵.

გარდა ზემოჩამოთვლილი საბუთებისა თავისი საქმიანობის ანგარიშში შეუქმნიათ, როგორც ჩანს, იოანე და ეფთვმე ათონელებს. გიორგი მთაწმიდელი თავის „ცხორება ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანესი და ეფთვმესი“ აღწერს ათონის მთაზე იოანესა და ეფთვმეს ნაღვაწს და დასძენს: „ესეცა ყოველი თვთ წმიდისა მამისა ეფთვმეს კელთა ნუსხისგან დაგვიწერია“, „ესეცა ყოველი მამათავე ჩუენთა დაწერილისაგან დაგვიწერია“—ო¹⁶. ცხადი ხდება, რომ გიორგი მთაწმიდელს ხელთ

ნი¹⁶. სვიმონ მეფე სპარსეთის ტყვეობიდან დაბრუნდა 1578 წ. და რაკი აქ იგი ცოცხლად იხსენიება, საბუთი სვიმონის სიკვდილამდე — 1600 წლამდე — შედგებოდა. საბუთი დაბეჭდილია აგრეთვე ქსძ, III, გვ. 352—357.

⁸ საისტორიო მოამბე, წ. 2, ტფ., 1925, გვ. 189—192.

⁹ ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, IV, თბ., 1913, გვ. 64—67.

¹⁰ თ. უორდანიძე, ქართლ-კახეთის ეკლესია-მონასტრების საბუთები, გვ. 47—70. აგრეთვე ქსძ, III, გვ. 678—693.

¹¹ ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 131—147; აგრეთვე ქსძ, III, გვ. 718—735.

¹² ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, V, გვ. 55—60. ამ საბუთს მისი გამოცემელი 1740 წლით ათარიღებს. 1740 წელს ათანასე მხოლოდ დააყენეს თბილელად, საბუთში კი აღწერილია ათანასეს საქმიანობა მისი თბილელად ყოფნისას. 1752 წლის 30 მისს ათანასე რუსეთს გაემგზავრა საიდანაც ის აღარ დაბრუნებულა. ამიტომ საბუთი დაწერილია ამ თარიღზე უწინარეს. რომ საბუთი მაშინ არის შედგენილი, როცა ათანასეს რუსეთში წასვლა უკვე გადაწყვეტილი იყო, ეს ჩანს საბუთის უკანასკნელი წინადადებიდან: „მას გარდა ბალს ხარჯი ჩემ და წასლამდის თუმანი ოცდაოთხი...“ (ისტორიული საბუთები, V, გვ. 60).

¹³ საქ. ცსია, ფონდი 1448, № 3281. საბუთი უთარიღოა, მაგრამ აშკარად XVIII ს. ეკუთვნის.

¹⁴ ამ საბუთის პირი შეტანილია მცხეთის სიგელ-გუჯრების პირების კრებულში, საქართველოს სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა კოლექცია, ტ. VI, თბ., 1953, გვ. 13—14.

¹⁵ სარა ბარნაველი, საბა ტუსიშვილის ანდერძისებრი ლუწანი, წიგნში: ქართული ხელოვნება, III, თბ., 1950, გვ. 226—235.

¹⁶ ათონის კრებული, გვ. 18, 3—10.

ჰქონია იოანესა და ეფთვიმეს საქმიანობის აღმნუსხველი საბუთი, უშუალოდ მათი ხელიდან გამოსული.

ანგარიშგებებში გამოირჩევა ორი სახე — ერთი, როცა საბუთის შემდგენელი ანგარიშს აბარებს მხოლოდ მისდამი ჩაბარებულ საეკლესიო ქონებაზე, და მეორე — როცა საბუთის შემდგენელი ეკლესიას ახმარს საკუთარ სახსრებსაც¹⁷. ეს განსხვავება, როგორც წესი, ანგარიშგების შინაარსშია ასახული. საეკლესიო ქონების დახარჯვისას ავტორი ანგარიშგებაში უფრო ზუსტია, ანგარიშს ასეთ შემთხვევაში უფრო დეტალურს ადგენს, ხოლო როცა საკუთარ სახსრებს ხარჯავს, იგი კმაყოფილდება თავისი ნამუშავევის უბრალო ჩამოთვლით, დეტალურ აღწერას კი აღარ იძლევა.

ანგარიშგებებში საბუთის იმ მონაკვეთს, რომელშიაც უძრავი ქონების შექენის ფაქტებია აღნუსხული, მეტწილად განსაკუთრებული სათაური აქვს ხოლმე.

მაგალითად, მეღქისედეკის დაწერილში დოკუმენტის ეს ნაწილი ასეა დასათაურებული: „და მონასტერნი და სოფელნი, რომელ მე მომიგინ ამის წმიდისა დედაქალაქისათვის“.

ნიკორწმიდელის დაწერილში: „რომელ მე მიყიდიან გლეხნი და მიწანი და მათთვის გამიცემია ეკლესიისაგან განძად და პირუტყვად“.

გაბრიელ ლაბეჭინელის დაწერილში: „ვენახნი და ყანაი ურიცხვი, რომელი მიშენებია, მომიგია და მიყიდია“.

გრიგოლ აფხაზეთის კათალიკოსის 1733 წლის საბუთში: „მოგასენებ იმ აგარაკთა, სოფელთა, გლეხთა, სასახლეთა და ეკლესიათა, რაოდენიც სახელდებით სიგლითა ამით სამკვიდროდ დაგვიდვია და შემოგვიწირავს“.

აფხაზეთის კათალიკოსის მალაქია გურიელის (1627—1639) საბუთში: „აწ ადვილებისა და მამულებისაგან“.

საეკლესიო მესვეურის საქმიანობის ყველაზე უფრო აქტიური მხარე დოკუმენტის სწორედ ამ ნაწილშია მოთხრობილი. ამიტომ არის ის ყველაზე დეტალური და საგანგებო სათაურით გამოყოფილი.

X—XV საუკუნეებში ამ რიგის საბუთების ზოგადი სახელია „დაწერილი“. ასე, მეღქისედეკი თავის ანგარიშგებას რამდენჯერმე უწოდებს „დაწერილს“: „ესე დაწერილი მოგავსენე...“, „რომელთა ესე დაწერილი ჰნახოთ, თქვენც სიმტკიცე დასწერეთ“, „ბაგრატ აფხაზთა მეფეო... ესე დაწერილი დამიმტკიცე“ (ქსძ., III, გვ. 18, 25).

ნიკორწმიდელიც თავის ანგარიშგებას დაწერილად მოიხსენიებს: „შემდგომად პირველ დაწერილისა ამისა...“ (ქსძ., III, გვ. 34).

¹⁷ საკუთარი სახსრებით მოღვაწეობა გამოიხატება სხვადასხვანაირად: „ჩემითა თეთრითა მიყიდია“, „კონდაკით მოგებული“, „წირვით მიშოვნია“.

„პაპულე ათონელის საბუთიც ამდაგვარადვეა სახელდებალი: „ესე ყველაი ჩემი ველითა დამიმტკიცებია ზემოითა დაწერილი“¹⁸. გიორგი მთაწმიდელიც, როცა იოანე და ეფთვიმეს საქმიანობას აღწერს, დასძენს: „ეს ყოველი მამათავე ჩვენთა დაწერილისაგან დაგვიწერია“¹⁹.

„დაწერილსავე“ უწოდებს თავის ანგარიშს XVI ს. ქართლის კათალიკოსი მალაქია: „ესე დაწერილი მოვაკსენე და შევსწირე“²⁰.

XVI ს-დან, როცა საერთოდ შეინიშნება დიპლომატიკურ ცნებათა აღრევა, ანგარიშგებათა შემცველი საბუთები უკვე სხვადასხვანაირად იწოდება: „სიგელი“ (დოსითეოს კათალიკოსის XVI ს. ბოლოს შედგენილი საბუთი)²¹, „ნუსხა და წიგნი“ (გარეჯის წინამძღვრის ონოფრე მაჭუტაძის XVIII ს. საბუთი)²², „შემწირველობის მატთანე“, „შეწირულების სიგელი და იადგარი“ (აფხაზეთის კათალიკოსის გრიგოლ ლორთქიფანიძის 1733 წლის საბუთი)²³, „შეწირულობის წიგნი“, „შეწირულობის დავთარი“ (მაქსიმე კათალიკოსის 1776 წლის საბუთი)²⁴, „ანდერძ-ნაღვაწი“, „ლუწის წიგნი“ (საბა ნინოწმიდელის საბუთი XVIII ს. ბოლოსი)²⁵. აი, ის ტერმინები, რომლითაც XVI—XVIII სს. შედგენილი ანგარიშგებები იწოდებიან.

საეკლესიო მესვეურთა ანგარიშგებებიდან სავანეებოდ შევჩერდები გაბჭიელ ლაბეჭინელის დაწერილზე (XIII ს. ბოლო).

XIII—XIV სს. ეს საბუთი, ნუსხა-ხუცურით შესრულებული, მიწერილია XIII ს-ში გიორგი დვალის ხელით გადაწერილი სახარების ბოლო გვერდებზე (272-ის რექტოდან 275-ის ვერსომდე). ეს სახარება ლაბეჭინის ეკლესიაში იდო, სანამ ის XX ს. დასაწყისში საეკლესიო მუზეუმს არ გადაეცა. ამჟამად იგი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდში 1563 ნომრად. ის გარემოება, რომ საბუთი მიწერილია ხელნაწერი წიგნის თავისუფალ გვერდებზე, გარეგნულად მას დოკუმენტისაგან განსხვავებულ იერს აძლევს. მკვრამ შინაარსით, ტექსტის გამართვის ხერხებით, ცალკეული ნაკვეთების თანამიმდევრობით იგი

¹⁸ ათონის კრებული, აღაბი № 165, გვ. 273.

¹⁹ გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი, თბ., 1946, გვ. 23.

²⁰ თ. ჟორდანიას, ქრონიკები და სხვა მასალა ისტორიისა და მწერლობისა, II, თბ., 1897, გვ. 377.

²¹ საქართველოს სიძველენი, III, გვ. 128.

²² თ. ჟორდანიას, ქართლ-კახეთის ეკლესია-მონასტრების საბუთები, გვ. 68.

²³ ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 139, 145.

²⁴ იქვე, II, გვ. 56.

²⁵ ქართული ხელოვნება. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 3, თბ., 1950; ს. ბარნაველი, საბა ტუსიშვილის „ანდერძისებრნი ლუწანი“, გვ. 211—236.

არაფრით განსხვავდება ცალკე ფურცელზე დაწერილი ანგარიშგებისა-
გან.

ლაბეჭინა ლეჩხუმის ერთ-ერთი საუკეთესო ეკლესიაა ცაგერის
შემდეგ (ე. თაყაიშვილი). იგი მდებარეობს ალბანიდან 8 კმ-ზე, რიო-
ნის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით აღმართული მთის მაღალ სერზე.
თვით სოფელი ლაბეჭინა ეკლესიის დაბლაა და იგი დღეს ამბროლაუ-
რის რაიონის ჭყვიშის სასოფლო საბჭოში შედის. ლაბეჭინის ეკლესია
ერთნავიანი ბაზილიკაა, უხვად შემკული ჩუქურთმებითა და ასომთავ-
რული წარწერებით, რომელმაც ჩვენს დრომდე ძალზე დაზიანებული
სახით მოაღწია²⁶. XIII ს. შუა წლებში ძლიერი მიწისძვრისაგან დან-
გრეული ეს ეკლესია აღადგინა მისმა წინამძღვარმა გაბრიელ ლაბეჭი-
ნელმა. მან კედლები ახლად ამოიყვანა, გადახურა, შელესა და მოახატ-
ვინა, დადგა ახალი კანკელი, ოცი ხატი „ახლად დააწერინა“, თერთმე-
ტი ხატი ახლად მოაჭედვინა, სხვა მხრივადაც გაზარდა-გაამრავლა ლა-
ბეჭინის ქონება და თავისი ამ საქმიანობის ვრცელი ანგარიში დაგვი-
ტოვა.

ეს ანგარიში მან შეადგინა არსებული წესის მიხედვით. ნიმუშად ამ
ანგარიშისა მას გამოუყენებია მისი წინამორბედი ლაბეჭინელი წინა-
მძღვრების ნაღვაწის აღწერილობანი: „ესე რაჲც ამთ სულკურთხე-
ულთა ლაბეჭინელთა მოძღვართაგან მოჭირვებული და შენებული ყო-
ფილა, მათ ყოველთაგან აქა დაწერილა აქას ადგილსა ზედა“. ეს სი-
ტყეები მას სინგურით დაუწერია და საბუთის სათაურად აქვს გამო-
ყენებული. ამის შემდეგ გაბრიელი აღწერს, როგორ გახდა ის ლაბე-
ჭინის წინამძღვარი და რა გააკეთა მან თავის წინამძღვრობაში²⁷.

„მათად შემდგომად (— წინამორბედ წინამძღვართა შემდეგ — მ. ბ.)
მე გაბრიელ ლაბეჭინელი დავრჩი. ვიდრემდის ჩემი გამზრდელი ცო-
ცხალი იყო (აქ იგულისხმება გაბრიელის უშუალო წინამორბედი წი-
ნამძღვარი), რაჲცა შემემძლო ეკლესიისა სამსახურსა და პატრონთა
სამსახურსა და სხუესა ყველასა მე ვიქმოდე. რაჲ ცოდვათა ჩემთაგან
იგი მიიცვალა, მაშინვე მევე მიბრძანეს ამის ადგილისა პატრონთა ყუე-
ლათა წმიდათა მთავარანგელოზთა სამსახური და თვით მათი სამსახუ-
რი“.

ამის შემდეგ საბუთში მოთხრობილია, როგორ განაახლა გაბრიელმა

²⁶ ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 11—30.

²⁷ ამ საბუთის ტექსტი გამოაქვეყნა ექ. თაყაიშვილმა 1937 წელს წიგნში: „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“ (გვ. 18—22). შემდეგში ტექსტი გამოქვეყნდა „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ A კოლექციის V ტომში ლილი ქუთათელაძის წაკითხვით (1955 წ., ტ. V, გვ. 77—79).

მიწისძვრის შედეგად დანგრეული ლაბეჯინის ეკლესია (ერთ ზაფხულს 12 კალატოზი მუშაობდა, მეორე ზაფხულს ცამეტმა კალატოზმა „ეკლესიამ ზედა შეკრა“, მესამე ზაფხულს შენობა გადახურეს და მოღვსეს).

საბუთის მომდევნო ნაწილში მოთხრობილია წინამძღვრის საქმიანობა ეკლესიის მოხატვასა და ხატების დახატვა-მოჭედვაზე; ამის შემდეგ ჩამოთვლილია გაბრიელისაგან შექმნილი და შემოსილი წიგნები იმის აღნიშვნით, თუ ვინ გადაიხადა ამ წიგნების ფასი.

მომდევნო ნაკვეთი საბუთისა მოგვითხრობს წინამძღვრის საქმიანობას საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების აშენებასა და ჭურჭელ-ხელსადაგამის მოგებაზე.

შემდეგი, მეოთხე, ნაწილი საბუთისა, როგორც ეს მიღებული იყო საერთოდ ანგარიშგებებში, შეიცავს ცნობებს მამულისა და გლეხების შექმნის შესახებ. ამ ნაწილს თავისი სათაური აქვს — „ველ-ვენახნი და ყანაა ურიცხვი, რომელი მიშენებია, მომიგია და მიყიდი“. ჩამოთვლილია შექმნილი გლეხებისა გარკვეული წესით ხდება — ჯერ ჩამოთვლის საკუთრივ მის მიერ შექმნილ გლეხებს, შემდეგ კი სხვათაგან შემოწირულებს.

ამის შემდეგ გაბრიელ ლაბეჯინელი იწყებს თავისი საქმიანობის ახალი უბნის აღწერას — არბანაში ჩატარებულ მშენებლობასა და შექმნა-მოგების ჩამოთვლას. ანგარიშგების ეს ნაწილიც საერთო წესით არის გამართული. მასაც თავისი სათაური აქვს: „არბანას რომელ მიშენებია და მომიგია ესე არს“. სათაურის შემდეგ იწყება ჩამოთვლა: ეკლესიის აგება, მოხატვა-მოკაზმვა, ხატებისა და წიგნების შექმნა, სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობების შექმნა, ჭურჭლისა და სამეურნეო იარაღის (სამჭედური) შექმნა და ბოლოს ჩამოთვლილია შექმნილი მიწები. როგორც ვხედავთ, ლაბეჯინელი თავის ამ მიჯრუ-უბანში ჩატარებულ საქმიანობასაც ჩვეულებრივი, დადგენილი თანამომდევრობითა და წესით ადგენს.

როგორც ამ რიგის სხვა საბუთები, ლაბეჯინელის ანგარიშგებაც უნდა დამთავრებულიყო თხოვნით მომდევნო საეკლესიო მესვეურთადმი, რათა მათ უვნებლად დაეცვათ მისი ნაღვაწი. აქვე უნდა ჩაეწერა მას საუკუნო სახსენებლის დაწესება ეკლესიაში. მაგრამ საბუთის ბოლო 12 სტრიქონი, რომელიც ალბათ სწორედ ამ თხოვნას შეიცავდა, მელნით არის საგულდაგულოდ გადახაზული და მისგან მხოლოდ აქა-იქ გაირჩევა რამდენიმე სიტყვა.

საბუთის დათარიღების შესახებ.

გაბრიელ ლაბეჯინელის ეს დაწერილი ჩაწერილია გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი სახარების ერთ-ერთ ნუსხაში, რომელიც გადაწერილია XIII ს. ცნობილი გადაწერის გიორგი დვალის ხელით.

ამიტომ ეს საბუთი XIII ს. მეორე ნახევარზე ადრე არ დაიწერებოდა. ხელი ნაწერისა XIII—XIV სს-ში გავრცელებული ნუსხა-ხუცურია. საბუთში გვხვდება ასეთი გამოთქმა: „შეუნდვას ღმერთმან დედოფალთ-დედოფალსა ვწის დედასა რუსუდანს, მის ჟამისა შენებისათვის გალატოზთა ზედა ფასი მან ვასცა“. „ვწის დედასა“ — ქარავმა ე. თაყაიშვილს გახსნილი აქვს როგორც „ვახტანგის დედასა“. ამ სიტყვის გასწვრივ ხელნაწერი წიგნის აშიაზე გვიანდელი ხელით შენიშვნაა გაკეთებული: „მგწივ ვახტანგის დედასა იტყვის“. ე. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ ეს დედოფალთ-დედოფალი რუსუდანი, თუ ის ვახტანგის (ნარინ დავითის ვაჟის) დედაა, შესაძლოა იყოს მეუღლე მეფე დავით ნარინისა, ქალი მიხეილ პალეოლოგოსისა, რომლის სახელი ისტორიას არ შემოუნახავს.

თუ ჩვენს საბუთში მოხსენებული დედოფალთ-დედოფალი რუსუდანი, მართლაც, ნარინის მეუღლეა, ხოლო ვახტანგი, რომლის დედადაც იწოდება ეს რუსუდანი, მომავალი მეფე ვახტანგ II არის, უნდა ვიფიქროთ, რომ ლაბეჭინელის ანგარიში დაიწერებოდა მაშინ, როცა ვახტანგი ჯერ არ იყო მეფე (ვახტანგ II მეფობდა 1289—1292 წლებში). წინააღმდეგ შემთხვევაში ლაბეჭინელი მას მეფედ მოიხსენიებდა.

დავით ნარინს პირველ თანამეცხედრედ ჰყავდა თამარ, ამანელის ძეთა ასული, რომელთანაც მას სამი ვაჟი ჰყავდა: ვახტანგი, კონსტანტინე და მიქელი. თამარის გარდაცვალების შემდეგ ნარინმა მიხეილ VIII პალეოლოგოსის ქალი შეირთო 1267 წელს. ამ დედოფლის სახელი ისტორიას არ შემოუნახავს, მაგრამ ვიცით მისი ერთადერთი ვაჟის სახელი — ალექსანდრე²⁸. ლაბეჭინელის საბუთში კი ეს დედოფალი ვახტანგის დედად იწოდება. ნარინის ოთხი ვაჟიდან ლაბეჭინელმა დედოფლის შვილად მხოლოდ ვახტანგი მოიხსენია ალბათ იმიტომ, რომ ვახტანგი, როგორც პირმშო, ტახტის მემკვიდრედ ითვლებოდა.

თუ ვაბრიელს თავის ანგარიშგებაში, მართლაც, ნარინის მეორე მეუღლე და უფროსი ვაჟი ჰყავს ნაგულისხმები, მაშინ ეს ანგარიშგება დაიწერებოდა პალეოლოგოსის ქალის გადედოფლებასა (1267) და ვახტანგ II-ის გამეფებას შორის (1289 წ.).

ამ ხანებში იყო კიდევ ერთი დედოფალი, რომლის სახელი ისტორიაში უცნობია და რომელსაც ჰყავდა შვილი ვახტანგი. ესაა მეფე დიმიტრი თავდადებულის პირველი მეუღლე, ტრაპიზონის მეფის ასული. ამ ქალთან მეფეს სამი ვაჟი — დავით, ვახტანგ, მანოელი — და ასული რუსუდანი ჰყავდა. ვახუშტის მიხედვით, ეს ვახტანგი (შემდეგში მეფე ვახტანგ III) 1276 წ. დაიბადა. იგი მეფობდა 1302—1308 წლებში. რაკი ვაბრიელი რუსუდანის შვილად მხოლოდ ვახტანგს ასა-

²⁸ უამთაღმწერელი, ასწლოვანი მატინე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა... რევაზ კიკნაძემ. თბ., 1987, გვ. 188.



ხელეხს, უნდა ვიფიქროთ, რომ ლაბეჰინელი ამ ვახტანგში არ გულისხმობს ვახტანგ III-ს. ვახტანგ III-ის დედას ხომ სხვა შვილებიც ჰყავდა, მათ შორის ვახტანგის უფროსი ძმა დავითი (შემდეგ მეფე დავით VIII), რომელიც ვახტანგზე გვიან გარდაიცვალა (1311 წ.). უფრო საფიქრებელია, იგი დედოფალთ-დედოფალ რუსუდანად, ვახტანგის დედად, ადგილობრივი ერისთავის მეუღლე ვიგულისხმობ

არზა

XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. დასაწყისიდან ჩვენში შემოდის საბუთის ახალი სახეობა — არზა. არზა — ესაა საჩივარი ან თხოვნა, შედგენილი უმაღლესი ხელისუფლების სახელზე.

თხოვნის შემცველი საბუთები ჩვენში ადრევე არსებობდა და მათ „ჰაჯაი და მოხსენებაი“ ერქვა. ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ „XI—XIV სს. მეფეთა წყალობის წიგნებითგან ჩანს, რომ მეფის წყალობა ხშირად მირთმეული თხოვნის შედეგი ყოფილა. არც ერთი ამგვარი იმდროინდელი თხოვნათგან ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის, მაგრამ წყალობის წიგნებითგან ჩანს, რომ ამ საბუთებს მაშინ „ჰაჯაი და მოხსენებაი“ რქმევიათ. ჰაჯა არაბული ტერმინია. ჰაჯა არაბულად გასაჭირს, გაჭირვებას, მოთხოვნილებას ეწოდება“²⁹. ქართულში ამ სიტყვამ ვედრების, თხოვნის მნიშვნელობა დაიმკვიდრა, თხოვნა-ვედრების შემცველ დოკუმენტს კი „ჰაჯისა და მოხსენების წიგნი“ ეწოდა.

შემდეგში ამგვარ საბუთს არზა დაერქვა. ეს სიტყვაც არაბულია და „წარდგენას, წარდგენილობას, მიმოხილვასა ჰნიშნავს და ქართულში სპარსეთის გზით და საშუალებით არის შემოსული“³⁰. მაგრამ როდის მოხდა ჰაჯა-მოხსენების არზით შეცვლა, ცნობილი არ არის. არზა, როგორც საბუთის გარკვეული სახეობა, იხსენიება XVII ს. ბოლოდან, თვით არზა კი მხოლოდ ვახტანგ VI-ის დროიდანა გვაქვს შემორჩენილი.

არზა თავისი ხასიათით რამდენიმე ტიპისაა:

1. კერძო თხოვნა-შეწყალებითი ხასიათის არზები.

2. სასამართლო არზა — რომელიც შეიცავს რაიმე საჩივარზე სამართლის მიცემის თხოვნას.

არზა ისევე, როგორც ყველა სხვა საბუთი, გარკვეული წესით დგებოდა. მისი შედგენის უპირველესი პირობა ის იყო, რომ იგი უნდა დაწერილიყო მოკლედ და მკაფიოდ, საჩივრის არსი მასში რაც შეიძ-

²⁹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1926, გვ. 41.

³⁰ იქვე.

ლება შეკუმშულად და ამასთან გასაგებად უნდა ყოფილიყო გადმოცემული.

არზა იწყებოდა ქანწილითა და მიმართვით. მიმართვის პირველი ფრაზა — „ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მისცეს“ — ტრაფარეტად არის ქცეული და იგი უცვლელად მეორდება ყველა არზაში. ამ ფრაზას მოჰყვება არზის დამწერის, არზის მიმცემის, რომელსაც ჩვეულებრივ, არზის პატრონს უწოდებენ, სახელისა და გვარის დასახელება. შემდეგ სიტყვით „მერმე“ იწყება საჩივრის მოკლე გადმოცემა, რაიც მთავრდება მომჩივნის თხოვნით: „ღმერთი გაგიმარჯვებს, აჩის სამართალი მაღირსეთ“ (ეს ფრაზა სხვადასხვა ვარიანტებით გვხვდება). არზის ბოლოს დასმულია თარიღი (თვე, რიცხვი, ქრონიკონი).

არზა მეფეს მიერთმეოდა; მეფე არზის თავზე თავის განკარგულებას, ოქმს აწერდა. საერთოდ არზის ტექსტი ქალაღდის ფურცლის თითქმის შუა ადგილიდან იწერებოდა, თავში დატოვებული იყო საკმაო ადგილი ოქმის მისაწერად. თუ არზის ტექსტი recto-ზე არ ეტეოდა, გადადიოდა verso-ზე პირშექცევით³¹.

მეფის ოქმი არზაზე ფურცლის თავში იწერებოდა. ოქმი იმ მოხელის სახელზე იწერებოდა, ვის კომპეტენციაშიც შედიოდა არზაში მოხსენებული საჩივრის გარკვევა. მაგ., „ქ. ბატონო მდივანბეგო იასე! ამ არზის მომრთმევეს სამართალი თქვენ უსაჯეთ. ივლისის ქკს უნე“³². მეფის ამ განკარგულებას მეფისავე ბეჭედი ესმოდა.

თუ არზაში მოხსენიებული საჩივრის გარკვევა მეფეს უშუალოდ შეეძლო, მაშინ მეფე ოქმს თვით არზის პატრონის სახელზე აკეთებდა: „ჩვენი ბრძანება არის ამ არზის პატრონო! მერმე: რაც სამსახური გაქვს... უნდა ემსახურო...“³³. ოქმს ესმოდა თარიღი და მეფის სათანადო ბეჭედი.

მეფის ოქმი არზის თავზე ირიბად იწერებოდა. თუ ოქმი არზის თავს დატოვებულ ცარიელ ადგილზე ვერ ეტეოდა, გადადიოდა verso-ზე. verso-ზევე იწერებოდა იმ პირის განგებულება, ვისაც მეფე არზაში მოხსენებული საჩივრის გარკვევას დაავალებდა.

მაგ., ელიზბარ დავითიშვილის 1782 წლის 11 სექტემბრის არზის თავზე, ფურცლის ზემო აშიაზე, გაკეთებულია ერეკლე II-ის ოქმი: „ქ. ჩვენო ღთის წყალობავ შვილო ბატონო აღმასხან! ეს და ამისი მოადი სამართალში ალაპარაკე და სამართალი უსაჯეთ. სეკდენბრის თ. ქკს უო. ერეკლე“.

³¹ საერთოდ verso-ზე გადასული ტექსტი ყველა საბუთში პირშექცევით იწერება.

³² სიძვ., I I, № 452, (1767 წ.).

³³ იქვე, № 459 (1775 წ.).



საბუთის verso-ზე კი მიწერილია თვით ალმასხანის განკარგულება: „ქ. ბატონო ამილახორო მდივანბეგო იესე! მერე: ჩვენ ქალაქს წასვლას ვაპირებთ და ამ არზის პატრონს სამართალი თქვენ უსაჯეთ. ენკენისთვის იმ ქკს უო. ვახტანგი“³⁴.

verso-ზე გადასული ტექსტი არა მარტო არზისა, არამედ საერთოდ ყოველგვარი საბუთისა, იწერებოდა არა პირდაპირ ფურცლის მეორე მხარეს, არამედ ამ მხარეზე პირშექცევით.

(საბუთების ზოგ გამოცემაში ჯერ იბეჭდება ოქმი, რადგან ის უფრო წინ არის ფიზიკურად ქალაღზე, და შემდეგ არზის ტექსტი. ასეთი გამოცემა მკითხველს აბნევს და გაურკვეველ წარმოდგენას უქმნის ამ საბუთის შინაარსზე).

არზის შედგენა საკმაოდ რთული საქმე იყო და მისი წერა ყველას არ შეეძლო. ამიტომ მწერლებში ბევრი სავანგებოდ იყო დაოსტატებული არზის წერაში და თავისი ამ ხელობით საკმაო შემოსავალს შოულობდა.

როგორც ითქვა, არზას მეფის ოქმიც ახლავს თან. მაგრამ ნაწილი არზებისა ჩვენამდე მოღწეულია ოქმის გარეშე. არზები უოქმოა იმიტომ, რომ ისინი ან თავის დროზე არ ყოფილან ხელისუფლებისადმი წარდგენილი, ან განკარგულება მათზე მოუხდენიათ ზეპირად და, ბოლოს, შესაძლებელი იყო ოქმი ცალკე, სხვა ფურცელზე დაწერილყო³⁵.

არზების ერთი ნაწილი შესულია სხვადასხვა გამოცემაში. ხოლო ისეთი სასამართლო არზები, რომლებსაც ოქმიც ახლავთ თან, „დოლიძემ გამოაქვეყნა თავისი „ქართული სამართლის ძეგლების“ VII ტომში 1981 წელს. ამ გამოცემაში შეიტანა XVIII ს. 863 არზა და მათ სასამართლო არზა-ოქმები უწოდა. ასეთივე 791 არზა ოქმითურთ დაბეჭდილია ამ გამოცემის VIII ტომში³⁶.

³⁴ საქ. სიძვ., II, № 464.

³⁵ არზის გარეშე ცალკე ფურცელზე დაწერილი ოქმები მრავლად არის ჩვენამდე მოღწეული, ზოგიც დაბეჭდილია (მაგ., 1786 წლის ერთერთი ოქმი იხ. მასალები საქ. ეპ. ისტ., II, № 108).

³⁶ ქართული სამართლის ძეგლები, VIII, თბ., 1985. ამ ტომში არზებს გარდა შესულია კიდევ 34 საბუთი სამეგრელოს სამოავროდან (1840—1856 წწ.) და 125 კერძო-სამართლებრივი აქტი (№ 826—956), რომლებშიაც ნაგულისხმევია ნასყიდობის, გაცვლის, გაყრის, ერთობისა და სხვა წიგნები. მათი შეტანა არზების რიცხვში არ არის სწორი.

ეპისტოლური წყაროები

წერილობით წყაროებს შორის თავისებური ადგილი უჭირავს ეპისტოლურ მასალას. ეპისტოლე ანუ წერილი ერთ-ერთი უძველესი წერილობითი ძეგლია. ჩვენამდე მოაღწია მიწერ-მოწერის ნიმუშებმა ძველი ეგვიპტიდან და შუამდინარეთიდან. ბერძნულ-რომაულ სამყაროში მიმოწერამ მოიცვა ცხოვრების მრავალი მხარე. აქ ეპისტოლე საქმიანი ურთიერთობის გამოხატულებიდან ლიტერატურულ ჟანრადაც კი იქცა. უძველესი წერილის რამდენიმე ნიმუში შემონახულია ბიბლიაში.

ეპისტოლური მასალა წერილის დაწერის დროინდელი საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების, კულტურის, ყოფის, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების წარმომჩენი საუკეთესო წყაროა. როგორც წესი, წერილი დაწერილია მასში აღწერილ მოვლენათა კვალდაკვალ, ამიტომ მისგან მიღებული ინფორმაცია უფრო ბევრის მთქმელია, ვიდრე სხვა რიგის წერილობითი წყაროსი. წერილში თვალნათლივ ისახება ავტორის პიროვნება, მისი ინტერესები, შეხედულებები...

ეპისტოლური მასალა, როგორც წყარო, დოკუმენტურ წყაროებს მიემსგავსება. დოკუმენტი ანუ საბუთი ესაა საისტორიო წყარო, შედგენილი მასში მოთხრობილი ვითარების თანამედროვის მიერ ტრადიციულად ჩამოყალიბებული სქემით და ტრაფარეტული გამოთქმებით. ეპისტოლეც, ასევე, მასში აღწერილ მოვლენათა თანამედროვისაგან არის დაწერილი და ისიც გარკვეული ტრადიციული სქემითაა აგებული. დოკუმენტს შეისწავლის წყაროთმცოდნეობის ერთ-ერთი დარგი — დიპლომატიკა; ეპისტოლეს კი — ეპისტოლოლოგია.

დასავლეთ ევროპის მაგალითით წერილის დაწერა რთული ხელოვნება იყო; ამისათვის მხოლოდ წერა-კითხვის ცოდნა არ იყო საკმარისი. წერილს ჰქონდა თავისი სტილი, ფორმა, შინაარსი — ყველა ამისთვის კი აუცილებელი იყო სათანადო სქემის დაუფლება. სქემა წერილისა ერთნაირი იყო, მხოლოდ წერილში ნახსენები კონკრეტული ფაქტები და სახელები იცვლებოდა, მათი გადმოცემა კი ერთნაირი ტრაფარეტული გამოთქმებით ხდებოდა.

წერილის სქემა დასავლეთ ევროპაში და ჩვენთანაც ხუთი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: *salutatio* (მისალმება), *exordium* (შესავალი), *narratio* (თხრობა), *petitio* (თხოვნა), *conclusio* (დასკვნა). ამას 5. მ. ბერძნულში

მიჰყვებოდა ხელრთვა და თარიღი. რადგან თითოეული ამ ნაწილის გამართვას და ამ თანამიმდევრობის დაცვას გარკვეული ცოდნა სჭირდებოდა, ამიტომ არსებობდნენ წერილის დაწერის სპეციალისტები, რომელთაც წერილის გამგზავნი (ადრესანტი) წერილის შინაარსს ზეპირად გადასცემდა, გაფორმებით კი ისინი გააფორმებდნენ მიღებულ წესით. სწორედ ამიტომ ეპისტოლოგრაფიას — წერილის დაწერის ხელოვნებას — ლათინურად *ars dictandi* (გადაცემის, წარმოთქმის ხელოვნება) ეწოდებოდა.

შაბლონების არსებობა წერილში იმას მიგვანიშნებს, რომ წერილის დაწერის ხელოვნებას სპეციალურად ასწავლიდნენ. ამას ემსახურებოდა წერილთა ცალკეული სახეობების ნიმუშთა გავრცელება. წერილის შედგენის სახელმძღვანელო ჩვენამდე მრავლად არის მოღწეული აღმოსავლური, ევროპული, რუსული. ქართულ სინამდვილეში წერილების სახელმძღვანელო არ შემონახულა, სამაგიეროდ მოგვეპოვება სამდივნო წიგნები, რომლებშიაც თავმოყრილია სხვადასხვა დანიშნულების წერილთა ნიმუშები. ეს წიგნები არსებითად სახელმძღვანელოს როლს ასრულებდნენ. ერთ-ერთი ასეთი სამდივნო წიგნია ამბროსი ნეკრესელის (1728—1815) მიერ შედგენილი კრებული, რომელსაც თვითონ „ბარათების წიგნს“ უწოდებს (ეს წიგნი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდში 1334 ნომრით).

რადგან ჩვენამდე მოღწეული ქართული წერილების დიდი უმრავლესობა გარეგანი სახით ერთნაირად არის შედგენილი — ერთნაირია მათი შემადგენელი ნაწილების თანამიმდევრობა, გაფორმება; განსაკუთრებით ერთნაირია წოდებულება და მოკითხვები, უნდა ვიფიქროთ, რომ წერილის დაწერას ჩვენშიაც განსაკუთრებით ასწავლიდნენ.

წერილის სქემა ძველ საბერძნეთსა და რომში ერთნაირი ჰქონდათ. ხელრთვა იქ მიღებული არ იყო, წერილის ავტორის სახელი იწერებოდა ეპისტოლეს თავში, ადრესატის სახელის უწინარეს. მაგალითად, ძველ რომში წერილები ასე იწყებოდა: მარკოს ციცერონი — დომაციუსს; მარკოს ტულიუს ციცერონი სალამს უძღვნის ტიტე ტიცაუსს; პლინიუსისაგან — მავრიკის სალამი.

ბიზანტიაში კი წერილმა თანდათანობით დაკარგა კლასიკურა ხანის სისადავე, კერძო წერილები ამალგებული სტილით ოფიციალურ მიწერილობებს, ფილოსოფიურ ტრაქტატებს ემსგავსებოდნენ; წესად იქცა წერილის დასაწყისშივე აღნიშვნა იმისა, თუ სად და როდის დაიწერა იგი (ამას ეწოდება *datum*).

შუა საუკუნეებიდან იწყება წერილის გამართვა ისე, როგორც ეს დღესაც მიღებულია. ადრესატის სახელი და მისალმება იწერება წერილის თავში, ხოლო ავტორის ხელისმოწერა და თარიღი — წერილის

ბოლოს. ამ დროიდან ზემომოტანილი ხუთნაწილიანი სქემა წერილისა საყოველთაო ხდება.

ამ დროს ევროპაში ყველგან მიწერ-მოწერა ლათინურ ენაზე წარმოებდა და მხოლოდ XIV—XV სს-დან ჩნდება ნაციონალურ ენებზე შედგენილი ეპისტოლეები. მაგრამ მათაც მისამართი, მიმართვა, თარიღი მაინც ლათინური აქვთ. XV ს-დან თანდათანობით ქრება ლათინურად წერილის წერის წესი, თუმცა სქემა მისი კვლავ ძველებური რჩეაოდა.

XVII ს. ბოლოდან ევროპულ პირად წერილებში შეინიშნება ერთგვარი ცვლილება; წერილის დაწერის დრო და ადგილი ახლა იწერება წერილის თავში, სწორედ ისე, როგორც ეს ბიზანტიაში იყო. ეს ცვლილება XVIII ს-დან რუსეთშიაც შემოდის — აქ ადრესატზე წოდებით მაღლა მდგომი ავტორი თარიღს წერილის თავში სვამს, დაბლა მდგომი კი — წერილის ბოლოში. ჩვენში ამ ცვლილებამ XIX ს. შუა წლებში მოიკიდა ფეხი (რუსეთის გზით).

ჩვენში მიმოწერის არსებობას ქართული საისტორიო წყაროები ადასტურებენ ახალი წელთაღრიცხვის უკვე პირველსავე საუკუნეებში¹. იგივე წყაროები იძლევიან აგრეთვე წერილის სხვადასხვა სახეობათა სახელწოდებებსაც. ეს სახელწოდებებია: „წიგნი წუევისა“, „წიგნი ზავისა“, „წიგნი ქებისა და ნუგეშინის ცემისა“, „წიგნი ლოცვისა და კურთხევისა“, „წიგნი სიყუარულისა“, „ნაცვალი სიტყვა მეფისა“, „ბრძანება და წიგნები“.

ხშირია წიგნის — წერილის მნიშვნელობით — ხსენება „ვეფხისტყაოსანსა“ და „ვისრამიანში“. „ვეფხისტყაოსანსა“ ასახელებს წერილის სხვადასხვა სახეობებს — „მიჯნურობის უსტარს“ და „საწვეველ წიგნს“.

წერილი ჩვენში, როგორც ყველგან, თავისი დამახასიათებელი სტილისა და ფორმისა იყო, ხოლო შინაარსი მისი შაბლონური, ტრაფარეტულ ფრაზებით გადმოცემული. საზოგადოების ყოველ ფენას თავისი ლექსიკა და სტილი ჰქონდა: სასულიერო დიდკაცობის წერილთა სტილი ამალღებული და ხშირად ღვარჭნილია, ვაჭარ-მოქალაქეთა წერილები კი უფრო მარტივი და საქმიანი სტილითაა ნაწერი. წერილის დანიშნულებაც განსაზღვრავდა მის სტილისტურ ფორმასა და ლექსიკას. მაგალითად, მისალოცი და სამძიმრის წერილები იწერებოდა განსაკუთრებული ხელოვნებით.

¹ ქართული საისტორიო წყაროების ცნობები ჩვენში მიწერ-მოწერის არსებობის შესახებ უფრო ვრცლად მიმოხილულია ჩვენს წერილში: „XVIII—XIX სს. დამდეგის ქართული ეპისტოლური მასალის გამოცემის საკითხისათვის“ წიგნში: „ქართული წყაროთმცოდნეობა“, VII, თბ., 1987, გვ. 31—33.

თუმცა წერილი ტრაფარეტული სქემით იყო შეზღუდული, მაინც მასში შიგადაშიგ გაივლებს ხალხური გამოთქმები, საყოველღეო სასაუბრო სიტყვები. კერძო ანუ პირადი წერილი წერილობით წყაროებს შორის ერთერთი ისეთი წყაროა, რომელშიაც შემონახულია ცოცხალი სასაუბრო ენა, დამახასიათებელი მისი დროისა და გარემოსი².

წყაროთა კლასიფიკაციისას XIX ს. ევროპული ისტორიოგრაფია ეპისტოლურ მასალას დოკუმენტური წყაროების რიგში აყენებს. გერმანელი მეცნიერი თეოდორ ზიკელი თვლის, რომ დიპლომატიკის საგანს შეადგენენ აქტები, ჩანაწერები და მიმოწერა.

ჩვენში დიპლომატიკის ანუ სიგელთმცოდნეობის შექმნა ივ. ჯავახიშვილის სახელთან არის დაკავშირებული. მან ქართული დიპლომატიკა იმდროინდელი ევროპული მეცნიერების დონის შესაფერისად გამოართა და ისევე, როგორც დას. ევროპის ისტორიოგრაფიაში, დიპლომატიკის საგნად სახელმწიფო სამართლის, სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის საბუთების გვერდით „კერძო ხასიათის საბუთ-წერილებიც“ ჩააყენა³. აქედან ცხადი ხდება, რომ ივ. ჯავახიშვილსაც წერილები — ეპისტოლური მასალა — დოკუმენტური წერილობითი წყაროების კატეგორიაში შეჰყავს.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც კარგა ხნის მანძილზე გავრცელებული იყო შესაბამისი შეხედულება. მაგ., ნ. ტიხომიროვმა 1940 წ. შედგენილ წყაროთმცოდნეობის სახელმძღვანელოში წერილობითი ისტორიული წყაროები სამ ჯგუფად დაყო: 1. ლიტერატურული ხასიათის ძეგლები (აქ ის ათავსებდა მათიანებს, ქრონიკებს, ცხოვრებებს, მემუარებს და ა. შ.), 2. ეპიგრაფიკული ძეგლები, 3. აქტის ხასიათის ძეგლები — ამ ჯგუფში შეიტანა სიგელები, საკანონმდებლო ძეგლები, იურიდიული დოკუმენტები და წერილები⁴.

ბოლო წლებში გამოცემულ ლიტერატურაში კი შემუშავდა ახალი თვალსაზრისი: ხდება ეპისტოლური მასალის წერილობითი ისტორიული წყაროების ორ სხვადასხვა ჯგუფში განაწილება. სახელდობრ, საქმიანი მიმოწერა შეაქვთ დოკუმენტური წყაროების გვარის საკანცელარო მასალის სახეობაში, ხოლო კერძო წერილები თხრობითი წერილობითი წყაროების გვარის პირადი მასალის სახეობაში⁵.

² Панкратова Н. П. Из наблюдений над ошибками и описками переписки конца XVII — начала XVIII в. В книге «Лингвистическое источниковедение», М., 1963, с. 58.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 52—53.

⁴ Тихомиров Н. Источниковедение истории СССР с древнейших времен до конца XVIII в., т. I, М., 1940, с. 6—12.

⁵ Пушкарев Л. Н. დასახ. ნაშრომი, გვ. 175.

ამ თვალსაზრისის შემუშავებისას მხედველობაში იყო მიღებული ის გარემოება, რომ პირადი მიმოწერა თუმცა ემსგავსება პუბლიცისტიკასა და მემუარულ ლიტერატურას, მას მაინც გააჩნია რიგი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნებისა. და ეს მაშინ, როცა საქმიანი, სამსახურებრივი მიმოწერა მხოლოდდამხოლოდ საქმის წარმოებითი მასალის ერთერთ ფორმას წარმოადგენს⁶. ქართული მასალით სამსახურებრივ ანუ საქმიან მიმოწერასაც თავისი დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები აქვს⁷.

თანამედროვე ევროპული ისტორიოგრაფია ეპისტოლური მასალის ადგილის გარკვევისას წერილობითი ისტორიული წყაროების ბაზაში სრულიად ახალ თვალსაზრისს ადგას. მხედველობაში გვაქვს ფრანგი მეცნიერის რობერ დელორის 1969 წ. გამოცემული შრომა „ისტორიის დამხმარე მეცნიერებების შესავალი“ (ფრანგულ ენაზე). ამ შრომაში წერილობითი წყაროები ორ დიდ ნაწილებად დაყოფილი — ნარატიული და დოკუმენტური წყაროები. მიმოწერა მას ნარატიული წყაროების ერთ-ერთი ქვეჯგუფში შეაქვს. როგორც ვხედავთ, დელორი უარს ამბობს ევროპულ ტრადიციულ თვალსაზრისზე, რომ წერილი დოკუმენტის დარი ისტორიული წყაროა, ამავე დროს ეპისტოლურ მასალაში არ გამოყოფს საქმიან მიმოწერას და მას კერძო წერილებთან ერთად ნარატიული წყაროების კატეგორიაში ათავსებს⁸.

კერძო, პირადი მიმოწერა კი საქმიანი მიმოწერისაგან უეჭველად უნდა გამოიყოს, რადგან ეპისტოლური წყაროების ეს ორი ნაწილი ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდება.

⁶ Белявский М. Т. Мемуары, дневники и переписка. В книге «Источниковедение истории СССР». М., 1973, с. 281.

⁷ თანამედროვე საბჭოთა ისტორიოგრაფია გვთავაზობს წერილების კლასიფიკაციის სხვადასხვა საფუძვლებს. მაგ., ტ. კუჩკინას აზრით, წერილები უნდა დაიყოს ოთხ ჯგუფად: 1. ავტორისა და ადრესატის სოციალური მდგომარეობის მიხედვით. 2. ავტორისა და ადრესატის ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით. 3. წერილის ფუნქციური დანიშნულების მიხედვით. 4. იმის მიხედვით, თუ რამდენად შეეფერება წერილი მისი დროის ეპისტოლურ ეტიკეტს (Кучкина Т. Г. К вопросу об изучении эволюции эпистолярных источников II половины XIX — начала XX в.).

არსებობს აზრი, ეპისტოლური წყაროები გაიყოს ორ დიდ ჯგუფად: ერთში უნდა შევიდეს წერილები, რომელთა ცენტრში ინტიმური, ყოფითი, ოჯახური საკითხები დგას, მეორე ჯგუფში კი ისეთები, რომელთა ცენტრში საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების საკითხები დგანან (Белявский М. Т. Мемуары..., с. 281—282).

⁸ ციტირებულია ა. ლუბლიანსკაიას წერილიდან „Современная система специальных исторических дисциплин и источниковедение в зарубежной медиэвистике“. В книге „Проблемы источниковедения истории СССР и спец. исторических дисциплин“, М., 1984, сс. 146—153.

კერძო წერილი ესაა ერთი პირის წერილობითი მიმართვა მეორესადმი, შედგენილი ტიპიური ეპისტოლური ელემენტებით — მიმართვით, ადრესატის დასახელებით, ხელმოწერით, დაწერის დროისა და ადგილის ჩვენებით, მოკითხვებითა და მადლობებით. ყველა ეს კერძო წერილის აუცილებელი ელემენტია. შინაარსის გამართვაში კი ავტორი თავისუფალია ტრადიციული სქემისა და ტრაფარეტული გამოთქმებისაგან. რადგან წერილის ეს ძირითადი ნაწილი — თხრობა შინაარსისა — ახლოსა დგას პუბლიცისტიკასა და მემუარულ ლიტერატურასთან, შესაძლებელი ხდება კერძო წერილები მთლიანად ვიგულისხმობთ დოკუმენტურიდან ნარატიულ წყაროში გარდამავალ რგოლად, რომელიც ფორმითა და დანიშნულებით დოკუმენტს წარმოადგენს, შინაარსით კი — ნარატიულ წყაროს.

XVIII ს. ქართული ეპისტოლური მასალა ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: I. მეფისა და საქმიანი წერილები. II. კერძო წერილები. მეფისა და საქმიანი წერილების ჯგუფში ჩვენ ვათავსებთ მეფის ხელიდან გამოსულ ოფიციალურ და სახელმწიფო მიწერ-მოწერას, ხოლო საქმიან წერილებში ვგულისხმობთ მეფის, სამეფო ოჯახის წევრთა და უმაღლეს მოხელეთა ისეთ წერილებს — უფრო სწორედ მიწერილობებს — გაგზავნილ ცალკეული პირისადმი, რომელთაც აქვთ საქმიანი, სამსახურებრივი დანიშნულება. წერილების მეორე ჯგუფში — კერძო წერილებში — ჩვენ ვათავსებთ როგორც კერძო პირთა, ასევე მეფისა და სამეფო ოჯახის წევრთა ისეთ წერილებს, რომელთაც კერძო, ოჯახური დანიშნულება აქვთ.

ორივე ამ ჯგუფის წერილები იწერებოდა გარკვეული შაბლონით. მათ ერთნაირი აქვთ როგორც გარეგნული გაფორმება, ისე შემადგენელი ნაწილების თანმიმდევრობა. ეს გარემოება იმას უნდა მიუთითებდეს, რომ არსებულა წერილების შედგენის გარკვეული ტრადიცია.

საქმიანი წერილები (უკეთ მიწერილობანი), მეფისა იქნებოდა ის, თუ სხვა პირისა, შემდგენილი შაბლონით დგებოდა: I ნაწილი — მიმართვა, II — წერილის არსის გადმოცემა, III — თარიღი. IV — ხელრთვა (როგორც წესი, მეფე ხელრთვის მაგიერ თავის მცირე ბეჭედს სვამდა, სხვა ადრესანტები კი ან ბეჭედს ასვამდნენ, ან ხელს აწერდნენ). ხშირად II და IV ნაწილებს შორის ჩასმული იყო კიდევ ერთი ფრაზა, რომელშიაც მოკლედ გამეორებული იყო მიწერილობის არსი. მეფე და ბატონიშვილები ხშირად საქმიან წერილებს აწერინებდნენ მდივნებს, სხვები კი საკუთარი ხელით ადგენდნენ მათ.

ამ წერილებში ერთნაირად განლაგებული თითოეული შემადგენელი ნაწილის აღნაგობაც ერთნაირი იყო.

კერძო პირთადმი გაგზავნილ მეფის საქმიან წერილებში მიმართვა შემდგენიარად იყო შედგენილი: აქ. ჩუჭნ მაგიერად ბრწყინვალეს

თავადს, ჩუჴნს სიძეს, ბატონს ქალაქის მოურავს დავითს მრავალი მოკითხვა მოეხსენოს. მერე: საქვეყნო საქმეები გვაქვს და...“ (სიძე., III, 13). ან: „ქ. ჩვენ მაგივრად ჩვენსა იმედათ მისაჩენელს მისკარბაჴს იოსებს მოკითხვა უამბეთ. მერე:“ (საქ. სიძე., III, 29). ამ წერილების მიმართვას მეფე მესამე პირის საშუალებით ახორციელებს: „ჩვენ მაგივრად მოკითხვა მოეხსენოს“, „ეუწყოს“, „უამბეთ“... ამ ფრაზას მოჴყვება სიტყვა „მერმე“, რომლის შემდეგაც მიწერილობის შინაარსი გადმოიცემა. თვით მიწერილობაში კი მეფე ადრესატს მიმართავს უკვე უშუალოდ.

როდესაც მიწერილობაში ადრესატი სამეფო ოჯახის წევრია, მეფე მას მიმართავს უშუალოდ, მესამე პირის უმეშვეოდ: „ქ. ჩვენო ღვთის წყალობავ, საიმედო შვილო, ბატონო იულონ! მრავალი მოკითხვა მოგეხსენოს. მერე: ...თქვენ საკლავის თადარიგი (უნდა) გვინახოთ“ (სიძე., III, № 56, ასეთივე № 57, 53, 15 და სხვა).

უშუალო მიმართვაა დაფიქსირებული აგრეთვე ბატონიშვილთა საქმიან წერილებში (მოხელეებისადმი): „ბატონიშვილის ვახტანგის პატივისცემით და სიყვარულით სახსოვარო, მილახვარო იოსებ! მრავალი მოკითხვა გეუწყოს“ (სიძე., III, 329).

დაცულია მიმართვის ერთნაირი ფორმა ფეოდალთა კლასის წარმომადგენელთა ყველა საქმიან წერილში. მათში სხვადასხვა ლექსიკური გამოთქმებით მოცემულია სტილისტურად ერთნაირი ტიპი მიმართვისა. მიმართვაში პირველ ადგილას ადრესატის სახელია, მეორეზე — წერილის ავტორისა: „ქ. ძმას ბატონს მიშკარბაჴს მუხრანის ბატონი სალთხუცესი იოვანე მრავალს მოკითხვას მოგახსენებ. მერე: „(სიძე., III, № 40). ბატონიშვილთა მიწერილობებში კი ადრესატი II ადგილზეა, I-ზე კი წერილის ავტორი: „ქ. ბატონიშვილის (იულონის) კეთილად სახსენებლო მიშკარბაჴო იოსებ! მერმე:“ (სიძე., II, № 48).

კერძო წერილთა ფორმა უფრო მრავალფეროვანია და ძირითადად შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: 1. მიმართვა ადრესატისადმი. 2. წერილის ავტორის დასახელება. 3. შინაარსი წერილისა. 4. ხელრთვა. 5. თარიღი და წერილის დაწერის ადგილი. 6. ხელრთვისა და თარიღის შემდეგ ახალი სტრიქონიდან იწერებოდა მოკითხვები ადრესატის ოჯახის ცალკეული წევრებისა და მიღებულ მოკითხვაზე მადლობები. ხშირად ეს მოკითხვები და მადლობები წერილის არეზე იწერებოდა.

ერთნაირი იყო ყოველი ჯგუფის წერილები გარეგნულადაც. მეფისა და ბატონიშვილების წერილები — ბრძანებები იწერებოდა გრაგნილზე. კერძო წერილები კი იწერებოდა ქაღალდის ფურცლებზე.

კონვერტი დალუქული იყო, ზემოდან ეწერებოდა ადრესატის სახელი და ადგილი, სადაც უნდა ჩაბარებოდა წერილი ადრესატს: „მის

ბრწყინვალეობას, უფალს მანუხარ მღივანს თუმანოვს, ჩემს მოწყალეს ველმწიფეს ტფილისს“⁹.

წერილს ადრესატი ინახავდა იმგვარად, როგორადაც მიიღებდა — გრაგნილად ან კონვერტად. კონვერტის ქვედა მხარეს, ან გრაგნილის ქვედა კუთხეში ადრესატი მიაწერდა, თუ როდის მიიღო მან ეს წერილი და რაზე არის მასში ძირითადად ლაპარაკი.

XVIII ს. თბილისელ ვაჭართა წერილები შემდეგი ძირითადი ნაწილებისაგან შედგება:

1. მიმართვა.
2. აღნიშვნა იმისა, თუ რა რიცხვში დაწერილი წერილის პასუხად არის შედგენილი წინამდებარე უსტარი.
3. პასუხები მიღებულ წერილში ჩამოთვლილ კითხვებზე.
4. ძირითადი შინაარსი წერილისა. ჩატარებული სავაჭრო ოპერაციების მიმოხილვა.
5. ახალი ამბების მოთხრობა.
6. თარიღი და ადგილი წერილის დაწერისა.
7. წერილის დაწერის ხელმოწერა. როგორც წესი, ხელმოწერას წინ უძღვის ადრესატის ეპიტეტები ზრდილობის ნორმებისა და უფროს-უმცროსობის გათვალისწინებით. მაგ., სტეფანე ტერშმოვანოვი მანუხარ თუმანოვს — „მათი მდაბალი მონა“, ან — „მათი უბედური და ყოვლად შეწუხებული მონა სტეფანე ტერ შამავანოვი“.
8. ადრესატის ოჯახის წევრების მოკითხვა.
9. მოკითხვის გადაცემა წერილის ავტორის ოჯახის წევრთაგან ადრესატის ოჯახის წევრებისადმი.

გარეგნულადაც ვაჭართა წერილები მსგავსებას ინარჩუნებენ. ეს წერილები დაწერილია ან ორად მოკეცილ ქაღალდის ფურცელზე, რომლის I, II, III გვერდებზეა ტექსტი ნაწერი, IV გვერდიდან ფურცელი გადაკეცილია ვიწრო კონვერტად, რომელიც ლუქის ბეჭდით არის დაწებებული და ზემო მხარეს მისამართი და ადრესატის ვინაობა აწერია. IV გვერდის ის ნაწილები, რომლებიც კონვერტს შიგნით მოჰყვება, გამოყენებულია ტექსტისათვის; ზოგჯერ გამოყენებულია ქაღალდის ვიწრო და გრძელი ფურცელი, რომელიც ირიბად არის გაკეცილი კონვერტად. კონვერტი ამ შემთხვევაშიც დაბეჭდილია ლუქით და ზედა მხარეს მისამართი და ადრესატი აწერია. ამ ფურცლის verso-ს ის ნაწილი, რომელიც კონვერტის ზედაპირად არა ხვდება, აგრეთვე გამოყენებულია ტექსტის საწერად.

⁹ მამისა ბერძინოვილი, მასალები XVIII ს. ბოლო წლების საქართველოს ისტორიიდან (ეპისტოლური მასალა), წიგნში: ქართული წყაროთმცოდნეობა, I, თბ., 1965, გვ. 194.

ეპისტოლური მასალა XVIII საუკუნის ვაჭართა წრიდან,
როგორც საისტორიო წყარო

ეპისტოლური მასალა XVIII ს. ვაჭართა წრიდან თავისი შინაარსით დიდძალ ცნობებს შეიცავს ქვეყნის ისტორიის მრავალი მხარის შესასწავლად. განსაკუთრებით მდიდარია ეს წერილები ვაჭრობის შესახებ ცნობებით. ამათი წყალობით ვიგებთ, რითი ვაჭრობენ XVIII ს. თბილისში, საიდან რა შემოაქვთ, რა ფასობს, რა მოთხოვნილებაა სხვადასხვა ქვეყნის ნაწარმზე, რა საშუალებებს მიმართავს სახელმწიფო ვაჭრობის გაფართოებისათვის, როგორ უწყობს ის ხელს ვაჭრობას, ვთქვათ, ქალაქის პურით მომარაგების საქმეში, რა ფინანსურ თუ სავაჭრო ოპერაციებს ატარებენ შეძლებული ვაჭარ-სოცდაგრები. ყველა ეს ის საკითხია, რომელთაც ეძღვნებათ წერილების ავტორთა მოღვაწეობა. ამიტომ ამგვარი ცნობების ამოკითხვა ამ მასალაში მოულოდნელი არ არის. მაგრამ, რამდენადაც ვაჭართა ინტერესები ქვეყნის საგარეო პოლიტიკასთან უშუალოდაა გადაჯაჭვული, ამიტომ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა ამ წერილებში თავისებურად ასახულია. ხოლო ეს პოლიტიკა შეფასებულია იმის მიხედვით, თუ რამდენად ემსახურება ის ვაჭრის ეკონომიკურ ინტერესებს.

ამასთან დაკავშირებით ეპისტოლური მასალა იძლევა საინტერესო ცნობებს XVIII ს. ბოლო წლებში თბილისში არსებული საზოგადოებრივი დასების შესახებ. რამდენადაც ვაჭრობის განვითარებისათვის მშვიდობიანობა და ძლიერი ხელისუფლება აუცილებელი პირობაა, ვაჭართა წრის დიდი ნაწილი რუსეთის მფარველობის მომხრეა. წერილების ავტორები ცხადად ამყლავენებენ თავიანთ სიმპათიებს რუსეთის მიმართ და კრიტიკულად უყურებენ ხელისუფლების იმ მოქმედებებს, რაც, მათი თვალსაზრისით, რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას ხელს არ უწყობს.

უამრავი ცნობის ამოკითხვა შეიძლება ეპისტოლურ მასალაში ქვეყნის ყოფისა და კულტურის დონის შესახებ. ამ წერილთა წყალობით ვიგებთ, რა აცვიათ, რას სჭამენ, რას იძენენ, რა აინტერესებთ XVIII ს. თბილისელებს. ამავე დროს ვიგებთ, რა ინტენსიურობით მყარდება კავშირი — საფოსტო, სამეზავრო, სავაჭრო — თბილისსა და სხვა ქალაქებს შორის (მაგ., ასტრახანიდან თბილისში წერილის მოსვლას უნდება 12 დღე, 20 დღე, ზოგჯერ 1 თვე).

ამჯერად შევჩერდები თბილისელი ვაჭრების ტერ-შმოვანოვების წერილებზე.

XVIII საუკუნის შუაწლებში თბილისში მოღვაწეობდა ტერ შმოვანა, შეძლებული ტერტერა. ამ ტერტერას ორი ვაჟი ჰყავდა: ოპანა (ოვანა) და სტეფანა. ორივემ ვაჭრობას მიჰყო ხელი. ოვანა უფრო

დიდი სოვდის პატრონია და უფრო ფართო სავაჭრო და ფინანსურ ოპერაციებს ატარებს. იგი ხშირადაა რუსეთის და ირანის ქალაქებში, ხოის, რუშტეს, ისპაჰანს და ცხოველ ადებ-მიცემობას აწარმოებს. მისი უმცროსი ძმა სტეფანა ნაკლები შეძლების კაცია, მაგრამ თბილისში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ვაჭართა წრეში. სტეფანას ორი შვილი ჰყავს — ვაჟი სოლომონა, რომელიც მამის საქმეებს აგრძელებს, და ქალი ელისაბედ, რომელიც 1790-იან წლებში ცოლად შეირთო დაქვრივებულმა მანუჩარ თუმანიშვილმა.

უფროსი ძმის — ოვანას ოჯახი მეტად წინაურდება. მას სამი ვაჟი დარჩა: ალა, ტერ-გრეჭურა და აბელი. ალა მამის საქმეებს აგრძელებს წარმატებით და ვაჭართა წრეში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. ამისი ქალი ხანუმი 1800 წლის 9 იანვარს დავით ბატონიშვილმა შეირთო ცოლად (დიდი მზითევის მიღების იმედით). ხანუმი მართლმადიდებლად გადანათლეს და ელისაბედი უწოდეს, ხოლო მის მამას ამ აქტთან დაკავშირებით თავადობა ებოძა. ამიერიდან ტერ-შმოვანანთ ოვანას შვილი ალა აბი-მელიქოვის გვარით იწოდება.

მთელი ეს საგვარეულო, მიუხედავად მათი სომხობისა და მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მათი წარმომადგენელი სომეხი სამღვდელოების წევრი იყო, ქართულ კულტურასთან იყო ნაზიარები, მათი ერთადერთი ენა — საქმიანი თუ სალაპარაკო — ქართულია. მიწერ-მოწერას ქართულ ენაზე აწარმოებენ (თუმცა თავისებური — ქალაქური სომხურ-ქართულით), ანგარიშსაც ქართული ასოებით წერენ — ფულის ერთეულებს და რიცხვებს ქართული ასოებით გამოსახავენ (თუმცა უნდა ითქვას, რომ მამა სტეფანე ტერ-შმოვანოვი უფრო უკეთესი ქართულით წერს, ვიდრე მისი შვილი სოლომონი).

სტეფანე ტერ-შმოვანოვს 1797 წელს თავისი ფინანსური საქმიანობისათვის ასტრახანში მოუხდა გადასახლება. იგი ასტრახანიდან ადევნებს თვალყურს რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობას, კრებს ცნობებს რუსეთის პოლიტიკის შესახებ და მათ სასწრაფოდ ატყობინებს საქართველოში, რათა იქ სათანადოდ გამოიყენონ მისი ინფორმაცია. სტეფანა ასტრახანში გარდაიცვალა 1799 წელს. ამის შემდეგ მისი საქმეების გასაგრძელებლად იქ ჩადის მისი ვაჟი სოლომონი, რომელიც მამასავით ფართო ინფორმაციას აგზავნის თბილისში.

რას გტყობილობთ ამ წერილებით? .

1796 წლის 24 სექტემბერს სტეფანე ტერ-შმოვანოვი სწერს გორს მანუჩარ თუმანიშვილს: „ბაიაზეთიღამე რა ანბავია, გინდათ მოგახსენებენ, რო ჭირი არის. ჩვენი კაცნი ვინცა ვინ ყოფილან, ზოგნი მომკვდარან, ზოგნიც იქიღამ გამოსულან.

ერევანს ჩვენი კაცნი კიდევე ვერ მიდიან. ის ძალლი თავაქალი-ხან კიდევე ციხეში ზის. ჩვენს კაცს თუ სადმე დაახელებს, იჭერს და ის

დალოცვილები ხო მიიმედ ირჯებიან. მანამ ზაფხული იყო, ანბობდენ სიცხე არის, ახლა ხომ ზამთარიც მოვიდა. ვარსევანა მოგახსენებდა, თუ ახლა იქიდამე ამდაგვარი იქნებაო, ისიც ღმერთმან იცის. აბა ხოი-დამე, თუ თავრეზიდამე იწერებიან, თუ რუსი მოსულა, გილანი აუღიათ და იქითკენ გასვლას აპირებენო. და აღამაჰმადხანისათვისაც იწერები-ან, თუ წასულა, მაშათი აუღია, დიდი ხაზინა ჩაუგდიაო და მოდისო. ხოის ჩირაღდანიც უქნიათ. ღმერთმან იცის“ (მას. ეკ. ისტ., II, 295).

1797 წ. 17 მარტს ეს სტეფანე ღუშეთიდან სწერს მანუჩარ თუმა-ნიშვილს: „ქალაქში ბატონი, ბატონისშვილები, ვართაპეტა ყორულში და დიდი მასლაჰათში იყვნენ. არ ვიცი, რა ბანა დადვეს. ღთან ასეთი გონება მისცესთ, რომ ერთი მართებული ბანა და გზა იპოვონ, რო მეო-რეთ ქალაქი არ აირივოს. თუ კიდევ ქალაქი აიყარა, რაც ახალი აშენე-ბული სახლი თუ ღუქანის არის, ისინიც მიორეთ დაიქცევა და რაც დარჩომილა, მთლად გაფუჭდება“. აქ მოხსენებული „მასლაჰათი“ — სხვა წყაროებით სრულიად უცნობი, დადასტურებულია კიდევ ერთ ეპისტოლურ ძეგლში — სულხან თუმანიშვილის წერილში 1797 წ. 24 მარტის თარიღით. იქ ვკითხულობთ: „აქ ბატონთან რჩევა არის, ვნა-ხოთ რა გამოირჩევა. იმასაც გაცნობებ. მე ჩემს ჭკუით კარგს ვერას ვხედავ და ღთი როგორც მოახდენს, მისი ნება იყოს“.

„(აღმასხან ბატონიშვილი...) ბატონმა დაიბარა... იულონიც დაბარე-ბულია... გიორგი ბატონიშვილიც აქ ბძანდება და ვინც ქართლსა და კახეთში სახლში უფროსი თავადიშვილი და აზნაურიშვილი არის, ისი-ნიც დაბარებული არიან საქვეყნო რჩევისათვის“¹⁰

ამ „საქვეყნო რჩევის“ მიზეზად კი სულხან თუმანიშვილი შემდეგ გარემოებას ასახელებს: „სპარსეთიდან რუსის ჯარი დაბრუნდა და აქ მყოფის ჯარის წასვლასაც ამბობენ“¹¹.

1797 წ. 9 აპრილს იგივე სტეფანე იწერება მოზდოკიდან: „გარსე-ვანის დაბარება და წასვლა გამართლდა. კაის პატივით წაუყვანიათ. ო (70) თუმანი გზის ხარჯი მიუციათ. ბ (2) კარეთა, რამდონი ყაზახი, მარტის ლა (31) წასულა“.

1797 წ. 9 აპრილს სტ. ტერ-შმოგანოვი სწერს თბილისში ასტრახა-ნიდან მანუჩარ თუმანიშვილს: „ყოვლად დიდებული და მოწყალე ხელ-მწიფე მობძანებულა მოსკოვს“ (პავლე I). „მოგახსენებენ, აშტრახანს უნდა მობძანდესო, ყველას ადგილას დიდი მოწყალეა უქნია. ნახე-ვანელებს კიდევ ოცის წლით თარხნობა უბოძებია, ისე აშტრახანელებს, რაც უდები, ან მეტი საქმეები ყოფილა, სულ აუღია. ამას წინათ სომ-ხებს რო ძალათ ველდი დაუწერინებიათ, ის აუღია... სხვა მრავალრი-

¹⁰ ქ. წყ., I, გვ. 152.

¹¹ იქვე, გვ. 153.

გათ წყალობა უქნია აზიაცის კაცისათვის, როგორც ნეტართსენებელი დიდი პეტრეს უქაზი ყოფილა, ისე უნდა იქნასო.

თუ ჩვენი ბატონისა ან ქვეყნის ნაღველისა მოხსენდა ყოვლად მოწყალე ხელმწიფეს, არ იქნება, რომ ჩვენც წყალობა არ გვიყოს. გუდოვიჩს ხო უბძანებია მანდ პოლკოვნიკისათვის, რომ ჯავათ-ხანი დაიქირაოს, მოაყვანინოს, ბატონის ხელთ მისცეს. თქვენ ნუ მომიკვდებით, რომ ეს ყველაზე დიდი საქმეა. ჩვენ იმის მეტი მტერი არა გვყავს“.

სტ. ტერ-შმოვანოვის პოლიტიკური ზრახვები რუსეთთან კავშირშია. ეს უფრო აშკარად ჩანს 1797 წ. 5 მაისის წერილიდან: „ღთს იმას ასეთი გული მისცეს, რომ თავისი სახელი და ფარვა არ მოაშოროს ჩვენი საცოდავი ქვეყანა და მაგოდენა საქრისტიანოს“. „რუსის ჯარის მანდ დგომა შავიტყვეთ. დიდი ღთის წყალობა იქნა. აქ ხო ყველას პირიდამე სულ ეს გამოდის, თუ ყოვლად მოწყალე ხელმწიფემ საქართველოდამე ხელს არ აიღებს. კიდევ სხვა ჯარიც უნდა მოვიდესო. უფალმა განაძლიეროს ამისი ხელმწიფობა და მისი მოწყალება არ დაგვაკლოს. მართლა გვიბატრონოს და იმდონი საქრისტიანო მოარჩინოს ურჯულოსაგან“¹².

„ალა-მაჰმად ხანის ჩაძალღება და რა რიგათ გაფუჭება გებძანათ. აბა ის ხო დიდი ღთის წყალობა იყო... მაგრამ მრავალი სხვადასხვა ჭირი და ნაღველი გვესმის კიდევ და ბევრი რიგი მტერი ადგომილან და აპირობენ ქალაქზე მოსვლას, რათგან ქალაქის სახელიც გატყდა და პატრონიცა, მეტადრე რუსის ჯარის ქალაქიდამე გამოსვლა გვესმის. ეს უმეტესად დიდი გასაფიქრებელია. რომ ღთს შეიბრალოს საცოდავი ჩვენი ქვეყანა, დამწვარი და დაქცეული ქალაქი და მაგოდენა ქრისტიანი. და ყდ დიდებულები და მოწყალე კელმწიფეს გული ღთს გაამტკბილოს ჩვენს ქვეყანაზე, რომ თავისი მოწყალება და ფარვა არ მოაშოროს“¹³.

აი, როგორი ინფორმაცია არსებულა ასტრახანში მყოფ თბილისელებში დავით ბატონიშვილისა და პავლე I-ის ურთიერთობის შესახებ: „დავით ბატონიშვილი ყოვლად მოწყალეს ხელმწიფეს დიდი კაის თვალთ უნახამს. დიდხანს ულაპარაკნია. იმ დღეს თავის სტოლზე სადილათაც შეუწახამს და დიად მეტად წყალობსო. სხვა იმედიც გვესმის. ღთ კაი ნიშანი ჩანს ყდ დიდებულის კელმწიფის მოწყალება და ფარვა, იმედი გვაქვს, დაგვემართოს. მეღიქებისთვისაც დაუბარებია კაის წყალობითა. ამ თარიღში ამათაც მოდიან გუდოვიჩთან რომ იმან იქილამე უნდა გაისტუმროს.

¹² ქ. წყ., I, გვ. 161.
¹³ იქვე, გვ. 166.

ისე რომ ქალაქიდან იწერებოდა, იმედი გვაქვს რომ ომარ ხანიც ამ თარიღამდინ გაფუჭებულიყოს ან გაბრუნებული. მუდამ მოველით იმის ანბავსა, რომ გველირსოს ერთი სიხარულის ხმასა“¹⁴.

სოლომონ ტერ-შმოვანოვს ასე ეხატება საქართველო-რუსეთის ურთიერთობა. 1800 წლის 20 VIII-ს იგი ასტრახანიდან იწერება: „აქედან ჯარის მოშველიებას რომ ამბობენ, თუ მალე მოგვეშველათ, ხომ კოვზით ზიარება იქნება. მაგრამ დიად საჭიროა საქართველოს მერე ამისთანა დაჭირვებაში, რომ კვირაში ერთი წიგნი მეფემ გარსევანს უნდა მისწეროს და მანდაური ანბავი და დაჭირვებები აცნობოს; ამისგან კეთილი ის გამოვა, რომ იმ მეფის წიგნის ძალით გარსევან შეძლებს კეისარს მალ-მალ მოხსენება და პასუხის მიღება, მაგრამ მანდიდან გარსევანს გვიან იწერებოდა ანბავი და რუსები ყოველ ფომტაში თითო რიგი ანბავი სწერენ. რა გარსევანს ჰკითხავენ, თუ ასე ანბავი გაუვლიაო საქართველოში, პასუხი ვერას გასცემს და ვედარც საჭირო საქმის მოხსენება შეიძლებს. ჰალბათ მათი უმადლესობა ესენი კარგათ დანახული ექნება. მაგრამ მე ეს კარგს ადგილიდამ შეტყობილი მაქვს და მოგახსენე“.

„სხვანი იწერებოდა, რომ ჩვენი მოწყალე მეფე მითამ ავით იყოს. ამ დროს ჩვენ საწყალობელ ქალაქს რაღა ეგ ეჭირება? ღთან სიკეთე და ბედნიერობა მისცეს. მაგისი შვილობით ბრძანება... მაცოდინეთ“¹⁵.

თუ როგორ იყენებენ საგარეო პოლიტიკას. საკუთარი ვაჭრული ინტერესებისათვის, ეს კარგად ჩანს სოლ. ტერ-შმოვანოვის 1801 წ. 18 მარტის წერილიდან: „ამითი დიდებულების ფრანგსზთან მტკიცე შერიგება და ინგლისთან ომი ხომ მოხსენებული გექნებათ. ახლა ითქვა, რომ ოსმალუსთანაც აშლილანო და ასეც იქნება. ახლა ამაების მიხედვით მანდეთ ძალიანი ჯარები გადმოვლენ და პური აიწევს. ცოტათო პურის თადარიქი ნახოთ საჩვენოთ“.

საქართველოს რუსეთთან შეერთებას კი სოლომონ ტერ-შმოვანოვი ყოველგვარი ემოციებისა და საკუთარი შეხედულებების გარეშე ასე აღწერს: „გაზეთები გამოვიდა, რომ საქართველო შეიქმნა რუსეთი და კავალენცკი მანდაური გუბერნათი და კნორინი ვოენი გუბერნათი“¹⁶ (1801. 28. X).

სოლ. ტერ-შმოვანოვი თავის კვალობაზე განათლებული კაცია, მაინც წერილებს წერს, ჩვენი თვალსაზრისით, სტილისტურად გაუმართავი ქართულით, სიტყვების შეთანხმება არავითარ წესს არ ემორჩილება, თუმცა მაინც გამოსჭვივის მისი პრეტენზია მახვილგონივრულობასა და

¹⁴ ქ. წყ., I, გვ. 169.

¹⁵ იქვე, I, გვ. 194.

¹⁶ იქვე, გვ. 201.

ენაწყლიანობაზე. მის წერილებში უხვადაა გამოყენებული თურქული, სპარსული გამოთქმები... „ოსებ ვარდაპეტა ჯერ არ მოხდანებულა... ის ახლა პეტრებრუსს დიდს ცდაშია. სტანბოლისაკენ წიგნები დააწერი-
ნებს და როგორც საქმის შესავალი ჩანს, თახხათ და უთუოდ ამან დაიმკვიდრებს ჰოქევერტერობა. ალაჰ ვერსა და აფარურ ვერმასა და აფარურ ბედნიერობა იმუშაა, რომ რუსნი ოსმალუსთან შერიგებულნი არიან“¹⁷. აქ ჩართული თურქული გამოთქმა ასე ითარგმნება: „ალაჰმა რომც მოგცეს, წაიღებს, არ მოგცეს, (მაინც) წაიღებს. ბედნიერება ყოფილა“.

„ყარა ემაჰ ყაფი და ბაღლუ დურ“ — შავი სახედრის კარიც დახ-
შულია (იქვე).

თურქულთან ერთად სოლომონ ტერ-შმოვანოვი რუსულ სიტყვებ-
საც ხმარობს, მეტწილად დამახინჯებულად, მიუხედავად ასტრახანში
რამდენიმე წლის განმავლობაში ფეხმოუცვლელად ყოფნისა: დამოყნა,
იარანალი, ფრქაშიკი (რუს. პრიკაზნიკ-ის დამახინჯებით მიღებული სი-
ტყვა), ბაშპორთი, პანაევ (სიტყვიდან — პანაგეა), ვინავათი, რეკამენ-
დავათი, გუბერნათი (გუბერნატორი).

მაგრამ ამავე დროს სოლ. ტერ-შმოვანოვი ქართულ მწერლობასაც
იცნობს. მან ზეპირად იცის „ვეფხისტყაოსანი“, ყოველშემთხვევაში
მისი ხალხში გავრცელებული ადგილები, და იგი ამ ადგილებს მოხერ-
ხებულად ხმარობს: „ჩემის საქმის დაგვიანებისთვის იწერები და გი-
კვირს, მართლა რომ საკვირველია. მაგრამ „ბედი უბედო ჩემზედა მი-
წყევ ავისა ქმნელია“¹⁸. „ვეფხისტყაოსნიდან“ ციტატა კიდევ სხვა წე-
რილშიაც აქვს მოყვანილი: „მემკვიდრის მეფის ძის სასახლის კეთება
საკვებურად მიგაჩნია... განა მაგის მეტი ოხერი სახელო აღარ იყო.
ეგლა დაგრჩეს სანაცვლოდ „მის იმედისა დიდისა“¹⁹.

ასეთად წარმოგვიდგება თბილისელი მოქალაქე თავისი წერილებით.

¹⁷ ქ. წყ., გვ. 188.

¹⁸ ქ. წყ., I, გვ. 188.

¹⁹ ქ. წყ., I, გვ. 200.

ხელნაწერთა მინაწერები წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისით

წერილობითი წყაროების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ხელნაწერთა მინაწერები. მრავალფეროვანია მათი დანიშნულება და ხასიათი, მინაწერად წოდებული წერილობითი წყარო ერთდროულად შეიძლება იყოს როგორც სამოქალაქო, ისე საეკლესიო. მინაწერთა უდიდესი ნაწილი თხრობითი წყაროების გვარში შედის; მისი მცირე ნაწილი კი, რომელიც მხოლოდ გარეგნულად ჰგავს მინაწერს — რაკი ის მიწერილია ხელნაწერი წიგნის არეზე — შინაარსით კი რაიმე გარიგებას ანუ აქტს წარმოადგენს, შვეა დოკუმენტური წყაროების გვარში.

ხელნაწერი წიგნების მინაწერები რამდენიმე ტიპისა არსებობს. პირველ ტიპს შეადგენს ის მინაწერები, რომელნიც ხელნაწერის ტექსტის შექმნასთან არიან დაკავშირებული. მინაწერთა ეს ტიპი თავის მხრივ შემდეგ სახეობებად შეიძლება დაიყოს:

1. ხელნაწერი წიგნის ავტორის, მთარგმნელის, გადამწერის ანდერძ-მინაწერები.

2. ხელნაწერის მომგებლის ან შემკვეთის ანდერძ-მინაწერი.

3. შემდეგი დროის გადამწერთა (გამამრავლებელთა) ანდერძ-მინაწერები. ესენი მეტწილად იმეორებენ ხელნაწერი წიგნის ავტორის, მთარგმნელისა და გადამწერის, აგრეთვე შემკვეთის ანდერძ-მინაწერებს და ამის შემდეგ ურთავენ საკუთარ ანდერძ-მინაწერს.

4. ხელნაწერი წიგნების განმაახლებელთა მინაწერები.

მეორე ტიპის მინაწერებში ჩვენ შეგვაქვს:

1. მოსახსენებელნი — წმინდათა, მღვდელმთავართა, მეფე-დედოფალთა, საკუთარი საგვარეულოს წევრთა მოსახსენებელნი. ხელნაწერის დამკვეთი მოიხსენიებს როგორც გარდასულ დროთა მოღვაწეებს („მოიხსენე უფალო“), ისე თავის თანადროულ პირებს („მრავალმცა არიან წელნი“). ზოგი მერმინდელი გადამწერი ამ მოსახსენებლების გადაწერისას უცვლელად ტოვებს მათ. ამის გამო, ვთქვათ, XVI ს-ში ცოცხლად არის გამოცხადებული ხელნაწერის (მაგ. XII ს-ში) დედნის შექმნისას, მართლაც, ცოცხალი პირი. ზოგი კი აგრძელებს დედანში მოხსენებულთა სიას და ეს სია თავის დრომდე მოაქვს.

2. მოსახსენებელი მკითხველთა.

3. გადაწერის თუ დამწერის ინტიმური ხასიათის მინაწერები, რომლებსაც ტექსტთან კავშირი არა აქვს და გამოხატავენ დამწერის პირად განწყობილებას. მაგ., „აქა მამემშვივა“, „ჭრაქის შუქზე მიწვრია და შემინდეთ შეცოდებანი“, „უტბად მჩხრეკელობისათვის შემინდეთ“.

მ ე ს ა მ ე ტიბად გამოიყოფა ხელნაწერ წიგნთა შემდეგდროინდელი პატრონების მინაწერები.

მ ე ო თ ხ ე ტიბად გამოიყოფა ხელნაწერ წიგნებზე შიწერილი საბუთები, რომლებსაც არა აქვთ კავშირი თვით წიგნის ტექსტთან და წარმოადგენენ ორი მხარის რაიმე გარიგებას. ასეთი დოკუმენტები იწერება ხელნაწერის თავისუფალ გვერდებზე ან გვერდის ზემო, ქვემო და განის აშიებზე. დოკუმენტებს ახლავთ მოწმეთა ხელმოწერაც. ისინი თავიანთი სახით არ განსხვავდებიან სხვა მასალაზე დაწერილ ამავე ტიპის დოკუმენტებისაგან.

დოკუმენტები ხელნაწერი წიგნების (უფრო მეტად ოთხთავთა და სახარების) ფურცლებზე იწერებოდა: 1. მეტი სიმტკიცისათვის, 2. დაცულობის მყარ გარანტიას იძლეოდა, 3. საბუთის მიწერა ხელნაწერ წიგნზე მის არქივში შენახვას უდრიდა.

მეოთხე ტიპის მინაწერები არსებითად ჩვეულებრივ დოკუმენტებს წარმოადგენენ და მათი შესწავლა დიპლომატიკის ამოცანაა.

მ ე ზ თ ე ტიპის მინაწერებს შეადგენენ ალაპები. შემწირველთაგან ეკლესია-მონასტრებში ალაპის გაჩენა მეტწილად საეკლესიო ხელნაწერ წიგნებზეა მიწერილი.

ყველა ზემოჩამოთვლილი ტიპის მინაწერს აქვს ისტორიული ღირებულება. მათი მონაცემებით შეიძლება ისტორიის სხვადასხვა მხარეები. ანდერძ-მინაწერებსა და მოსახსენებლებში გამოსჭვივის ზოგადსაქვეყნო ინტერესები. მაგ., სინას მთის № 54 ხელნაწერის XI ს. მინაწერში ვკითხულობთ: „ქართლისა მშვიდობისა, საზღვართა განმაგრებისა, მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარემიქცევისა, ტყვეთა მოქცევისა, ჟამთა დაწყნარებისა, ქრისტიანობისა დამტკიცებისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთ. (ნ. მ ა რ ი, სინას მონასტრის ქართულ ხელნაწერთა აღწერა, მოსკოვი-ლენინგრადი, 1940, გვ. 85. — რუსულ ენაზე. აგრეთვე, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 166).

979 წ. გადაწერილ ოთხთავის მინაწერში ვკითხულობთ: „შევწირენ ესე ოთხთავი... სალოცველად და მოსახსენებლად თავისა და სულისა ჩვენისა, და მშობელთა და ძმათა ჩვენთა და ყოვლისა ერისა და ნათესავისა ჩვენისა ცოცხალთა და გარდაცვალებულთათვის და ყოველთა ქრისტიანეთათვის“ (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი,

სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ხელნაწ. № 38, 105).

თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს ისტორიის შესასწავლად ანდერძ-მინაწერებს, ეს ნათლად ჩანს, მაგ., ტბეთის სახარების ერთი მინაწერიდან.

ამ სახარებისა და მისი ყდის დაწვრილებითი აღწერილობა გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა 1909 წელს „Материалы по археологии Кавказа“ XII ნაკვეთში.

ტბეთის სახარება 321 ფურცლისაგან შედგება. იგი გადაწერილია 1161 წ. ნუსხა-ხუცურით იოვანე ფუკარალის ძის მიერ ექთვიმე მთაწმიდელის თარგმნილ-გამართული ტექსტიდან. იოვანე ფუკარალის ძემ უკვე მოხუცებულობაში — 1195 წ., გადაწერა წყაროსთავის ოთხთავი (ხელნაწ. ინსტიტუტი, Q 906). ტბეთის სახარებას თან ახლავს ვრცელი საძიებლები და სარჩევი. სარჩევის ბოლოს ტექსტისავე ხელით მიწერილია გადამწერის ანდერძ-მინაწერი: „წმიდანო ყოველნო... მეოხ ეყვენით წინაშე ქრისტესა... პავლე მტბევარსა...“ (305). პავლე მტბევარი — ტბეთის ეპისკოპოსი არის მომგებელი და დამკვეთი ამ ხელნაწერისა.

ტბეთის სახარება ჩასმულია მოჭროვილი ვერცხლისაგან ნაჭედ ყდაში. ყდაზე გამოქანდაკებულია ჯვარცმის სცენა და პეტრე და პავლე მოციქულების, ღვთისმშობლისა და იოანე მახარობლის ფიგურები. ამ ფიგურათა შორის მრგლოვანი წარწერაა მოთავსებული: „რომელთა ბრძანა მოძღუარმან თქუენმან თქუენგან დასხდომი საყდართა ჴედა დღესა განკითხვისასა, მაშინ მეოხ მექმენით სოლითა საწყალობელსა იოანე მტბევარსა საფარელსა. ამინ“.

ამ წარწერიდან ჩანს, რომ ყდის მოჭედილობა გაკეთებულია არა ტექსტის შემკვეთ პავლე მტბევარის ეპისკოპოსობაში, არამედ პავლეს მომდევნო ეპისკოპოსის იოანე მტბევარ-საფარელის ჴეობაში.

დიდი ხელოვნებით დაწერილი და შემკული ეს სახარება XVI ს-მდე ტბეთის საეპისკოპოსოში (შავშეთში) იყო. ოსმალთა შემოსევებისას ტბეთის ეკლესია აოხრებულ იქნა, ხოლო იქ დაცული ხელნაწერები — შემუსვრილ-შელახული. ტბეთის სახარება „აგარიანთა ხელიდან“ გამოიხსნა XVII ს-ში მარიამ დედოფალმა და მისი ბრძანებით მოახონეს ამ ხელნაწერის რესტავირება. სახარებას ახლავს განმარტებლის მინაწერი: „პირო ღვთისაო, სახარებაო, მომიხსენე დედოფალთ-დედოფალი დადიანის ასული მარიამ! ამ სოფელს მადლეგრძელე, მეორედ მოსვლას გამომიხსენ, რამეთუ აგარიანთ ხელიდან გამოგიხსენ წამხლარი და ნაწერ წაშლილი და ახლა დავაწერინე. ვინც მიემთხვიოთ, მომიკნენბდეთ“.

აქ მოხსენებულ დედოფალ მარიამზე შ. ბურჯანაძეს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ეს უნდა იყოს სოლომონ I-ის (1752—1778) მეუღლე — ოტია დადიანის ასული მარიამი (ხელნაწერთა აღწერილობა, Q ფონდი, II, 358), მაგრამ შ. ბურჯანიძე, ალბათ, არ იცნობდა ტბეთის ხელნაწერის შემდგომი თავგადასავლის შესახებ, ექვთიმე თაყაიშვილის მოთხრობას, საიდანაც ჩანს, რომ ტბეთის სახარება 1724 წელს ვახტანგ VI-ს თან წაუღია რუსეთში. რუსეთშივე რჩებოდა ის XIX ს. ბოლომდე, ამიტომ ეს სახარება უკვე ვეღარ მოხვდებოდა სოლომონ I-ის მეუღლის ხელში გასაახლებლად, ხოლო მინაწერში ნახსენები „დედოფალთ-დედოფალი დადიანის ასული მარიამი“ უნდა იყოს როსტომ მეფის მეუღლე დედოფალი მარიამი. ტბეთის სახარება ვახტანგის შემდეგ მის ძეს ბაქარს დარჩა. შემდეგ მას დაეუფლნენ ბაქარის შვილი გიორგი და შვილიშვილი ალექსანდრე. ალექსანდრეს ვაჟის გიორგის ქალი ანა, გათხოვილი სინოდის ობერპროკურორ ტოლსტოიზე, იყო რუსეთში ტბეთის სახარების უკანასკნელი პატრონი. ანა გეორგევნა ტოლსტაიამ ეს ოთხთავი 1889 წ. გადასცა სამთავროს ქალთა მონასტრის ილუმენია ნინას. ნინა ილუმენია — ერობაში ანა ამილახვარი (1816—1905) იყო დეიდა იმ დროს სიღნაღის მაზრის უფროსის ნიკოლოზ იაკინთეს ძე ალექსი-მესხიშვილისა, რომელსაც ნინა ილუმენიამ გადასცა ტბეთის სახარება. ამან კიდევ თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ეკლესიას. აქედან ეს სახარება საეკლესიო მუზეუმის ფონდებში გადავიდა. 1921 წ. გატანილ იქნა პარიზს, საიდანაც 1945 წ. დაბრუნებული ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (Q ფონდი № 929).

ტბეთის სახარების ბოლო ფურცლებზე გაკეთებულია ისტორიული ხასიათის მინაწერი. ეს მინაწერი თავის დროზე ამოიკითხა ე. თაყაიშვილმა. 1909 წ. მან გამოაქვეყნა ამ ხელნაწერის აღწერილობა, მინაწერის ტექსტი ნუსხა-ხუცურად და აგრეთვე მისი რუსული თარგმანი (MAK, XII, 1909, გვ. 151—162). არსებობს ამ მინაწერის ქართული სხვა გამოცემა ქრისტინე შარაშიძის წანაკითხით¹.

ტბეთის სახარების ბოლო ფურცელზე მოთავსებულია ისტორიული მნიშვნელობის მინაწერი, მის მეორე ფურცელს ჩვენამდე არ მოუღწევია. პირველიც დაზიანებულია — ზემოთა მარჯვენა კუთხე მოგლეჯილი აქვს და იქ ეტრატის ახალი ნაჭერია მიწებებული. ორ ადგილას ტექსტი გადახუნებულია და მისი ამოკითხვა ჭირს. მოგვყავს მინაწერის ტექსტი:² „სა[ხელითა ღვთისაითა და ღედისა მღვთისა]თა [და ყოველთა წმიდა]თა [მისთა ზეციერ]თა [და ქუეყნიერთა, ძლიერებითა] უფლის-

¹ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექციისა, ტ. II, თბ., 1958, გვ. 355—356.

² კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმულია აღდგენილი ადგილები.

[ათა, შეწვენი]თა წმიდათა ზეცისა [ძალთათა] მადლითა წმიდისა [იოანე ნათლის] მცემლისათა, შეწვენითა და წარმართებითა წმიდათა და ყოვლად ქებულთა თავთა მოციქულთა პეტრეს და პავლესითა, და ყოველთა წმიდათა ღმრთისა, ნების მყოფელთაჲთა ღირს ვიქმენ არაღირსი, სულითა საწყალობელი, პავლე ჯუარის მყვანი, ღმრთისა მოწყალებითა და სახიერებათა მიერ საყდრისა ტბეთისასა დაპყრობად, გამზრდელისა ჩემისა ღვთივ გვრგვინოსნისა მეფეთ მეფისა დიმიტრის მიერ, რომელი მკვდრმცა არს მარჯუწნით იესო ქრისტესა დამკვიდრებული და მიანიჭა ღმერთმან ძესა მათსა გიორგის მეფობაჲ, ლომთა უმცნესსა და არწივთა უმაღლესსა და მისცა ღმერთმან ურიცხვ ძლევაჲ და გამარჯვებაჲ ყოველთა წინაღმდეგომთა მისთა ზედა, მეხუთესა წელსა აი[ლო... ანისი]. ვ...ღ... [აგარიან]თაგან. ტყვთა... ანისისასა... [სამი] ათასითა კაცითა... და ეზომი ღმრთის წყალობაჲ და მტერთა იყო გამარჯვებაჲ მისი, რომელ მსგავსად აბესალომისა და გედეონისა, მცირითა ერითა სძლო ურიცხუსა მას სიმრავლესა ბარბაროზთასა, და მოკლვით და ტყუწონით მოსწყვდეს ოცდაათექუსმეტი ათასი კაცი. დაუტევეს საჭურჭლე ურიცხვ; კარვები, ცხენი, აბჯარი და ყოველი საქონელი მათი, დაიპყრეს თავადი ამირაები, სუქმანის ძე ძლივ წარვიდეს დაკოდილ-ჩამოგდებული, ღმერთმან უმეტესი ძლევაჲ და წარმართებაჲ მისცეს მეფობასა მათსა და კურთხევაჲ საუკუნოჲ, და დიდებასა ღმრთაებისა თქსისა იზიარებს, ამინ. საყდარსა ტბეთისასა ისხნეს ძუშლნი წიგნნი მრავალნი და ახალნი ყოლა არა, მრგულოანისა კითხვაჲ საჭირო იყო და დიდაჲდ იჭირვოდეს. დაეწერეც ესე ოთხთავი სრული და უნაკლულოჲ კარგითა და მართლითა ზანდუკითა და კანონითა, სალოცველად ღმრთივ გვრგვინოსანთა მეფეთა: დიმიტრი, გამზრდელისა ჩემისა, და გიორგი ძისა მათისა და საჯსრად საწყალობელისა სულისა ჩემისა და მოსახსენებლად მშობელთა ჩემთათჳს: მიქელ და მარიამისა და ძმათა ჩემთა: გიორგი, თევდორე, კონსტანტინესა, დათა ჩემთა: ცხოვრებაი, გუარანდუხტ და ნონაჲსა, დისწულთა ჩემთა: ნიკოლოზ ქუთათელ მთავარ ეპისკოპოსისა, და არსენი ქუთათელ მთავარ ეპისკოპოსისა, იოანე ანჩელ მთავარ ეპისკოპოსისა, ანტონი ოპიზისა წინამძღურისა, არსენი დიმიტრი მეფისა მწირველისა და ყოველთა ნათესავთა ჩემთათჳს. დავდეც საყდარსა ტბეთისასა წმიდა მოციქულთა წინამე: ესე ოთხთავი, ზატიკნი, ლავსაიკონი სრულნი სტიქარონნი და დავასუწნე ხატი ღლესა შინა ერთ...“

რას გვაძლევს ეს მინაწერი?

მასში მოხსენიებულნი არიან ქართველი მეფენი: დემეტრე I (1125—54) და გიორგი III (1156—85). დემეტრე მეფე მინაწერთა გაკეთებისას ცოცხალი აღარაა — „იგი მარჯვნით იესო ქრისტესა არს დამკვიდრებული“, მეფობს მისი ვაჟი გიორგი „ლომთა უმცნესი და

არწივთა უმაღესი“, რომელსაც ღმერთმა გამარჯვება მიანიჭა თავის მფობის მეხუთე წელს, ე. ი. 1161 წელს.

რა ძლევა, რა გამარჯვება მოუტანა მეფე გიორგის ღმერთმა? მან 3 ათასი კაცით აგარიანთა ტყვეობიდან გამოიხსნა ანისი. ამ სამმა ათასმა მეომარმა „მოსწყვიდა“ 36 ათასი კაცი.

გიორგი III-ის ეს სიმარჯვე — 3 ათასი კაცით 36 ათასის დამარჯვება — მინაწერში მიმსგავსებულია აბესალომის და გედეონის გამარჯვებებთან: „ეზომი ღმრთის წყალობა და მტერთა იყო გამარჯვება მისი, რომელ მსგავსად აბესალომისასა და გედეონისა, მცირითა ერითა სძლო ურიცხუსა სიმრავლესა ბარბაროზთასა“. აბესალომი და გედეონი ორივე ბიბლიური პერსონაჟია. აბესალომი — დავით ებრაელთა მეფის (ფსალმუნის ავტორის) მესამე ვაჟი, რომელმაც ააჯანყა ებრაელთა ნაწილი დავითის წინააღმდეგ და მცირე რაზმით ქალაქი ქებრონი დაიჭირა (შემდეგში დავითის ჯარმა სძლია აბესალომის რაზმს, გაქცეული აბესალომი თმებით ხის ტოტებში გაიხლართა, დავითის მომხრეებმა იგი ხიდან ჩამოხსნეს და მოკლეს (II მეფეთა, 15, 9—11; 19, 1—10). გედეონმა კი 300 კაცით იხსნა იუდეია მადიელებისაგან (მსაჯულთა, 7, 7).

გიორგი III-ს ლაშქარმა უამრავი ნადავლი იგდო ხელთ, „თავადი ამირაებიც“ ტყვედ წამოიყვანეს, სუქმანის ძე „დაკოდილ-ჩამოგდებული“ — დაჭრილი და ცხენიდან ჩამოგდებული, „ძლივ წარვიდეს“, ე. ი. ძლივ გადაურჩა დატყვევებას.

ეს ბრძოლა და მისი შედეგები უფრო ვრცლად და დეტალურად აღწერილია „ისტორიანსა და აზმანში“, მაგრამ მასში არ არის ნაჩვენები არც ბრძოლის თარიღი და არც სახელი აგარიანთა გაერთიანებული ლაშქრის მეთაური შაჰარმენისა. ივ. ჯავახიშვილს იბნ ალ-ასირის ცნობის შემწეობით დადგენილი აქვს, რომ ამ ლაშქრის მეთაური ყოფილა იბრაჰიმის შვილი ნასარ არ დინ სუქმან II (1128—1183) (ქართული ერის ისტორია, თბ., 1948, II, 231—232).

ტბეთის სახარება კი იძლევა ბრძოლის თარიღსაც — გიორგის მეფობის მეხუთე წელს — 1161 წელს და შაჰარმენის სახელსაც — სუქმანის ძე.

ორივე ამ საკითხის დაზუსტება თავის დროზე ივ. ჯავახიშვილს მოუხდა იბნ ალ-ასირისა და სომეხი ისტორიკოსების მათე ურჰაველის, ვარდანის და სტ. ორბელიანის ცნობათა შეჯერებით, შემდეგში იგივე საკითხები იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე დააზუსტა ბ. სილაგაძემ. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით გიორგი III-მ შადადინებს გამოართვა ანისი და იქ ივანე ორბელი დააყენა (იბნ ალ-ასირის მიხედვით ეს მომხდარა 1161 წ. ივლის-აგვისტოში, მათე ურჰაველით 1161 წ. ზაფხულში; ვარდანით, სტ. ორბელიანით — 1161 წ.). მაჰმადიანი მთავრე-

ზისათვის ძნელი იყო ანისის დაკარგვა და ამიტომ მათ შეკრიბეს ჯარი და წემოადგნენ ანისს. გიორგი III-მ სძლო ისინი, ანისში კი ამირა დააყენა (ჯერ სადუნი, მერე სარგისი). ეს მეორე ბრძოლა ანისისათვის, იბნ ალ-ასირის მიხედვით, 1161 წ. აგვისტოში მომხდარა. „ქართლის ცხოვრებაში“ კი ანისის შემომტყიცებაზე წინ მოთხრობილია დვინისა და არზრუმის ლაშქრობები (რაც 1162 წელს მოხდა). გამოდის, რომ ანისიც 1162 წელს აუღია ხელახლა გიორგი III-ს. მაგრამ იბნ ალ-ასირი და სომეხი ისტორიკოსები ანისის მეორე ბრძოლას 1161 წელშივე ათავსებენ. 1161 წელს იძლევა ტბეთის სახარებაც. ამიტომ „ისტორიანსა და აზმანში“ მოვლენათა მოთხრობის თანმიმდევრობა, როგორც ეს ბ. სილაგაძემაც აღნიშნა³, დარღვეულად უნდა ჩაითვალოს.

ივ. ჯავახიშვილს ქართველი ერის ისტორიაში არა აქვს გამოყენებული ტბეთის სახარების მინაწერის ეს ცნობა. მაგრამ მას სამუშაო ეგზეგეზიკალში ჩაუდვია ბარათი ამ მინაწერის სათანადო ადგილით (ამოწერილი MAK-დან), ალბათ, აპირებდა მის გამოყენებას შემდეგი გამოცემისას. ს. ყაუხჩიშვილმა ქ. ე. ი-ს II ტომის 1948 წლის გამოცემაში ეს ბარათი სქოლიოში შეიტანა (გვ. 229).

პავლე მტბევარის მინაწერი საინტერესოა კიდევ ერთი მხრივ. მას აღნიშნული აქვს, რომ მის დროს ტბეთის ეკლესიაში მრავლად იყო ძველი წიგნები, მაგრამ ეს წიგნები დაწერილი ყოფილა მრგლოვანად — ე. ი. ასომთავრულად. „მრგლოვანისა კითხვა საჭირო (საძნელო) იყო და დიდად იჭირვოდეს“. ე. ი. XII ს. მეორე ნახევარში მრგლოვანის კითხვა გაძნელებულად ითვლებოდა და ამიტომ პავლე მტბევარი სახარებას აწერინებს ნუსხურით. ჩვენ ვიცით, რომ XI ს-დან ხელნაწერი წიგნები მეტწილად უკვე ნუსხურით იწერებოდა და არა მთავრულთ. ამას ადასტურებს მტბევარის მინაწერიც.

პავლე მტბევარი გრძნობს ახალი წიგნების საჭიროებას. რა ახალ წიგნებს უტოვებს ის ტბეთის საეპისკოპოსო ტაძარს? ამ კითხვას ის თვითონვე პასუხობს თავის ანდერძ-მინაწერში:

„დავდევ საყდარსა ტბეთისასა... მათ ყოველთა წინაშე... ესე ოთხთავი, ზატიკნი, ლავსაიკონი და სრულნი სტიქარონნი“. ოთხთავის გარდა მას ტბეთისათვის შეუქმნია შემდეგ საეკლესიო წიგნები:

1. ზატიკნი — აღდგომის პერიოდის საგალობლები⁴.

³ ბ. სილაგაძე, XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე, წიგნში: „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 108.

⁴ დიდიმარხვის პერიოდის საგალობლებია — მარხვანი. მარხვანი და ზატიკნი ერთად XI ს-მდე იწოდებოდა „ხუედრნი“. სამ-სამი საგალობელია და რომელ დღეს რომელი სამი შეხვდება, აქედანაა „ხუედრნი“. ბერძნულად ამ საგალობლებს ეწოდებოდათ ტრიოდი — სამიდან ნამღერი.

2. ლავსაიკონი — პალადი ჰელენობოლელის (V ს. მწერალი) ნაწარმოებები, თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ (ლავსოესადმი მიწერილი ეპისტოლენი — წმინდანთა ცხოვრებითურთ).

3. სტიქარონი — ჰიმნების კრებული, ნაწილია „თთუენი“-სა. (თთუენი — მთელი წლის საგალობელია); სტიქარონი — ცალკე საგალობლები, საკუთარ კილოზე რომ სრულდებიან.

დაბოლოს, პავლე მტბევეარის ანდერძ-მინაწერი იძლევა საგვარეულო ისტორიისთვის საინტერესო მასალას. პავლე ასახელებს თავის მშობლებს „მიქელ და მარიამ“, ძმებს „გიორგი, თევდორე, კე“ (კვირიკე, ან კონსტანტინე); დებს: „ცხოვრებაჲ, გურანდუხტ და ნონაჲ“ და დისწულებს: „ნიკოლოზ ქუთათელს მთავარეპისკოპოსს, არსენი ქუთათელ მთავარეპისკოპოსს, იოანე ანჩელ მთავარეპისკოპოსს, ანტონი, ოპიზისა წინამძღვარს, არსენი, დიმიტრი მეფის მწირველს და ყოველთა თვსთა და ნათესავთა ჩემთათვის“.

გამოდის, რომ პავლე მტბევეარის სამი დის 5 შვილი მაღალ საეკლესიო თანამდებობაზეა ხელდასმული; ერთი მათგანი — არსენი ამ დროისათვის უკვე გარდაცვლილი მეფის დიმიტრის მწირველი ყოფილა. ქუთათელად ყოფილან ერთიმეორის მიყოლებით ორი ძმა, ან ორი დეიდაშვილი: ნიკოლოზ და არსენი.

ამ მაღალ სასულიერო პირთაგან იოანე ანჩელი ეპისკოპოსი ექვთ. თაყაიშვილს გაიგივებული ჰყავს იმ იოანე ანჩელთან, რომელმაც თამარ მეფის ხარჯითა და ინიციატივით მოაჭედინა ანჩის ხატი.

ამ ხატის ჩარჩოს ზედა ნაწილში მოთავსებულ წარწერაში ვკითხულობთ: „ქ. ბრძანებითა და ნივთისა ბოძებითა, ღმრთივ გვარგვინოსნისა დიდის დედოფალთ დედოფლისა თამარისაითა, მე, იოანე ანჩელმან რკინაელმან, კელვყავ საშინელისა ამისა ხატისა პატივით მოჭედად, მფარველმცა არს მეფობისა მათისა აქა და საუკუნესა. მოიჭედა კელითა ბექასითა ქე, შეიწყალე“ (შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ბექა ოპიზარი (რუს. ენაზე), 1939, გვ. 8).

როგორც ვხედავთ, ხატის წარწერა უმატებს რკინაელს. ე. ი. თუ პავლე მტბევეარის დისწული იოანე ანჩელი, მართლაც, ანჩისხატის მოჭედის ინიციატორი იოანე ანჩელია (ამ იოანე ანჩელს ეკუთვნის აგრეთვე „გალობანი ანჩისხატისანი“ № 1040), მაშინ პავლეს დისწულის გვარი რკინაელი ყოფილა.

პ. ცხვილოელმა 1900 წ. „ივერიაში“ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც გამოთქვამდა აზრს, რომ პავლეს დისწული ანტონი, ოპიზის წინამძღვარი, შემდეგში გამხდარა ქუთაისის ეპისკოპოსი — ცნობილი ანტონი საღირისძე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო თამარის მეფედ კურთხევის ცერემონიალში.

ეს ვარაუდი გამოიყენა კ. კეკელიძემ იმის საბუთად, რომ პავლე მტბევარის სხვა დისწულები: არსენი, დიმიტრი მეფის მწირველი, და იოანე ანჩელი, ორივე საღირისძეებად ჩაეთვალა (ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 302—303). თუმცა პავლე მტბევარის მინაწერთ მხოლოდ ის ირკვევა, რომ ისინი სამი დის შვილები არიან, ერთმანეთისა ძმები თუ დეიდაშვილები, ეს არ ჩანს.

ასეთია ის ინფორმაცია, რასაც ამ ერთი მინაწერის წყაროთმცოდნეობითი შესწავლით ვიღებთ.

წყაროთმცოდნეობითი შესწავლა კი გულისხმობს არა მხოლოდ წყაროს ფორმულარების წარმოჩენას, შინაგანი ფორმის კვლევასა და სანდოობის დადგენას, არამედ აგრეთვე წყაროს შინაარსის ყოველმხრივ ანალიზსაც.

ПИСЬМЕННЫЕ ИСТОЧНИКИ ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ ФЕОДАЛЬНОЙ ЭПОХИ

(Источниковедческие разыскания)

Среди исторических документов главнейшее место занимают дошедшие до нас письменные источники, которые делятся на два основных рода: на род повествовательных или нарративных и на род документальных.

Род документальных источников составляют те письменные источники, которые возникли с целью непосредственного воздействия на социально-экономические и политические отношения между людьми.

Традиционно род документальных источников делится на две части: на акты и неакты. Под актами подразумеваются документы, содержащие договоренность между сторонами. Грузинская дипломатика в группу актов относит следующие образцы документов: жалованные грамоты, дарственные, купчие, пожертвовательные грамоты, указы, повеления, договоры, клятвы, книги о разделе и воссоединении имущества, завещания и др.

Документы же не содержащие условий договора, составляют группу неактов, к таковым причисляют: списки, описи, отчеты, прошения, письма, записи и т. д.

В данном труде рассмотрены некоторые виды и подвиды документального рода источников. В числе актов исследованы царские грамоты XVI—XVIII вв., купчие крепости и векселя XVI—XVIII вв. А из группы неактов изучены отчеты церковных деятелей и прошения (груз. «арза»).

Выявлена общность происхождения, назначения и формы внутри каждого подвида. На основании источниковедческого изучения отдельных элементов и формуляров документа установлена их конкретная схема, т. е. архитектура документа.

Источниковедческий анализ отдельных формуляров дает возможность проследить степень изменений, происходящих в составе элементов и находить причину их в сдвигах политической и социальной жизни страны.

В предлежащей книге дается анализ еще двух подвидов письменного источника — эпистолярного материала и приписок.

Определены составные части письма, описан внешний вид писем. Дан обзор одной группы писем горожан — жителей г. Тбилиси конца XVIII в., на основании чего определено значение их в деле воспроизведения общественного мышления и культурно-бытового уровня данной эпохи.

В последнем разделе труда дается классификация приписок рукописных книг. Выделены 5 отдельных видов приписок: 1. Приписки лиц, имеющих непосредственное отношение к созданию или приобретению книги и т. н. духовные завещания. 2. Поминальные записи. 3. Приписки последующих владельцев книг. 4. Документы, приписанные на полях страниц рукописей книги. 5. Синодики.

К первому виду приписок относится и приписка исторического характера на последней странице Тбетского Четвероевангелия (XII в.), принадлежащая Павлу, епископу Тбетской кафедральной церкви. Раскрывается значение информационных возможностей сведений этой приписки для восстановления отдельных эпизодов из жизни Грузии времен Георгия III-го (1156—1184).

Бердзнишвили Мамиса Максимовна

**ПИСЬМЕННЫЕ ИСТОЧНИКИ ПО ИСТОРИИ
ГРУЗИИ ФЕОДАЛЬНОЙ ЭПОХИ**

(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»

ТБИЛИСИ

1989

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3946

გამომცემლობის რედაქტორი რ. ფეიქრიშვილი
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექნიკური რედაქტორი ე. ბოკერია
კორექტორი გ. გრძელიშვილი
გამომშვები ე. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 28. III. 1989; ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. IX. 1989;
ქალაქის ზომა 60×90^{1/16}; ქალაქი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდო თაბახი 5.5;
პირ. სალ. გატ. 5.75; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4.98;
უე 02360; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 878

ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

